

178
1961/2



საბჭოთა სამართალი






სკკპ XXII ყრილობა. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსცლა.

პარტია აყენებს ამოცანას უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშაულობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმოშობი ყველა მიზეზი.

სკკპ პროგრამიდან



საბჭოთა სამართალი

№ 5

ხეტეშბერი-ოქტომბერი

1961 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

მოწინავე—კომუნიზმის მშენებელთა ისტორიული ყრილობა	3
საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა	10
ვ. მერკვილაძე—დიადი ეპოქალური დოკუმენტი	12
ა. ბაჯელიძე—საკლემენტოვობათაშორისო საწარმოები და მათი როლი საკლემენტოვო საკუთრების განზოგადების დონის ამაღლებაში	23
ბ. ფურცხვანიძე—დანაშაული პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით	31
გ. ნადირაძე—მოკვლევა და წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით	43
მ. ნანიკიშვილი—განაჩენის მოტივირება და მისი მნიშვნელობა	51

8578

საბჭოთავის მუშაკის გამოცდილებიდან

ლ. ჯღარკავა—მასებთან კავშირის განმტკიცების გზით	56
შ. ჭანტურია—საბროკურტორო ზედამხედველობის ერთ-ერთი დარგი	61
ს. რასტი—ამხანაგური სასამართლოები დიდი ძალაა	63
ს. ჯორბენაძე—სრულად გამოვიყენოთ ქართული ლექსიკის უღვევი საუნჯე	65
წ. მესხენგისერი—სასამართლო რეპორტიორის ჩანაწერები	77

ნარკვევი

ს. პრაგა—„სოპი“	81
---------------------------	----

ინფორმაცია	87
სასამართლო პრაქტიკა	93





СО Д Е Р Ж А Н И Е

Передовая—Исторический съезд строителей коммунизма 3
 XXI съезд Компартии Грузии 10
 В. Мерквиладзе—Величайший документ нашей эпохи 12
 А. Баджелидзе—Межколхозные предприятия и их роль в подня-
 тии уровня обобществления колхозной собственности 23
 Б. Пурцхванидзе—Преступления против жизни по новому уголов-
 ному кодексу Грузинской ССР 31
 Г. Надирадзе—Дознание и предварительное следствие по новому
 уголовно-процессуальному кодексу 43
 М. Наникишвили—Мотивирование приговора и его значение 51

ИЗ ОПЫТА РАБОТЫ СОВЕТОВ

Л. Джгаркава - По пути укрепления связи с массами 56

III. Чантурия—Одна из отраслей прокурорского надзора 61
 С. Раст—Товарищеские суды—большая сила 63
 С. Джорбенадзе—Полностью использовать сокровищницу грузинс-
 кой лексики 65
 З. Мессенгисер—Записи судебного репортера 77

ОЧЕРК

С. Прага—„Сол“ 81

Информация 87
 Судебная практика 93

<p>შეკ. № 1509 ტირაჟი 5.100 უფ 03365</p>	<p>სარედაქციო კოლეგია</p> <p>მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინწკირველი, ი. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე), ე. ტაკიძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.</p>
--	--

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადეცა წარმოებას 18/VIII-61; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-61 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×118; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. ცკ-ის კბ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии
 Тбилиси, ул. Ленина № 14.

კომუნისმის მუხეხველთა ისტორიული ყრილოზა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილოზები ყოველთვის წარმოდგენენ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მიჯნის დასაწყისს, უდიდეს როლს ასრულებდნენ ჩვენი ქვეყნის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. მაგრამ სკკპ XXII ყრილოზა, რომელსაც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წარმომადგენლებმა სამართლიანად უწოდეს კომუნისმის მუხეხველთა ისტორიული ფორუმი, თავისი ერთსულოვნებითა და შეკავშირებულობით, ლენინიზმისადმი ერთგულებით, ამოცანების სიდიადითა და პერსპექტივების სიცხადით შეუდარებელია. ეს იყო ჩვენი პარტიის ყველაზე წარმომადგენლობითი ყრილოზა და ეჭვი არ არის, რომ კომუნისტური პარტიის ისტორიაში იგი განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს.

ყრილოზამ შეაჯამა პარტიის მიერ XX ყრილოზის შემდგომ წლებში განხორციელებული უდიდესი შემოქმედებითი ორგანიზატორული საქმიანობის შედეგები, მიიღო ეპოქალური დოკუმენტები-პარტიის ახალი პროგრამა და წესდება, რომლებიც წარმოდგენენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითად განვითარების ნიმუშს. ყრილოზის შედეგები, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დოკუმენტები თაობებში იცოცხლებენ გადაწყვეტავულენას მოახდენენ უახლოეს პერიოდისათვის მთელი მსოფლიოს გარდაქმნაში.

პარტიის ახალი პროგრამა ამომწურავ პასუხს იძლევა თანამედროვე განვითარების ძირეულ საკითხებზე, ხატოვანად რომ ვთქვათ, იგი უშუქურასავით ანათებს არცთუ ისე შორეულ გზას, რომელიც საბჭოთა ხალხმა უნდა განვლოს სრული კომუნისტური საზოგადოების ასამენებლად. ამ ისტორიული დოკუმენტის მიღებით პარტიამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ კომუნისმი — ოდესლაც მიჩნეული კაცობრიობის უკეთეს მერმისად, უკვე იჭრება საბჭოთა სინამდვილეში და ჩვენი ხალხისათვის, სოციალისტური ქვეყნების მშრომელებისათვის იქცა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმედ. პროგრამაში მეცნიერული სინუსტით, კონკრეტულ ფორმებში ნაჩვენებია ის ზღუდეები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა უნდა აიღოს კომუნისმისაკენ ძლევა მოსილი წინსვლის გზაზე, განსაზღვრულია კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ზუსტი ვადაც — უახლოესი ოცი წელიწადი. პარტია ახალ პროგრამაში იძლევა საზეიმო დაპირებას, რომ კომუნისმში იცხოვრებს საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა. ეს ჭიამაყითა და სინარულით აღავსებს მილიონობით მშრომელთა გულებს.

პარტიის ახალ პროგრამაში დამუშავებულია მეტად დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც იდეურად აიარაღებენ თეორიული ფრონტის მუშაგებს, განსაზღვრავენ მათი შემოქმედებითი მეცნიერული კვლევის მიზნებსა და ამოცანებს ახლო მომავლისათვის.



უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა-იურიდიული მეცნიერებისათვის, სოციალისტური კანონიერების განმხორციელებელი ორგანოების საქმიანობისათვის პროგრამაში ახლებურად, შემოქმედებითად დამუშავებულ ისეთ თეორიულ პრობლემებს, როგორცაა: პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი კომუნიზმში გარდამავალ ეპოქაში, მოძღვრება საბჭოთა სახელმწიფოს ახალ ფაზაზე, საერთო-სახალხო სახელმწიფოზე, აგრეთვე სოციალისტური დამოკრატის სრულყოფის შესახებ, დებულებას, რომელიც ითვალისწინებს სოციალისტური სახელმწიფოებრიობის გარდაქმნას კომუნისტურ თვითმმართველობად, სოციალისტური საკუთრების ფორმების დაახლოების გზების შესახებ და სხვა.

პარტიის ახალ პროგრამაში, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში XXII ყრილობაზე შემდგომი განვითარება ჰპოვა მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ სახელმწიფოს შესახებ. პროლეტარიატის დიქტატურამ სსრ კავშირში შეასრულა მსოფლიო-ისტორიული როლი, თავისი მისია — უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, საზოგადოების გადასვლა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე და შინაგანი განვითარების თვალსაზრისით უკვე აუცილებელი აღარ არის. საბჭოთა სახელმწიფო ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ. ახალი პროგრამის განსაზღვრით „იგი მოწოდებულია მოაწყოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური ურთიერთობის გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობად, განახორციელოს კონტროლი შრომისა და მოხმარების ზომისადმი, დაიცვას საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და თავისუფლებანი, სოციალისტური მართლწესრიგი და სოციალისტური საკუთრება, აღზარდოს ხალხის მასები შეგნებული დისციპლინისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საიმედოდ უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და უშიშროება, განავითაროს ძმური თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან, დაიცვას საყოველთაო მშვიდობის საქმე და ნორმალური ურთიერთობა იქონიოს ყველა ქვეყანასთან.“

სსრ კავშირი ეს არის დემოკრატის, თავისუფლებისა და თანასწორობის ნიშუში. პროგრამა ითვალისწინებს მოხდეს საბჭოთა დემოკრატის შემდგომი განვითარება და სრულყოფა იმგვარად, რომ სოციალისტური დემოკრატის შემდგომი განვითარების პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები თნადათანობით გარდაიქმნენ საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოდ. ეს პროცესი მომასწავებელი იქნება დემოკრატის შემდგომი განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო-პროკურატურის და მილიციის ორგანოების საქმიანობისათვის პარტიის პროგრამაში წამოყენებულ დებულებას, რომელიც გულისხმობს კომუნიზმის მშენებელი ადამიანების აღზრდას კომუნიზმის მორალური კოდექსის მიხედვით. ადამიანის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, მათ შეგნებაში კერძო-მესაკუთრული, ინდივიდუალისტურ-ეგ-

ოსტური გადმონაშთების აღმოფხვრას პარტია ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა. ამ ამოცანას კიდევ მეტი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის დროს. წარსულისაგან განსხვავებით, როდესაც ბრძოლა დანაშაულებრივ მოვლენებთან ძირითადად წარმოებდა სასამართლოს, პროკურატურის და მილიციის მეშვეობით, ახლა პარტიას მიაჩნია, რომ ამ საქმეში გადამწყვეტი როლი საზოგადოებრიობამ უნდა შეასრულოს. მთელი საზოგადოებრიობის დახმარებით ჩვენი ორგანოების საქმიანობა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ დასჯის, იძულების ფუნქცია თანდათანობით შეიცვალოს საზოგადოებრივი ზემოქმედებით, აღზრდით.

ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ზუსტადაა განსაზღვრული პარტიის ახალ პროგრამაში, რომელშიც ნათქვამია: „მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურული ღონისა და შეგნებულობის ზრდა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დამნაშავეობა, საბოლოო ანგარიშით სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზეგავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით. სოციალიზმის პირობებში თვითვეულ ადამიანს, რომელიც შრომითს გზას ასცდა, შეუძლია დაუბრუნდეს სასარგებლო საქმიანობას.“

სკკპ XXII ყრილობაზე გაიშალა გადამწყვეტი ბრძოლა სუბიექტივისტური იდეალისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ პიროვნების როლზე ისტორიაში. XXII ყრილობამ კვლავ დაგმო რა პიროვნების კულტი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო და მიუღებელი, გადაუღებელ ამოცანად დაუსახა პარტიას სტალინის პიროვნების კულტის შედეგების, აღმოფხვრა პარტიული, სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგში.

სსრ კავშირში მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოების მომავალი საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყრილობაზე გამოაშკარებულ სოციალისტურ კანონიერებათა დარღვევის ფაქტებს, რაც პიროვნების კულტის პერიოდში ხდებოდა. სკკპ XXII ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია, რომ სოციალისტური კანონიერების ნორმების განმტკიცების, საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფის და განვითარების კურსი, რაც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო პარტიის XX ყრილობის შემდეგ კვლავაც გაგრძელდეს. ამ მითითებათა განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პროკურატურასა და სასამართლო ორგანოებს, რომლებიც მოწოდებული არიან მტკიცედ იდგნენ სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე.

სკკპ XXII ყრილობის დელეგატებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩვენი პარტიის ათმილიონიან არმიას, მწვავედ და პრინციპულად გააკრიტიკეს იდეურად და ორგანიზაციულად განადგურებული, გაკოტრებული ფრაქციონერები, ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეები მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ბულგანინი და სხვები, რომლებიც წინ აღუდგნენ პარტიის XX ყრილობის გადამწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას, შეეცადნენ აეცილნათ პარტია ლენინური კურსიდან. ყრილობაზე დელეგატების გამოსვლებით გამოიჩინა, რომ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი პერსონალურად იყვნენ პასუხისმგებელი პატიოსანი საბჭოთა ადამიანების მიმართ მასობრივი რეპრესიებისათვის, აგრეთვე სოციალისტური კანონიერების სხვა დარღვევებისათვის.

ლითები და აღნიშნა, რომ ეს ნაკლოვანებები შემთხვევითი არაა. საქმე იმაშია, რომ იურიდიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა და დიდი ხნის მანძილზე ბატონობდა ა. ვიშინსკის თავისებური პიროვნების კულტი. სამართალი ვიშინსკის განმარტებით ამოიწურებოდა მხოლოდ იძულების ღონისძიებებით და სრულიად უკუგდებული იყო მისი აღმზრდელობითი როლი, ხოლო ვიშინსკის მიერ შემუშავებული „თეორია“ ბრალდებულის აღიარების შესახებ, როგორც სახელმწიფო დანაშაულობათა საქმეებზე მთავარი დამამტკიცებელი საბუთის შესახებ, არსებითად ამართლებდა მასობრივი თვითნებობის ფაქტებს, რომლებიც იყო სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკაში.

ყოველივე ზემონათქვამიდან ჩანს, თუ რა დიდი ამოცანებია დასახული საბჭოთა იურიდიული მეცნიერების წინაშე თანამედროვე ეტაპზე. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ პარტიის ახალ პროგრამაში, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში დამუშავებული დიდმნიშვნელოვანი პრობლემები ახალ სერიოზულ ბიძგს მისცემს და წინ წასწევს ჩვენი იურისტი-მეცნიერების, კადრების შემოქმედებით მეცნიერულ მუშაობას თეორიაში. მთელ საბჭოთა იურისტებთან ერთად ამ ამოცანების გადაწყვეტაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ქართველმა მეცნიერმა-იურისტებმა.

ვლახარაკობთ რა იურიდიული მეცნიერების წინაშე მდგომ დიდმნიშვნელოვან ამოცანებზე, ხაზგასმით უნდა მივუთითოთ იმ როლზე, რასაც საჭიროა ასრულებდნენ ამ საქმეში იურიდიული ყურნალები, კერძოდ ჩვენი ყურნალი. მთელი პირდაპირობით, თვითკრიტიკულად უნდა ვაღიაროთ, რომ ყურნალი „საბჭოთა სამართალი“ ჯერ კიდევ განზე დგას საბჭოთა იურიდიული მეცნიერების ბევრი აქტუალური პრობლემის დამუშავებიდან. ყრილობაზე გამოთქმული კრიტიკა საბჭოთა იურისტების მიმართ, რომ ხშირად ისინი გატაცებული არიან ისტორიულ-სამართლებრივი თემებით, მთლიანად და სავსებით შეეხება ჩვენს ყურნალსაც. აუცილებელია აქედან საჭირო პოლიტიკური დასკვნები გამოვიტანოთ.

ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო სსრ კავშირში მართლმსაჯულების განხორციელების, სოციალისტური მართლწესრიგისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პრაქტიკულ საკითხებს.

პარტიამ დააყენა ამოცანა უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტი დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დანაშაულობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ ხანებში ამ მიზნით უკვე გაატარეს სერიოზული ღონისძიებანი. მნიშვნელოვნად ამაღლდა საზოგადოებრიობის როლი დანაშაულებრივ მოვლენებთან ბრძოლის საქმეში. კერძოდ: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ჩაებენ სახალხო რაზმეულები, საზოგადოებრივ კოლექტივებს ხელახალი აღზრდისათვის გადაეცათ შემთხვევით გზასაცდენილი არაერთი დანაშაუვე პირი, ამაღლდა საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების როლი, ფართო გამოყენება ჰპოვა პირობითმა მსჯავრმა, მთელი ძალით ამოქმედდნენ ამხანაგური სასამართლოები და მრავალი სხვა.

ამჟამად რესპუბლიკაში 269 რაზმეული მოქმედებს, რომელშიც 66.000-ზე



მეტი კაცია გაერთიანებული. სახალხო რაზმელებმა არაერთი საშიში დანაშაული ვე გააუვნებელყვეს, აგრძობინეს მათ საზოგადოებრიობის დიდი ძალა. დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოების ფართო მონაწილეობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დანაშაულის გახსნაში და დამნაშავეთა დაძვინაში საზოგადოებრიობის დახმარებით მიმდინარე წელს დამთავრებულია 143 საქმე, კოლექტივებს გადაეცათ ხელახალი აღზრდისათვის 1178 პირი.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პარტიისა და მთავრობის ეს ღონისძიება საესე-ბით დროული იყო და მან გაამართლა თავისი დანიშნულება. მრავალმა ადამიანმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წრიდან, სწორად გაიგეს ჰუმანური დამოკიდებულება, რაც საბჭოთა საზოგადოებრიობამ გამოიჩინა მათ მიმართ და გამოსწორების გზას დაადგა, გახდა წარმოების მოწინავე, კეთილსინდისიერი შრომით შეძლო კოლექტივის წარმოების მოწინავე, კეთილსინდისიერი შრომით შეძლო კოლექტივის წინაშე აღედგინა შეზღუდული ავტორიტეტი.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში, იმ მითითებათა განხორციელებისას, რომ ყოველმხრივ გაძლიერდეს ბრძოლა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ, ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სასამართლო-პროკურატურის მუშაკები არასწორ გზას დაადგნენ, კვლავ დაიწყეს ისეთი პირების დასჯა და საპატიმროებში გაგზავნაც კი, რომლებმაც ჩაიდინეს მცირემნიშვნელობის დანაშაული. ეს პრაქტიკა ეწინააღმდეგება მითითებებს, რაც მოცემულია სკკპ XXII ყრილობის რეზოლუციასა და პარტიის ახალ პროგრამაში.

თავისთავად ცხადია, რომ გარკვეული ხანი სრულ კომუნისზმამდე ადგილი იქნება ცალკეულ დარღვევებს, რომელზედაც ვერ გამოიყენება ზემოქმედების საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ფორმები. ასეთი დარღვევების წინააღმდეგ აუცილებელია გამოყენებული იქნეს სოციალისტური კანონიერების ბასრი მახვილი, მიღებული იქნას მკაცრი ზომები. კომუნისტური საზოგადოების მშენებელი მოქალაქეებისათვის სულ უფრო აუტანელი გახდება ჩვენი საზოგადოების ისეთი წევრების მოქმედება, რომლებიც პატივს არ სცემენ საბჭოთა კანონებს, უხეშად არღვევენ მას, ჩადიან დანაშაულს. საბჭოთა ხალხი ერთი წუთითაც ვერ შეუთრგდება იმას, რომ მუქთახორები, პარაზიტები, მექრთამეები არღვევდნენ კომუნისზმის მშენებელი ადამიანების შრომითს ცხოვრებას, ხელყოფდნენ სოციალისტურ საკუთრებას, ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, მოქალაქეთა პირად ქონებას.

„ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელი აღარ არის, — აღნიშნავდა თავის მოხსენებაში სკკპ XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი, — არავითარ შემთხვევაში არ ინიშნავს საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების რაიმე შესუსტებას. პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებების დაცვას, საბჭოთა ადამიანის უფლებას, პატივს, ღირსებას მტკიცედ დაიცვან საზოგადოება და სახელმწიფო. ვინც ვარაუდობს, რომ საზოგადოებრივი წესრიგი ჩვენს სახელმწიფოში ნაკლებად მტკიცე იქნება, მას მწარედ გაუცრუვდება იმედი. სახელმწიფო ორგანოებთან ერთად გაიზრდება მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ანტისაზოგადოებრივი და დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებლების, მუქთახორებისა და ხულიგნების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტიანი

გახდება, რადგან იგი ყველა მშრომელისა და მათი ორგანიზაციების საქმედ იქცევა“.

სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე საჭიროდ ჩათვალეს განეხორციელებინათ ახალი მეტად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, მხედველობაში გვაქვს ბრძანებულებები, რომლებიც გამოიცა სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების, წამატების, სახელმწიფოს მოტყუებისა, ვალუტით მოვაჭრეთა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა თაობაზე. ამ ბრძანებულებების გამოცემა ნაკარნახევი იყო თვით ცხოვრებით. დასამალი არ არის, რომ ბოლო ხანებში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და მხარეებში, საქართველოშიც სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მხრივ შესუსტდა ბრძოლა იმ პირთა მიმართ, ვინც ბოროტეულად არღვევს სოციალისტური ცხოვრების წესებს. ჩვენი ორგანოები, სამწუხაროდ, შემწყნარებლობას იჩენენ ისეთ დამნაშავეთა მიმართაც კი, რომელთაც ბრალი მიუძღვოდათ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულში. სასამართლო-პროკურატურის ორგანოების ზოგიერთმა მუშაკმა არასწორად გაიგო დებულება — ჰუმანურად მოვეპყრათ იმ პირთ, რომლებმაც შემთხვევით ჩაიდინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული. ჩვენ არ შეგვიძლია და არცა გვაქვს უფლება ჰუმანური ვიყოთ რეციდივისტებისა და იმათ მიმართ, ვინც ჩადის მძიმე და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს. სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები, მკვლევები, ბანდიტები და სხვა ბოროტეული დამნაშავენი საჭიროა დაისაჯონ კანონის მთელი სისასტიკით.

სასამართლო-პროკურატურის ორგანოები მოწოდებული არიან თავიანთი საქმიანობით იძლეოდნენ სამართლიანობის ნიმუშს, ზრდიდნენ ხალხს საბჭოთა კანონებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გრძნობით.

ამ ამოცანის შესრულება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავეობასთან ბრძოლაში ფართოდ ჩაებათ მთელ საზოგადოებრიობას, ყოველმხრივ გამოვიყენებთ მის ძალას, ავტორიტეტსა და სიმტკიცეს.

თავის საანგარიშო მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვი ამის თაობაზე აღნიშნავდა: „ჩვენ უნდა დავნერგოთ პატივისცემა საბჭოთა კანონებისადმი. მთლიანად უნდა გამოვიყენოთ კანონის ძალაც და საზოგადოებრივი ზემოქმედების, გავლენის ძალაც.“

სკკპ XXII ყრილობამ შეაიარაღა პარტია და ხალხი კომუნისმის აშენების ნათელი გეგმით. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ადამიანები, აღფრთოვანებული ყრილობის გადაწყვეტილებებით, კვლავაც იქნებიან კაცობრიობის ავანგარდში — პირველნი ააშენებენ კომუნისმის დიად შენობას.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა

სკკპ XXII ყრილობის გახსნის წინაღღებებში მუშაობა დაამთავრა ქართველი კომუნისტების XXI ყრილობამ, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, შეაჯამა უმნიშვნელოვანესი მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტების — პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების წინასაყრილობო განხილვის შედეგები რესპუბლიკაში, დასაბა საქართველოს სახალხო მეურნეობის და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის ღონისძიებანი.

ყრილობამ ერთხმად მოიწონა პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტები და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მთელი იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოახმარონ კომუნისტების აღზრდას ახალი პროგრამისა და წესდების სულისკვეთებით.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ვ. პ. მყავანაძე.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების, პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებთან ერთად, საანგარიშო მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელების, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმის, ახალი ამოცანების შესაბამისად რესპუბლიკის სასამართლო-პროკურატურის და მილიციის ორგანოების საქმიანობის გარდაქმნის საკითხებს.

ყრილობაზე აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებს დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოების როლის ამაღლების შესახებ, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან დანაშაულებრივ მოვლენების შემცირებისათვის, რაზმავენ ფართო მასებს კაპიტალიზმის ამ გადმონაშთების მთლიანად დაძლევისათვის.

ამასთან ერთად, საანგარიშო მოხსენებაში და ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოებისა და ორგანიზაციების ყურადღება გამახვილებულ იქნა იმაზე, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ბრძოლა განსაკუთრებით საშიში დანაშაულის წინააღმდეგ.

როგორც აღნიშნა თავის მოხსენებაში ან. ვ. პ. მყავანაძემ „ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა კვლავაც მთელი სიმკაცრით უნდა განვაგრძოთ...

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაკები მოვალენი არიან შეასრულონ პარტიის ის მოთხოვნა, რომ არცერთი დანაშაული არ რჩებოდეს გამოუაშკარავებელი. ყველა, ვინც დანაშაული ჩაიდინა, სამართლიანად უნდა დაისაჯოს.

ჩვენ ვცხოვრობთ სოციალისტური დემოკრატიის აყვავების პერიოდში და ყველაზე ჰუმანური კანონები გვაქვს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იმათ, ვინც

სხვადასხვაგვარ დანაშაულს სჩადის, ვინც ურცხვად და ცინიკურად იბარავს სა-
 ხელმწიფო დოვლათს, ვინც მდიდრდება პატიოსანი მშრომელების ხარჯზე, არ
 შეუძლიათ ჰქონდეთ რაიმე ჰუმანურობის, რაიმე ლმობიერების იმედი.“

ყრილობამ მოითხოვა სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორ-
 განოებისაგან „აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა სოციალისტური საკუთრების,
 მოქალაქეთა პიროვნების და უფლების დაცვისათვის, გააძლიერონ ბრძოლა
 საზოგადოებრიობისათვის საშიში დამნაშავეების წინააღმდეგ, უფრო ხშირად
 მოაწყონ გამსვლელი სასამართლო პროცესები საწარმოებში, მშენებლობებზე,
 საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, უფრო ფართო ინფორმაცია
 მიაწოდონ საზოგადოებრიობას სასამართლო განაჩენთა შესახებ.“

ამ მითითებებიდან საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ რესპუბლიკის
 მართლმსაჯულების განმხორციელებელმა ორგანოებმა. სასამართლოსა და
 პროკურატურის მუშაკები კი ამას შეძლებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრძო-
 ლაში დანაშაულის წინააღმდეგ ჩაბაძენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და
 მშრომელთა კოლექტივებს. აუცილებელია გაძლიერდეს დახმარება ამხანაგუ-
 რი სასამართლოებისა და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელებისადმი, რომელ-
 თა საქმიანობა ხელს უწყობს დანაშაულობათა და საზოგადოებრივი მართლ-
 წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

ყრილობის დიდი ყურადღება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების
 საკითხებისადმი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩვენი ორგანოების მუშაობა,
 საბჭოთა კანონების დაცვა, წარმოადგენს საქართველოს პარტიული ორგანი-
 ზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის
 საგანს.

ეჭვი არ არის, რომ სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები შე-
 იარაღებულნი საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის სახელმძღვანელო
 მითითებებით, მკვეთრად გააუმჯობესებენ თავიანთ საქმიანობას, მიაღწევენ
 ყველა დანაშაულთა გახსნას, მისი წარმომშობი მიზეზების ყოველმხრივ
 გამოაშკარავებას, დანაშაულებრივ მოვლენათა შემცირებას, სოციალისტური
 კანონიერების ნორმების შემდგომ განმტკიცებას.

დამნაშავეობის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა
 მკვეთრად შემცირების, შემდეგ კი სავსებით აღმოფხვრის ამოცანა
 მოითხოვს სასამართლოს, პროკურატურის და მილიციის ორგანო-
 ების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული
 ორგანიზაციების, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის მტკი-
 ცე და ყოველდღიურ ღონისძიებებს, კანონებით გათვალისწინებულ
 სასჯელის ზომების სწორ შეხამებას საზოგადოებრივი ზემოქმედე-
 ბისა და აღზრდის ღონისძიებებთან, იმ მიზეზებისა და პირობების
 დროზე გამოაშკარავებასა და აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უწყო-
 ბენ დანაშაულის ჩადენას.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის რეზოლუციიდან

დიდი ეპოქური მოქმედება

3. მარქვილაძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა ახალი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ჩვენი პარტიისა და ქვეყნის, მთელი სოციალიტური ბანაკის, მსოფლიოს ყველა ხალხის ცხოვრებაში. ეს იყო ლენინური პარტიის დიდი ფორუმი, რომელმაც ღრმად და ყოველმხრივ განიხილა საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძირეული საკითხები.

ყრილობის დელეგატებმა, საბჭოთა ქვეყნის კომუნისტთა ათმილიონიანი არმიის რჩეულმა წარმომადგენლებმა მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ახ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებები და მიიღეს სკკპ ახალი პროგრამა და წესდება. დასახეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

სკკპ XXII ყრილობის უდიდესი მნიშვნელობა, მისი განსაკუთრებული ადგილი ჩვენი პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში ის არის, რომ მან მიიღო კომუნიზმის მშენებლობის პირველი კონკრეტული და ყოველმხრივ დასაბუთებული პროგრამა.

ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების, სოციალიზმის მშენებლობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიული გამოცდილების ღრმა და ყოველმხრივი განზოგადების, კომუნიზმის ძირითად კანონზომიერებათა ბრწყინვალე დოკუმენტია, დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი წყობილების მშენებელ ადამიანთა ცხოვრების წიგნია.

პარტიის ახალ პროგრამასა და XXII ყრილობის სხვა დოკუმენტებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. მათში შეჯამებულია ჩვენი პარტიის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის დიდი შედეგები.

პარტიის ახალი პროგრამა მსოფლიოს ყველა ხალხის ძვირფასი შენაძენია. მოძვე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა ჩვენი პარტიის ახალ პროგრამას სამართლიანად უწოდეს ს თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტი. „მსოფლიო პროლეტარიატის ცხოვრებისა და იმედების სიმღერა“ უწოდა დოლორეს იბარურმა ამ პროგრამას. პალმირო ტოლიატმა იგი დაახასიათა როგორც „მარქსისტული აზროვნების ფუნდამენტური დოკუმენტი“. ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდნენ ჩვენი პარტიის პროგრამას XXII ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან საზღვარგარეთის კომუნისტური და მოძვე პარტიების ყველა წარგზავნილი.

ახალი პროგრამის შექმნა შესაძლებელი გახდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ უკანასკნელ წლებში გაწეული გრანდიოზული გარდაქმნების შედეგად, პიროვნების კულტისა და მისი მძიმე შედეგების დაძლევის,

ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეთა იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული განადგურების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ლენინურა კურსის გამარჯვების შედეგად.

პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ ახალ პროგრამასა და წესდებაში გათვალისწინებულია საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მთლიანად გამოირიცხავს პიროვნების კულტის რეციდივების გამოვლინების და ამგვარი შეცდომების გამეორების შესაძლებლობას მომავალში.

მთელი საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადამიანი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მიღებას. თანამედროვეობის ამ უდიდეს მარქსისტულ-ლენინურ დოკუმენტში განზოგადებულია სოციალიზმის მშენებლობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მდიდარი გამოცდილება და მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა. საბჭოთა ადამიანები პროგრამაში ხედავენ თავიანთი იდეალების განხორციელების, მათი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გაუმჯობესების რეალურ გარანტიას. სკკპ XXII ყრილობამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა კომუნისმის ეს შესანიშნავი ჰიმნი და მოთქვეს თავიანთი სიხარული და სიამაყე მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის, რომელიც ნათელი მომავლის გზას უკაფავს მთელ კაცობრიობას. მოკლე ხანში ამ დოკუმენტმა მოიპოვა აღიარება და მოწონება ყველა ქვეყნის კომუნისტებისა, რომლებმაც მას სიამაყით დიადი ეპოქალური დოკუმენტი უწოდეს.

სკკპ პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ყველა კუთხეში; სხვადასხვა ერის, პოლიტიკური და რელიგიური რწმენის მილიონობით ადამიანში, ამავე დროს მას დიდი შემფოთებითა და განგაშით შეხვდნენ სოციალიზმისა და მშვიდობის მტრები. მაგრამ კაპიტალისტური სამყაროს გავლენიანი წრეების უმრავლესობა იძულებულია ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა შეაფასოს, როგორც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც კოლოსალურ გავლენას მოახდენს მსოფლიოს ბედ-იღბალზე.

არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ისტორიაში არასოდეს წამოუყენებია მოქმედების ასეთი გიგანტური, ამბლევებელი პროგრამა, რომლის შესრულება უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას. მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა — ეს არის „ამკარად აღმართული დროშა“, მთავარი საბრძოლო იდეური იარაღი პარტიის ხელში. პარტიის პროგრამა ემყარება მარქსიზმ-ლენინისმის გრანტივან საძირკველს და ეპოქის ძირითად ტენდენციათა და ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიულ პირობათა სწორი ანალიზის საფუძველზე მოკლედ და ნათლად აყალიბებს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ძირეულ ამოცანებს და მოთხოვნებს, განსაზღვრავს მათი განხორციელების გზებს და საშუალებებს.

სკკპ ახალი პროგრამის მთელი შინაარსი, მისი ყოველი თეორიული დებულება და ყოველი პრაქტიკული ამოცანა ნათლად ადასტურებს ჩვენი პარტიის მოღვაწეობის რევოლუციურ, შემოქმედებით ხასიათს. დიდი ლენინის შექმნილი კომუნისტური პარტია თავისი მოღვაწეობის პირველი დღიდანვე წარმოგვიდგა როგორც დიადი ძალა საზოგადოებრივი პროგრესისა, როგორც პარტია ნო-

ვატორი რევოლუციონერებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების გაბედული გამრ-
დამქმნელებისა. კომუნისტური პარტია პირველი წავიდა ძველი სამყაროს წინა-
აღმდეგ შეტევაზე და გაიყოლია ყოველივე, რაც კი მოწინავე, ცოცხალი, გაბე-
დული, გონიერი იყო რუსეთში.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების დროიდან კომუნისტთა პარტია სათავეში ჩაუდგა ამ ქვეყნად პირველ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, გაბედულად იკისრა მთელი პასუხისმგებლობა ხალხის ბედობისათვის. მან ღირსეულად გაამართლა ხალხის დიდი იმედები და ნდობა. ლენინელთა პარტია ძლევდა წარმოდგენელ სიძნელეებს, ტეხდა შინაური და გარეშე მტრების გაა-
ფთრებულ წინააღმდეგობას და განუხრელად, ბრძნულად და წინდახედულად მიუძღოდა და მიუძღვის საბჭოთა ხალხს უვალი გზებით კომუნიზმის მკვერვა-
ლებისაკენ.

ჩვენი პარტია თავისი სახელოვანი ისტორიის ყოველ ეტაპზე მუდამ მიუთი-
თებდა თავის საბოლოო მიზანზე — კომუნისტური საზოგადოების აგების აუ-
ცილებლობაზე. რკპ (ბ) VII ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: „როცა ვიწყებთ
სოციალისტურ გარდაქმნებს, ნათლად უნდა დავისახოთ ჩვენს წინაშე მიზანი,
რომლისკენაც, ბოლოს და ბოლოს, მიმართულია ეს გარდაქმნანი, სახელდობრ
მიზანი კომუნისტური საზოგადოების შექმნისა“...¹

პარტიის არც პირველ და არც მეორე პროგრამაში არ შეიძლებოდა ყოფი-
ლიყო მოცემული კომუნისტური საზოგადოების ფართო დახასიათება. პარტიის
მეორე პროგრამის შემუშავებისა და განხილვისას ვ. ი. ლენინი არაერთგზის მი-
უთითებდა, რომ მარქსისტული პარტიის პროგრამა „უნდა გამოდიოდეს აბსო-
ლუტურად ზუსტად დადგენილი ფაქტებიდან“², რომ „პროგრამა უნდა შეიცავ-
დეს აბსოლუტურად უდავოს, ფაქტიურად დადგენილს, მხოლოდ მაშინ არის ის
მარქსისტული პროგრამა“³. სკკპ ახალ პროგრამაში კონკრეტულად და დამაჯე-
რებლად არის დასაბუთებული, რომ ჩვენს ქვეყანას ამჟამად ყველაფერი აქვს,
რაც საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. პროგრამის
კონკრეტულობა, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება მისი ეკონომიური ნაწილით,
რომელიც მიძღვნილია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის
აუცილებლობისადმი.

„პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა, — ნათქვა-
მია პროგრამაში, — ის არის, რომ ორი ათწლეულის მანძილზე შექმნან კო-
მუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს ნიშნავს: ჩვენი ქვეყნის სრულ
ელექტროფიკაციას და ამ საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და საზოგა-
დოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას მრეწველობასა და სოფლის
მეურნეობაში...“

სკკპ პროგრამამ გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური თეორია კომუნისტუ-
რი საზოგადოების აშენების შესახებ. მასში მოცემულია თანამედროვე საერთა-
შორისო განვითარების ღრმა ანალიზი, ნაჩვენებია კაპიტალიზმისა და სოციალი-
ზმის ძალთა თანაფარდობა, განსაზღვრულია მუშათა რევოლუციური მოძრაობის
და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ძირითადი ტენდენციები.

თუ კომუნიზმი საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის მხოლოდ ოცნება

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 137.

² ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 142.

³ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 184.

იყო, ახლა იგი თანამედროვეობის უდიდეს ძალად, ცოცხალ, რეალურ სინამდვილედ გადაიქცა.

„ყველა ქვეყნის პროლეტარების მამაცურმა და თავდადებულმა ბრძოლამ, — ნათქვამია პროგრამაში, — კაცობრიობა მიუახლოვა კომუნიზმს. თავდაპირველად ათობით და ასობით, შემდეგ ათასობით და მილიონობით ადამიანს, კომუნიზმის იდეალებით აღფრთოვანებულს, იერიში მიჰქონდა ძველ სამყაროზე. პარიზის კომუნა, ოქტომბრის რევოლუცია, სოციალისტური რევოლუციები ჩინეთში და ევროპისა და აზიის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში — ასეთია კომუნიზმის გამარჯვებისათვის საერთაშორისო მუშათა კლასის გმირული ბრძოლების უმნიშვნელოვანესი ისტორიული მიჯნები“.

პირველად მარქსისტულ ლიტერატურაში მოცემულია კომუნიზმის, როგორც საზოგადოებრივი განვითარების უმაღლესი ფაზის, სრული დახასიათება. კომუნიზმი ყველაზე ჰუმანური, ყველაზე სამართლიანი, უკლასო საზოგადოებრივი წყობილებაა, რომლის დროსაც ყველა ადამიანი იქნება ნამდვილად თავისუფალი და სოციალურად სავსებით თანასწორი, სადაც საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიადი პრინციპი: „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“.

სკკპ პროგრამა იძლევა ჩვენი ეპოქის ზუსტ და ღრმა მეცნიერულ დახასიათებას, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დაიწყო დიდი ოქტომბრის რევოლუციამ. მასში ნაჩვენებია კაპიტალისტური სისტემის ღრმა და მწვავე წინააღმდეგობანი. „მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა, — ნათქვამია პროგრამაში, — მთლიანად მომწიფდა პროლეტარიატის სოციალური რევოლუციისათვის“. პროგრამა ასახავს იმ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს, რომ სოციალიზმი გამოვიდა ერთი ქვეყნის ჩარჩოებიდან და გადაიქცა მსოფლიო სისტემად. მასში მოცემულია ამ სისტემის განვითარების კანონზომიერებანი, ხაზგასმულია სოციალისტური ქვეყნების ხალხთა თანამეგობრობის გადამწყვეტი როლი. „**სოციალიზმის მთავარი გზა გაკაფულია, — ნათქვამია პროგრამაში, — ამ გზას ადვას უკვე ბევრი ხალხი, ამ გზას ადრე, თუ გვიან დაადგება ყველა ხალხი**“.

სკკპ ახალი პროგრამა მოიცავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს. მასში გაშლილად არის მოცემული პარტიისა და ხალხის ძირითადი ამოცანები კომუნისტური საზოგადოების არა მარტო მატერიალური სიუხვის, არამედ პოლიტიკური, კულტურული, იდეოლოგიური და მორალური წინამძღვრების შექმნისათვის. პროგრამაში ჩამოყალიბებულია მთელი რიგი ახალი თეორიული დებულებანი, რომელთაც დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვთ მეცნიერული კომუნიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

პროგრამის ეკონომიურ განყოფილებაში თავისი შემდგომი განვითარება და დაკონკრეტება ჰპოვა მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ კომუნიზმის ორი ფაზისა და კომუნიზმში სოციალიზმის გადაზრდის კანონზომიერებათა შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ სოციალიზმი კომუნიზმისაგან როდია გამოყოფილი რაიმე კედლით, რომ კომუნიზმი აღმოცენდება უშუალოდ სოციალიზმიდან, არის მისი პირდაპირი გავრძელება, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა ობიექტური კანონზომიერი პროცესია. პროგრამაში დასაბუთებულია, თუ როგორ იწარმოებს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის — საერთო-სახალხო (სახელმწიფო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების შემდგომი გან-



ვითარება და მათი შერწყმა. დასახულია ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების თანხონობით მოსპობის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი ზღვრების წაშლის გზები.

პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის მძლავრი დარტყმებით ირღვევა იმპერიალიზმის სამარცხვინო კოლონიური სისტემა. თავისი მნიშვნელობით ეს არის მეორე მოვლენა მსოფლიო სოციალიზმის სისტემის შექმნის შემდეგ.

პროგრამაში ღრმა მეცნიერული დასაბუთება ჰპოვა იმ დებულებამ, რომ კაცობრიობა ადრე თუ გვიან საბოლოოდ დაადგება კომუნიზმის გზას, რომელიც ასრულებს სოციალური უთანასწორობისაგან, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან, ომის საშინელებათაგან ყველა ადამიანის განთავისუფლების ისტორიულ მისიას და ამყარებს დედამიწაზე ყველა ხალხისათვის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობასა და ბედნიერებას.

კომუნისტური საზოგადოება იქმნება არა სტიქიურად, არამედ ხალხის მასების შეგნებული და მიზანდასახული საქმიანობის შედეგად, რომლებსაც ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური პარტია. კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მშრომელთა ყველაზე მოწინავე წარმომადგენლებს, მჭიდროდ დაკავშირებულია მასებთან, სარგებლობს უსაზღვრო ავტორიტეტით ხალხში, დაუფლებულია საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნას, უზრუნველყოფს კომუნიზმის მშენებლობისათვის მთელი მუშაობის სწორ ხელმძღვანელობას, აძლევს მას ორგანიზებული, გეგმაზომიერი, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს. კომუნისტური პარტია მოწოდებულია დარაზმოს ხალხის ძალები და გაუადვილოს მას გამარჯვება. „პარტია, — ნათქვამია პროგრამის პროექტში, — არსებობს ხალხისათვის, მისთვის სამსახური მიაჩნია თავისი საქმიანობის აზრად“.

რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში კომუნისტურმა პარტიამ მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი, ნდობა და სიყვარული მთელი საბჭოთა ხალხისა. მან შეძლო აღედრა ხალხში დიადი ენერჯია დიადი მიზნის მისაღწევად — სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად. „სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, საბჭოთა საზოგადოების ერთიანობის განმტკიცების შედეგად, ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მუშათა კლასის კომუნისტური პარტია, გადაიქცა საბჭოთა ხალხის ავანგარდად, გახდა მთელი ხალხის პარტია, გააფართოვა თავისი წარმმართველი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. პარტია გონება, ღირსება და სინდისის ჩვენი ეპოქისა, რომელიც დიად რევოლუციურ გარდაქმნებს ახორციელებს. იგი ფიზიკლად აკვირდება მომავალს, უსახავს ხალხს წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს, უღვიძებს გიგანტურ ენერჯიას, მიუძღვის მათ გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად“.

კომუნიზმის გამწვანებული მშენებლობის პერიოდს ახასიათებს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა.

საზოგადოების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ახალ სიტყვას, დიდმნიშვნელოვან წვლილს მის შემდგომ შემოქმედებით განვითარებაში წარმოადგენს პროგრამაში მოცემული განსაზღვრა პარტიის ამოცანებისა სახე-

ლმწიფოებრივი მშენებლობის კონკრეტული გზებისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების შესახებ კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში.

პროგრამის პირველხარისხოვანი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის აღმოჩენად მიჩნეულ უნდა იქნეს ახალი დებულება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომელსაც ვ. ი. ლენინი მარქსიზმის ქვაკუთხედს უწოდებდა.

ხალხი ახალი საზოგადოების შემოქმედია, სოციალური რევოლუციების გადამწყვეტი ძალაა. იგი მთელი მატერიალური და სულიერი სიკეთის შემქმნელია. კომუნიზმის აშენება ხალხის, მისი ენერჯის, მისი გონების საქმეა. კომუნიზმის გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანებზე, და კომუნიზმი ადამიანებისათვის შენდება, რომლის დროს მთლიანად განხორციელდება პარტიის ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

სოციალისტური რევოლუციით შობილმა პროლეტარიატის დიქტატურამ უზრუნველყო სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება სსრ კავშირში და ამით მან ღირსეულად შეასრულა მსოფლიო-ისტორიული როლი. ამავე დროს სოციალიზმის აშენების პროცესში მან თვითონ განიცადა ცვლილებები. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გაქრა მათი წინააღმდეგობის დათრგუნვის ფუნქცია. განუხრელად ფართოვდებოდა დემოკრატია. თავდაპირველად ეს იყო პროლეტარული დემოკრატია, რომელიც ერთგვარ პრივილეგიას ანიჭებდა მუშათა კლასს და მიმართული იყო ბურჟუაზიულ-მემამულური ელემენტების წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის მშენებლობაში ყველა მშრომელის აქტიურად ჩაბმის შედეგად პროლეტარული დემოკრატია თანდათანობით გადაზარდა საყოველთაო-სახალხო **სოციალისტურ** დემოკრატიად, რომელიც ერთნაირ უფლებებს ანიჭებს ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა გაქრა.


„მუშათა კლასი. — ნათქვამია პროგრამაში, — ისტორიაში ერთადერთი კლასია, რომელიც მიზნად არ ისახავს თავისი ძალაუფლების საუკუნოდ დამკვიდრებას.


პროლეტარიატის დიქტატურამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის — კომუნიზმის პირველი ფაზის — სრული და საბოლოო გამარჯვება და საზოგადოების გადასვლა კომუნიზმის გაწლილ მშენებლობაზე, შეასრულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი განვითარების ამოცანების თვალსაზრისით იგი აუცილებელი აღარ არის სსრ კავშირში. სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების განზოგადების საფუძველზე პროგრამამ გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური თეორია სახელმწიფოს შესახებ. მასში მოცემულია საბჭოთა სახელმწიფოს არსის ზუსტი დახასიათება, განსაზღვრულია თუ როგორ იცვლებოდა სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციები და კლასობრივი ბუნება ახალი წამყაროს მშენებლობის ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში.

ყოველმხრივ განავითარა რა თავისი მთავარი ფუნქციები — სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელი მთავარი ფუნქციები, სოციალისტური სახელმწიფო შევიდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში. დაიწყო

8758





ცესი სახელმწიფოს გადაზრდისა სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციად.

სახელმწიფო მოწოდებულა მოაწყოს კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური ურთიერთობის გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობად, განახორციელოს კონტროლი შრომისა და მოხმარების ზომისადმი, უზრუნველყოს კეთილდღეობის აღმავლობა, დაიცვას საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და თავისუფლებანი, სოციალისტური მართლწესრიგი და სოციალისტური საკუთრება, აღზარდოს ხალხის მასები შეგნებული დისციპლინის და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საიმედოდ უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და უშიშროება, განავითაროს ძმური თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან, დაიცვას საყოველთაო მშვიდობის საქმე და ნორმალური ურთიერთობა იქონიოს ყველა ქვეყანასთან.

მუშათა კლასი როგორც საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ორგანიზებული ძალა საზოგადოების ხელმძღვანელის თავისი ფუნქციის შესრულებას დაამთავრებს კომუნისმის აშენებასთან ერთად, როცა გაქრებიან კლასები. სახელმწიფო კი, როგორც საერთო-სახალხო ორგანიზაცია, დარჩება კომუნისმის სრულ გამარჯვებამდე. მასასადამე, მუშათა კლასის დიქტატურა აუცილებელი აღარ იქნება ჯერ კიდევ მანამდე, სახამ სახელმწიფო მოკვდებოდეს.


პარტიის პროგრამაში კონკრეტულად განსაზღვრულია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარი მიმართულება კომუნისმის მშენებლობის პერიოდში. იგი გამოხატება სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარებითა და სრულყოფით, სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობით, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი საქმიანობისადმი სახალხო კონტროლის გაძლიერებით.

„სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების პროცესში, — ნათქვამია ახალ პროგრამაში, — მოხდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანდათანობითი გადაქცევა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებად“.

პროგრამაში გაცემულია ნათელი პასუხი კითხვაზე სახელმწიფოს კვდომის შესახებ. დასაბუთებულია, რომ სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება თანდათან გამოიწვევს მის გარდაქმნას საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმმართველობად, რომელშიც გაერთიანდებიან საბჭოები, პროფესიული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები. ეს კი მომასწავებელი იქნება დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. მეურნეობისა და კულტურის მართვის ახლანდელი სახელმწიფო ორგანოები დაკარგავენ პოლიტიკურ ხასიათს და გახდებიან საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არსებობს საერთო სახალხო სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებსა და ნებისყოფას. მაგრამ საბჭოთა საზოგადოების კომუნისმში გადასვლით, როცა კლასობრივი მიჯნები საბოლოოდ წაიშლება, მთელი საზოგადოება გარდაიქმნება მშრომელთა მონოლითურ ასოციაციად. ამ ისტორიულ განვითარებას, ცხადია, გარდუვალად მოსდევს სახელმწიფოს კვდომაც. „სახელმწიფოს სრული კვდომისათვის, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — უნდა შე-

გვ. 26



იქმნას როგორც შინაგანი პირობები — განვითარებული კომუნისტური საზოგადოების ამენება, ისე გარეგანი პირობებიც — საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის გამარჯვება და დამკვიდრება“.

სკკპ პროგრამაში მოცემულია კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი. იგი შეიცავს ისეთ ზნეობრივ ნორმებს, როგორიცაა კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება; სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნისადმი სიყვარული; კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ; ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის; შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი; კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის, ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთ პატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმა; პატიოსნება და სიმართლე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში; ურთიერთ-პატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის; შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახრობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი; სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი; შეურიგებლობა კომუნიზმის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი; ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყველა ხალხთან.

კომუნიზმის ეს მორალური კოდექსი თანდათანობით გადაიქცევა კომუნისტური თანაცხოვრების ნორმებად და წესებად. მასში თავმოყრილია ყოველივე საუკეთესო, რაც აქამდე შეუქმნია კაცობრიობას მორალის დარგში.

პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიის ამოცანებს იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ჩვენ ახლა ისეთ პერიოდში ვცხოვრობთ, როცა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა შორეული მონავლის საქმე კი არ არის, არამედ დღევანდელი ცხოვრების უშუალო პრაქტიკული ამოცანაა. საბჭოთა საზოგადოებამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვა ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში, სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა ფორმირებაში. სოციალიზმმა უკვე დაამტკიცა თავისი გადაწყვეტი უპირატესობანი კაპიტალიზმის წინაშე ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყანა გოლიათური ნაბიჯებით კვალავს კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ მიმავალ გზას და ზედიზედ იპყრობს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ-ახალ მწვერვალებს. განსაკუთრებით საამაყოა, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ერთგული შვილები — იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი პირველნი აიჭრნენ კოსმოსის სივრცეში და სინამდვილედ აქციეს კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება. მათ ჩაიღინეს გაუგონარი გმირობა, რომელიც მარად იცოცხლებს.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ახალი ადამიანის აღზრდა ერთიანი პროცესია, კომუნიზმისათვის ბრძოლის მულტიმექტური ფაქტორია. ახალი ადამიანის შეგნების ჩამოყალიბება წარმოუდგენელია მისი პრაქტიკული მოღვაწეობის გარეშე. შრომა არის ყველა მატერიალური და სულიერი სიკეთის საფუძველი. ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანთა ცხოვრებისა და განვითარებისათვის, შრომით იქმნება. „კომუნისტურ საზოგადოებაში. — ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში, — ადამიანს არ შეუძლია არ შრომობდეს. ამის ნებას არ მისცემს არც თავის შეგნება, არც საზოგადოებრივი აზრი. შრომა



უნარის მიხედვით გახდება საზოგადოების ყველა წევრის ჩვევა, პირველი სასიცოცხლო მოთხოვნაა“. ამიტომ მომავლის ადამიანის შრომითი აღზრდა მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის გენერალური ხაზია, კომუნისტური აღზრდის გადამწყვეტი რგოლია.

კომუნისმის მშენებლობას ახალი მომენტები შეაქვს ეროვნული ურთიერთობის საკითხშიც, თვითეული ხალხის ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. სკკპ ახალ პროგრამაში მკაფიო განსახიერება პპოვა ლენინურმა იდეებმა ეროვნულ საკითხში, განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ურთიერთობის პერსპექტივები.

ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტა ჩვენს ქვეყანაში, ერებსა და ეროვნებათა შორის ნამდვილი ინტერნაციონალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარია, მთელი პროგრესული კაცობრიობის შენაძენია.

პროლეტარიატის ეროვნული ინტერესების სწორი შეხამება მის კლასობრივ ინტერესებთან იყო. არის და კვლავ იქნება მარქსისტულ-ლენინური პარტიის ტაქტიკისა და სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი. ჩვენი პარტიის წარმატება ეროვნულ საკითხში სწორედ იმით აიხსნება, რომ ვ. ი. ლენინმა, ბოლშევიკებმა შესძლეს სწორად შეეხამებინათ პროლეტარიატის ეროვნული ამოცანები მის ინტერნაციონალურ, კლასობრივ ინტერესებთან.

ჩვენი პარტიის პირველ პროგრამაში, რომელიც შემუშავებული იყო ვ. ი. ლენინის მიერ და მიღებული პარტიის მეორე ყრილობაზე 1903 წელს, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად სახავს მეფის თვითმპყრობელობის დაშლას და მის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას.


სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამ რუსეთში შექმნეს აუცილებელი პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური საფუძვლები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ლენინური პროგრამის განსახორციელებლად, ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის ძმური მეგობრობისა და ნამდვილი ნდობის დასამყარებლად.

კომუნისტური პარტიის მეორე პროგრამამ, რომელიც შემუშავებული იყო ვ. ი. ლენინის მიერ და მიღებული პარტიის VIII ყრილობაზე 1919 წელს, განსაზღვრა პროლეტარიატის ამოცანები ეროვნული ურთიერთობის განვითარების დარგში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში. ჩვენმა პარტიამ წარმატებით განახორციელა ეს ამოცანა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული დამსახურება ისაა, რომ მათ უზრუნველყვეს ერების არა მარტო პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა, არამედ მემკვიდრეობით მიღებული მათი ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაცია.

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პროცესში იქმნება ყველაზე უფრო მეტი ობიექტური შესაძლებლობა თვითეული სოციალისტური ერის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი აყვავებისათვის, ერების დაახლოებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას აერთიანებს ინტერესთა ერთიანობა, მიზნების ერთობა. ამიტომ თანასწორსუფლებიანი სოციალისტური ერე-



ბის ყოველმხრივი დაახლოების პროცესი ერების შემდგომი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა გამოხატულებაა.

„გაშლილი კომუნისტური მშენებლობა, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ნიშნავს ახალ ეტაპს სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში, რასაც ახასიათებს ერების შემდგომი დაახლოება და მათი სრული ერთობის მიღწევა“. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეროვნულ ურთიერთობათა განვითარება თვითდინებით წავა. როგორც გამოცდილება მოწმობს თვითდინება ამ საკითხში იწვევს შოვინისტური და ნაციონალისტური გადმონაშთების გამოცოცხლებას, კუთხურობის გამოვლინებას, ვიწრო ეროვნული ინტერესების საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი დაპირისპირებას. ამიტომ პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება სოციალისტური ერების დაახლოების მზარდ ობიექტურ შესაძლებლობათა ყველაზე უფრო სრული გამოყენების აუცილებელი პირობაა.

ამჟამად დიდი აქტუალობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ურთიერთობის საკითხის სწორად გაშუქებას, სოციალისტური ერების დაახლოების, მათი კულტურების ურთიერთგამდიდრების პროცესის ღრმად და ნათლად ჩვენებას.

ამოცანა ის არის, რომ პრობაგანდა გავუწიოთ იმ ახალ ტრადიციებსა და ჩვეულებებს, რომლებიც კომუნიზმის მშენებლობის პროცესში წარმოიშობა მშრომელ მასებს შორის და რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს კულტურას.

ნაციონალისტური გადმონაშთები, რომლებიც წარსულის ყველაზე მანეგ გადმონაშთებია, ხშირად თავის გამოხატულებას პოულობენ ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების მნიშვნელობის გაზვიადებით, კულტურის ეროვნული ფორმის მოთხოვნის უაღრესად შეღამაზებული და შენიღბული ფორმებით. აი რატომაა, რომ იმპერიალიზმი თავის იდეოლოგიურ დივერსიებში სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ სწორედ ეროვნული ტრადიციების და ეროვნულ თავისებურებათა აღმით ცდილობს გააღვივოს ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

სპეციფიკურ ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების საბაბით თანამედროვე რევოლუციონისტები უარყოფენ სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებას და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის სხვა საერთო-სავალდებულო კანონზომიერებებს. განვითარების თავისი „საკუთარი“ ეროვნული განსაკუთრებული გზის ქადაგებით რევოლუციონისტები წამლავენ მასების შეგნებას შოვინიზმისა და ნაციონალიზმის შხამით, დიდ ზიანს აყენებენ ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერნაციონალურ თანამშრომლობას, ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან სოციალისტური ბანაკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ.

ამიტომ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის ნოემბრის თათბირმა მიუთითა, რომ ეროვნულ თავისებურებათა როლის გაზვიადება, სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტებისაგან დაცილება ზიანს აყენებს სოციალიზმის საერთო საქმეს და, პირიქით, პროლეტარული პარტიის მიერ ეროვნულ თავისებურებათა უგულვებლყოფას შეიძლება მოჰყვეს მისი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, მასებისაგან, ზიანი მიაყენოს სოციალიზმის საქმეს.



თათბირმა მიუთითა, რომ ნაციონალიზმისა და ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინებანი არ ქრებიან ავტომატურად სოციალისტური წყობილების დამკვიდრებასთან ერთად, რომ სოციალიზმის ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის საჭიროა კომუნისტური და მუშაობის პარტიების მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალისტური პოლიტიკა, ყველა მშრომელის აღზრდა, პატრიოტიზმთან ინტერნაციონალიზმის შეხამების სულისკვეთებით, გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ.

სოციალიზმის ბანაკის ყველა ქვეყნის გადამწყვეტი გამარჯვებანი მოწმობენ მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველყოფილი იდეების ზეიმს და ნათლად უჩვენებენ კაპიტალის უღელქვეშ მყოფ ყველა ხალხს, რომ ამ მოძღვრების საფუძველზე მოწყობილი საზოგადოება უსაზღვრო შესაძლებლობებს ქმნის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, ადამიანთა ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის.

მეოცე საუკუნე მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების გამარჯვების საუკუნეა. ჯერ კიდევ 1913 წელს ლენინი მიუთითებდა, რომ მას შემდეგ რაც მარქსიზმი გაჩნდა, ყოველ ისტორიულ ეპოქას მოჰქონდა მისთვის სულ ახალი დადასტურება და ტრიუმფი. „მაგრამ მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას, კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს მომავალი ისტორიული ეპოქა“. ლენინის ეს წინასწარხედვა გასაოცარი სიზუსტით ახდა.

„კომუნიზმი, — აღნიშნა ხრუშჩოვმა ინდონეზიის ეროვნულ უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში, — არის დიადი მიზანი, დიადი იდეა. იდეების დაწერგვა არ შეიძლება ძალის დახმარებით, ისევე როგორც არავითარი ძალით, არავითარი იარაღით არ შეიძლება მათი შეჩერება. კომუნიზმი თვით ცხოვრებაა. სადაც კაცია ცხოვრობს, იქ ცხოვრობენ იდეებიც. კომუნიზმს, იდეებს ვერავითარი საზღვრით ვერ გაემიჯნები. კომუნიზმის იდეებს ვერ დაემალები, როგორც დამურა ემალება მზეს. შეიძლება აღიარებდე ან არ აღიარებდე კომუნიზმს, მაგრამ ეს მოძღვრება არსებობს და განაგრძობს ძლევამოსილად განვითარებას“.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები დაუძლეველი ძალით ეუფლებიან ადამიანთა გონებასა და გულს დედამიწის ყველა კუთხეში. უეჭველია, რომ მომავალი კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის დიად მოძღვრებას.

«კოლმეურნეობათა ეკონომიური აღმავლობა შესაძლებელს გახდის სრულყოფილ შინასაკომეურნეო ურთიერთობას»: ავამაღლოთ განსაზოგადოებელი წარმოების დონე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან.

საკომეურნეობათა ეკონომიური აღმავლობის საკომეურნეო და მათი რეალიზაციის საკომეურნეო საკომეურნეო მანუალური დონის კავშირები

დოც. ბ. ბაგვალიძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სხვა მრავალ პრობლემებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს სოციალისტური საკუთრების ფორმების განვითარებას, მათ შორის სხვაობის წაშლის საკითხს.

როგორც ეს პროგრამაშია აღნიშნული, კომუნისტური საზოგადოების აშენება გულისხმობს ერთიანი კომუნისტური საკუთრების შექმნას, სოციალისტური საკუთრების სახელმწიფო და კოოპერაციულ-საკომეურნეო ფორმების შერწყმას ერთიან კომუნისტურ საერთო-სახალხო საკუთრებად.

ამყადა ჩვენი საზოგადოება შესულია კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ამიტომ საკომეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლებასა და მათ ერთიან კომუნისტურ საკუთრებად შერწყმის პრობლემას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საკომეურნეო-კოოპერაციული საკუთრების საერთო სახალხო საკუთრებად გადაქცევა მოხდება არა საკომეურნეო წარმოების შეკვეცის გზით, არამედ საერთო სახალხო საკუთრების დონემდე საკომეურნეო-კოოპერაციული საკუთრების დონის თანდათანობით ამაღლების გზით.

კომუნისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მთავარი ამოცანა ისაა, — აღნიშნავდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ განვავითაროთ სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა „...თანდათანობით ავამაღლოთ საკომეურნეო საკუთრების განზოგადოების დონე და ამრიგად ავიყვანოთ იგი საერთო სახალხო საკუთრების დონემდე. ეს შეიძლება გავეთდეს მხოლოდ როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საკომეურნეო საკუთრების შემდგომი ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისა და განვითარების გზით“¹.

სკკპ XXI ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მთელი სიღრმით ახსნა ის ძირითადი პროცესები, რომლებიც ახასიათებს საკომეურნეო-კოოპერაციული საკუთრების მიახლოებას საერთო-სახალხო საკუთრებამდე და მათ შორის ზღვარის თანდათანობით წაშლას. „საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებით, — აღნიშნავდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, — ამაღლება საკომეურნეო წარმოების განზოგადოების დონეც. მოხდება საკომეურნეო-კოოპერაციული საკუთრების დაახლოება საერთო-სახალხო საკუთრებასთან, თანდათანობით წაიშლება ზღვარი მათ შორის“¹.

ამას მოწმობს შემდეგი ძირითადი პროცესები:

1) განუხრელად იზრდება კომეურნეობათა განუყოფელი ფონდები, რომლებიც შეადგენენ საკომეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა

¹ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის (1958 წლის) პლენუმის მასალები, 1958, გვ. 43.

და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებასთან თანდათანობითი დაახლოების ეკონომიკურ საფუძველს.

2) საკოლმეურნეო საკუთრება სულ უფრო სრულად მოიცავს სოფლის მეურნეობის ყველა დარგს. საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების კვალობაზე სულ უფრო მეტად დაკმაყოფილდება კოლმეურნეთა მოთხოვნილება არა პირადი ნაკლებპროდუქტიული დამხმარე მეურნეობიდან, არამედ ეკონომიურად ხელსაყრელი საერთო საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციიდან.

3) სულ უფრო ფართოდ განვითარდება და გაიზრდება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო ურთიერთობა, კოლმეურნეობათა თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები.

4) სულ უფრო მეტად განვითარდება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რის საფუძველზეც სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად.

საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების შერწყმა სახელმწიფო საკუთრებასთან ერთ საერთო-სახალხო საკუთრებად უბრალო ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიება როდია, იგი ამავე დროს ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ღრმა პრობლემის გადაჭრაცაა.

როგორც ცნობილია, კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა გულისხმობს საწარმოო ძალების განვითარების ისეთი დონის მიღწევას, რაც შესაძლებელს გახდის უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლას, მუშებსა და გლეხებს შორის კლასობრივი განსხვავების მოსპობას. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის შეცვლას ერთიანი კომუნისტური საკუთრებით, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების მოსპობასთან.

ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევისათვის აუცილებელია განხორციელდეს სოფლად საწარმოო ძალების განვითარებაში, წარმოებით ურთიერთობათა განვითარებაში, კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში ძირეული გარდაქმნები. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოიცავს სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის სახესხვაობად გადაქცევასაც. ეს იმას ნიშნავს, რომ არამარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც მთლიანად განხორციელდება წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, ავტომატიზაცია, ელექტროფიკაცია და ქიმიზაცია.

სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის სახესხვაობად გადაქცევისათვის საჭიროა წარმოების ორგანიზაციის მიხედვით კოლმეურნეობის შემდგომი დაახლოება სამრეწველო საწარმოს ტიპთან — წარმოების კონცენტრაციის და სპეციალიზაციის განვითარება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების მიერ, აგრეთვე სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ერთობლივი მონაწილეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი და სხვა სარაიონთაშორისო საწარმოების შექმნას. ასეთი საწარმოების შექმნა, (საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, საცხოვრებელი სახლების, გზების და სხვ.) უზრუნველყოფს სამუშაო ძალის უფრო თანაზომიერად გამოყენებას სოფლად.

1 ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 - 1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ, 1959, გვ. 135.

ამრიგად, საკოლმეურნეო საკუთრების განზოგადოების დონის ამაღლებასა და მისი სრულყოფისათვის ერთერთ მნიშვნელოვან გზას საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანებებისა და კოლმეურნეობებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების განვითარება წარმოადგენს. მათი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია საკოლმეურნეო წარმოების განვითარების ახალ ეტაპთან და იგი განპირობებულია კოლმეურნეობათა ეკონომიური მოთხოვნილებებით. სწორედ ამიტომ აღნიშნავდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ „საკოლმეურნეო წყობილების განვითარებას ამჟამად ახასიათებს ისეთი ახალი პროგრესული მოვლენა, როგორც არის საკოლმეურნეობათაშორისო წარმოებითი ურთიერთობის გაფართოება. ეს ურთიერთობა მიმდინარეობს კოლმეურნეობების მიერ ელექტროსადგურების, გზების, სარწყავ და სამელიორაციო ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემნახველ და გადამამუშავებელ საწარმოთა მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოების საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი მშენებლობის ხაზით. საერთო დონისძიებათა ასეთი გაერთიანება ეხმარება კოლმეურნეობებს ბევრი დიდმნიშვნელოვანი საწარმოო და საზოგადოებრივი საკითხის გადაჭრაში. ამავე დროს მას განზოგადოების უფრო მაღალ დონეზე აყვავს სოციალისტური საკოლმეურნეო საკუთრება, უფრო მჭიდროდ აკავშირებს მას საერთო-სახალხო ქონებასთან“¹.

ამრიგად, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანებანი წარმოადგენენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლთაგანს სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფისათვის. ამიტომ იმ საკითხების შედარებით უფრო სწორად გადაჭრას, რომელნიც ხელს უწყობენ საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებას, მათდამი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას, არამარტო უდიდესი პრაქტიკული, არამედ დიდი თეორიული მნიშვნელობაც აქვს.

თავისი სოციალურ-ეკონომიური ბუნებით საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები წარმოადგენენ საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებას. მაგრამ, იმის გამო, რომ ისინი წარმოადგენენ არა ცალკეულ კოლმეურნეობათა განსაზღვრული ჯგუფის საკუთრებას, თავიანთი ხასიათით უახლოვდებიან საერთო-სახალხო საკუთრების საწარმოებს.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების შექმნის თვით ფაქტი უკვე აფართოებს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფარგლებს. თუ წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილებას საკოლმეურნეო საკუთრება აყვავს განზოგადოების უფრო მაღალ დონემდე, აფართოებს ჯგუფური მფლობელობის ჩარჩოებს, მაგრამ ამით არ ცვლის საკოლმეურნეო საკუთრების სოციალურ ბუნებას, მით უმეტეს ეს ეხება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებს, რომლის მესაკუთრედ ითვლება არა ცალკეული კოლექტივი, არამედ კოლმეურნეობათა განსაზღვრული ჯგუფი.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების წარმოშობა და განვითარება განპირობებულია პირველ რიგში იმით, რომ წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია მთელ რიგ დარგებში კოლმეურნეობებს აძლევს უდიდეს ეკონომიურ უპირატესობებს. საკოლმეურნეო-

¹ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, 1958 წლის 15-19 დეკემბერი, სტენოგრაფიული ანგარიში, 1959, გვ. 84-85.

ბათაშორისო საწარმოების საქმიანობა ემყარება უფრო სრულყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს, ისინი იყენებენ პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესებს, ნაინჟინრო-ტექნიკური და აგროტექნიკური ხელმძღვანელობა იქ უფრო კვალიფიციურია. ამასთან, ისინი, როგორც წესი, სპეციალიზებული საწარმოებებია, რის გამოც მათ ფართო შესაძლებლობანი აქვთ საწარმოო პროცესების ორგანიზაციის სრულყოფისათვის, კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებისათვის, შრომის დანაწილებისა და სპეციალიზაციის განვითარებისათვის.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანებანი წარმოიშვა ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში, მაგრამ იმ დროს მათ არ მიუღიათ ფართო გავრცელება. ეს უმთავრესად იხსნება იმით, რომ მაშინ კოლმეურნეობების ეკონომიკა სუსტი იყო, ხოლო სოფლად საწარმოო ძალთა განვითარების დონე დაბალი. მაგრამ სულ სხვანაირად დაისვა საკითხი ომის შემდგომ პერიოდში. სოფლის მეურნეობის სრულყოფილი ტექნიკით უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესაბამისად საწარმოო ძალთა განვითარება მოითხოვდა წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფასაც, სასოფლო-სამეურნეო არტელების გამსხვილებას, რაც თავის მხრივ, ფართო გასაქანს იძლეოდა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის.

კოლმეურნეობები, არაერთგზის გამსხვილების შედეგად, გადაიქცნენ უმსხვილეს მაღალმექანიზებულ სოციალისტურ საწარმოებად, რომლებიც მეურნეობას წარმართავენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე. 1959 წელს ჩვენს ქვეყანაში ითვლებოდა 53,4 ათასი კოლმეურნეობა ნაცვლად 235,5 ათასისა 1940 წელს. თუ 1940 წელს ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 81 კომლი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 1929 ჰექტარი, განუყოფელი ფონდები 118 ათასი მანეთის და ფულადი შემოსავალი 88 ათასი მანეთის, 1959 წელს მოდიოდა 343 კომლი, 5538 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, 3475 ათასი მანეთის განუყოფელი ფონდები და 2561 ათასი მანეთის ფულადი შემოსავალი¹.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო კავშირების განვითარება გამოწვეულია ღრმა ეკონომიური პროცესებით, რაც მიმდინარეობს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. 1953 წლამდე ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები მკვეთრად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპებს, ხოლო, რაც მთავარია, იგი ვერ აკმაყოფილებდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას სურსათზე, ხოლო მრეწველობისას — ნედლეულზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდგომ პერიოდში მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში მკვეთრად შეიცვალა. თუ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 1949—1953 წლებში შეადგენდა 297,2 მილიარდ მანეთს, 1954—1958 წლებში მან შეადგინა 400,5 მილიარდი მანეთი. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებამ განაპირობა ფულადი შემოსავლის გაზრდა. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა გადარიცხვებიც განუყოფელ ფონდებში, იგი 8,7 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 33,3 მილიარდ მანეთამდე 1959

¹ Межколхозные производственные связи, Москва, 1960, стр. 7—8.

წელს. აღნიშნულმა გარემოებამ მკვეთრად განამტკიცა საკოლმეურნეო საკუთრების ეკონომიური საფუძველი — განუყოფელი ფონდები. განუყოფელი ფონდების მოცულობამ 1959 წელს 185,7 მილიარდი მანეთი შეადგინა, ნაცვლად 69,8 მილიარდი მანეთისა 1953 წელს¹. მთელმა რიგმა მოწინავე კოლმეურნეობებმა დაიწყეს გადარიცხვა განუყოფელ ფონდებში ფულადი შემოსავლის 25—30 პროცენტამდე.

განუყოფელი ფონდების სწრაფი ზრდა საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოთა განვითარების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. მანამდე, როდესაც კოლმეურნეობები ეკონომიურად სუსტნი იყვნენ, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეყოთ სახსრები დიდი მოცულობის კაპიტალდაბანდებისათვის; ამჟამად კი კოლმეურნეობათა უმრავლესობას გააჩნია აუცილებელი სახსრები საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისა და საწარმოების შექმნისათვის. ამასთან ერთად, ცალკეულ კოლმეურნეობებს არ ყავდათ კვალიფიციური კადრები, არ შეეძლოთ სრული სიმძლავრით დაეტვირთათ რთული სამშენებლო მექანიზმები და მოწყობილობა. ამიტომ კოლმეურნეობებმა დაიწყეს თავიანთი ძალებისა და სახსრების საპაიო საწყისებზე გაერთიანება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანების ჩამოყალიბებისათვის.

საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების მშენებლობა ფართოდ გაიშალა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და მოლდავეთის რესპუბლიკებში. ამჟამად საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები საკოლმეურნეო წარმოების თითქმის ყველა დარგს მოიცავენ და სულ უფრო და უფრო ახალ-ახალ ფორმებს ღებულობს.

საქართველოში საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების მშენებლობა განსაკუთრებით უკანასკნელ 3 წელში გაიშალა. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ასობით საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება და საწარმოა, მათ შორის 44 სამშენებლო ორგანიზაცია, 6 ავტობაზა, 30-მდე ელექტროსადგური, 15-მდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორების სუქების პუნქტი, 40-მდე მეფრინველეობის ფერმა და სხვა.

პირველი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო გაერთიანებანი ჩვენს რესპუბლიკაში 1956 წელს კასპის, ბოლნისის, გეგეჭკორის რაიონებში წარმოიშვენ. აღნიშნული გაერთიანებების მიერ იმავე წელს შესრულებულ იქნა 1,22 მილიონი მანეთის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. 1957 წელს მათი რიცხვი 10-მდე, 1958 წელს 24-მდე, 1959 წელს — 39-მდე, ხოლო 1960 წელს — 44-მდე გაიზარდა. აღნიშნულ 44 სამშენებლო ორგანიზაციაში საპაიო საწყისებზე 650 კოლმეურნეობაა გაერთიანებული. მათ 2 ათასამდე მუდმივი მშენებლები — მუშები და სპეციალისტები ჰყავთ. სამშენებლო გაერთიანებათა შექმნის შედეგად კოლმეურნეობებში შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა 2,5—3-ჯერ გაიზარდა. მიმდინარე შვიდწლეულში გათვალისწინებულია საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო გაერთიანებათა მიერ კოლმეურნეობებში 4 მილიარდამდე მანეთის (ფულის ძველი კურსით) მოცულობის სამუშაოთა შესრულება.

საქართველოს სსრ რიგ რაიონებში დიდი ყურადღება ექცევა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას. ფართოდაა გაჩაღე-

¹ Можкольховные производственные связи, Москва, 1960, стр. 8.



ბული მშენებლობა, დღითიდღე იცვლება სოფლების სახე, უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. მაგალითად, გურჯაანის რაიონში მარტო 1959 წელს აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა კლუბი 200 მაყურებლისათვის, საკოლმეურნეო კანტორა 400 კვ. მეტრის ფართობით, კოლმეურნეთა საცხოვრებელი 565 სახლი, 2 საძროხე 400 სული პირუტყვისათვის, 5 სახბორე — 365 სული პირუტყვისათვის, საღორე — 1390 პირუტყვისათვის, 22 საფრინველე — 25,6 ათასი ფრთა ფრინველისათვის, 3 მარცვლეულის საცავი — 1500 ტონის ტევადობით, აგურის ქარხნები წელიწადში 2 მილიონი ცალი აგურის გამოშვების საერთო სიმძლავრით და სხვ. ამ მხრივ მოწინავეთა რიგებში დგანან სიღნაღის, თელავის, მახარაძის, ქობულეთის, თერჯოლის, ზუგდიდის და ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონები.

ცნობილია, თუ პარტია და მთავრობა რა უდიდეს ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას. ამჟამად ელექტროენერგია ფართოდ გამოიყენება მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორცაა მემცენარეობა, მეცხოველეობა და ისეთ სამუშაოთა შესასრულებლად, როგორცაა მარცვლეულის დასუფთავება-დახარისხება, ელექტროწველა, ელექტროპარსვა, ფერმების წყლით მომარაგება, საკვების დამზადება, დასილოსება და სხვ. ყველასათვის ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის ისეთი მძლავრი საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურები, როგორცაა აჭქესი, მაჭახელ-მახოჭესი, კინკიშაპესი და სხვა.

მიმდინარე შვიდწლედში შენდება და რამდენიმე წელიწადში მწყობრში ჩადგება საკოლმეურნეობათაშორისო ისეთი მძლავრი ელექტროსადგურები როგორცაა: ჩხოროწყუპესი, მისაქციელქესი, ჯირხვაპესი, მესტიაპესი და სხვა.

უდიდესი პერსპექტივები არსებობს საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებებისა და საწარმოების შექმნისათვის საკოლმეურნეო წარმოების ისეთ დარგში, როგორცაა მეცხოველეობა. ამ მხრივაც ჩვენს რესპუბლიკას კარგი ტრადიცია აქვს, რესპუბლიკის კოლმეურნეობები აერთიანებენ საპაიო საწყისებზე სახსრებს ისეთი საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების შექმნისათვის. როგორცაა პირუტყვის სუქების პუნქტები, მეღორეობის ფერმები, მეფრინველეობის ფერმები და სხვ. აღნიშნულ გაერთიანებებში იზრდება პროდუქციის წარმოების მოცულობა, იზრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე, როგორც სსრ კავშირში საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებანი ვითარდებიან არამარტო წარმოების სფეროში, არამედ, აგრეთვე, ყოფაცხოვრების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროშიც. ამჟამად კოლმეურნეობები აერთიანებენ სახსრებსა და ძალებს სკოლების, ინტერნატების, საავადმყოფოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პიონერთა ბანაკების, კულტურის სახლების, თეატრების და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის. მარტო 1958—1959 წლებში საქართველოში კოლმეურნეობათა გაერთიანებული სახსრებითა და ძალებით აშენდა: 192 სკოლა, 163 კლუბი, 29 კულტურის სახლი, 111 ბიბლიოთეკა, 13 თეატრი, 52 საავადმყოფო, 35 კოლმეურნეთა დასასვენებელი სახლი, კოლმეურნეთა 10 ათასამდე საცხოვრებელი სახლი და სხვა.

მტს-ბის რეორგანიზაციისა და კოლმეურნეობებზე ტექნიკის მიყიდვის შე-

მდეგ განსაკუთრებით დიდი პერსპექტივები დაისახა საკოლმეურნეობათაშორისო სარემონტო გაერთიანებების, ქარხნებისა და სახელოსნოების შექმნისთვის. საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებმა შეიძინეს სარემონტო ტექნიკური სადგურების სახელოსნოები, მისი მთელი მოწყობილობით და გადააქციეს ისინი საკოლმეურნეობათაშორისო სარემონტო ორგანიზაციებად. ასეთი სახელოსნოები მასიურად არის მოლდავეთში, ყუბანში, როსტოვის, სარატოვის, ვორონეის კალინინის, პერმის და ჩვენი ქვეყნის სხვა ოლქებსა და მხარეებში, რომლებმაც პრაქტიკულად გაამართლეს თავიანთი თავი და დიდ წარმატებებს მიაღწიეს რემონტის გაუმჯობესების საქმეში. საკოლმეურნეობათაშორისო სარემონტო სახელოსნოები ჯერ არ არიან შექმნილი ჩვენს რესპუბლიკაში, თუმცა მათი შექმნა ყოველმხრივ გამართლებულია და იგი ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებში სარემონტო სამუშაოების შემდგომ გაუმჯობესებას.


საბჭოთა კავშირის რიგ რაიონებში საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები ვითარდებიან საირიგაციო და სამელიორაციო ნაგებობათა მშენებლობის ხაზით, ბევრ რაიონებში შექმნილია საკოლმეურნეობათაშორისო ქარხნები კომბინირებული საკვებისა და ანტიბიოტიკების საწარმოებლად. თუმცა ასეთი ორგანიზაციები საქართველოს სსრ ჯერჯერობით გავრცელებული არ არის.

ჩვენს რესპუბლიკაში ყურადღება არ ექცევა ისეთი საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების მშენებლობას, როგორცაა ბოსტნეულის, ხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი გადამამუშავებელი ქარხნები და ფაბრიკები. მათი უქონლობა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს დიდ ზარალს აძლევს და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასაც აკლებს ძვირფას საკვებ პროდუქტებს.

საქართველოში ჯერჯერობით არ არის გავრცელებული გაერთიანებებისა და საწარმოების მშენებლობა კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო საწარმოების ერთობლივი ღონისძიებებით. ამ მხრივ უკვე საკმაო გამოცდილება აქვს ლენინგრადის ოლქს, რომლის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ შექმნილია ერთიანი ორგანიზაციები საპაიო საწყისებზე. ასეთი ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელია საკოლმეურნეო საკუთრების განზოგადოების უფრო მაღალი დონე. მათი შექმნის დროს საწარმოებს სოციალისტური საკუთრების ფორმების შერწყმა და წარმოებით ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში.

საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების სახელმწიფო საკუთრებასთან შერწყმის დიდი პერსპექტივები აქვს ერთიანი საწარმოების შექმნას მშენებლობისა და ელექტროფიკაციის დარგში. ყოველ რაიონში არ არის მიხანმეწონილი ცალ-ცალკე არსებობდნენ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია და სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაცია. რაიონში ერთიანი სამშენებლო ორგანიზაციის შექმნა კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო საწარმოების წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე საშუალებას იძლევა შეიქმნას მძლავრი საწარმოო ბაზა, ფართოდ დაინერგოს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდი, უკეთ იქნას გამოყენებული არსებული ტექნიკა და ხელი შეუწყოს მშენებლობის ვადების მკვეთრ შემცირებას.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები ტექნიკური შეიარაღებისა და წარმოების საშუალებათა შედგენილობის დონის მხრივ უფ-



რო ხშირად არ ჩამორჩებიან ანალოგიურ სახელმწიფო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. შრომის ანაზღაურება აქ გარანტირებული ფულადი ანაზღაურების იმ ნორმებისა და შეფასებების მიხედვით სწარმოებს, რაც გამოყენებულია საერთო-სახალხო საკუთრების საწარმოებში. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების მუშები და მოსამსახურეები პროფკავშირის წევრები არიან, მათზე მთლიანად ვრცელდება სახელმწიფო საწარმოების მუშაკთათვის განკუთვნილი შრომის კანონმდებლობანი.

საერთო ხელმძღვანელობა საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორკანიზაციებზე ხორციელდება დემოკრატიულ საწყისებზე საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს მიერ, რომელსაც კოლმეურნეობათა წარმომადგენლების კრება ირჩევს. რაც შეეხება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო და ფინანსური საქმიანობისადმი ოპერატიულ ხელმძღვანელობას, იგი ისევე, როგორც სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოებში, ხორციელდება ერთმმართველობის საფუძველზე. როდესაც საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებათა წევრებს შეადგენენ სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს საკოლმეურნეო საკუთრების არამართო საერთო-სახალხო საკუთრებასთან დაახლოებას, ამასთანავე საკოლმეურნეო და სახელმწიფო საკუთრების განსაზღვრული ზომით შერწყმასაც ნიშნავს, საბოლოოდ მათი ერთიან საერთო-სახალხო საკუთრებად გადაქცევას ნიშნავს. ასეთი გაერთიანებანი კოლმეურნეობებთან შედარებით წარმომადგენენ საწარმოო კოოპერაციის უფრო მაღალ და სრულყოფილ ფორმას.

ამრიგად საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები და გაერთიანებანი ამჟამად არსებობს ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში და მოიცავენ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგს. ადგილობრივი პირობებისა და მეურნეობის მიმართულებისაგან დამოკიდებულებით ზოგ რაიონში შეიძლება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების სხვა ფორმა წარმოიშვას და განვითარდეს, ზოგში კი სხვა. აგრეთვე, შეიძლება მათი განვითარების ტემპები სხვადასხვანაირი იყოს, მაგრამ ყველგან საერთო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებმა მთლიანად გაამართლეს თავიანთი თავი, ისინი ხელს უწყობენ საკოლმეურნეო სოფლის საწარმოო ძალების განვითარებას, შესანიშნავი პერსპექტივები გააჩნიათ შემდგომი განვითარებისათვის; მათი შემდგომი გაფართოება და განმტკიცება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ისინი დიდ როლს შეასრულებენ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლების საქმეში.



დანაშაული პიროვნების სისოცხლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით

ბ. ფურცხვანიძე

დანაშაული პიროვნების სისოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მოთავსებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მესამე თავში (სახელმწიფო დანაშაულისა და სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის შემდეგ), ნაცვლად მეექვსე თავისა ძველი კოდექსის მიხედვით.

ახალი კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ასეთი სისტემა სავსებით გამართლებულია. იგი ასახავს საბჭოთა საზოგადოებრიობის მკვეთრად შეუთრგებელ დამოკიდებულებას პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ყოველი სახის დანაშაულისადმი, პირველ რიგში, ცხადია, სისოცხლის წინააღმდეგ დანაშაულისადმი და აქედან გამომდინარე, ასეთი დანაშაულის მიმართ მკაცრი ბრძოლის წარმოების აუცილებლობას.

საბჭოთა სახელმწიფოში, სადაც ადამიანი, მისი უფლებები და ინტერესები, მისი პიროვნების ხელუხლებლობა მთავრობისა და პარტიის, მთელი საზოგადოების გამუდმებული ზრუნვის სასაგანს წარმოადგენს, ყოველად მოუთმენელია დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი სისოცხლზე ყოველი სახის ხელყოფა. აქედან გამომდინარე, საჭიროა ასეთი დანაშაულისადმი ყურადღების გამახვილება, მისი მოკლე ვადაში მთლიანად აღმოფხვრა, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ადამიანისათვის ურომისა


და ცხოვრების უსაფრთხო, ნორმალური პირობების უზრუნველყოფა.

ამ სტატიის მიზანია ახალი კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მესამე თავის მართოდ იმ მუხლების შინაარსის მოკლედ განმარტება, რომლებიც ითვალისწინებენ მკვლელობის სხვადასხვა სახეებს, აგრეთვე თვითმკვლელობამდე მიყვანას.

მკვლელობა, ე. ი. მეორე ადამიანისათვის მართლსაწინააღმდეგოდ სისოცხლის წართმევა განზრახ ან გაუფრთხილებლობით, მოცემულია ახალი კოდექსის 104—108 მუხლებში.

ამა თუ იმ პირის მკვლელობაში ბრალეულად ცნობისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ მეორე პირს მან სისოცხლე მოუსპო განზრახ ან გაუფრთხილებლობით. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ საბჭოთა სისხლის სამართლისათვის უცხოა ე. წ. ობიექტური შერაცხვა, პირის მკვლელობისათვის პასუხისგებაში მიცემა ბრალის გარეშე, მართოდ იმ ჩადენილი ქმედობისა და დამდგარი მძიმე შედეგის მიხედვით.

განზრახი მკვლელობა გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან შედარებით სოციალურად უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენს. ამიტომ სისოცხლის მოსპობის ყველა შემთხვევაში სუბიექტური მხარის ზუსტად დადგენას სასამართლო პრაქტიკის სწორად წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.



მკვლელობა განზრახია მაშინ, თუ პირს აქვს იმის შეგნება, რომ მის მოქმედებას შედეგად მოჰყვება მეორე პირის სიკვდილი და სწორედ ეს სურს მას (პირდაპირი განზრახვა), ანდა პირს აქვს რა იმის შეგნება, რომ მის მოქმედებას შესაძლოა მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი (თუმცა ამის სურვილი არა აქვს), შეგნებულად უშვებს ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას (არაპირდაპირი, ევენტუალური განზრახვა).

ასევე, მკვლელობას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფრთხილებელი ბრალის ორივე სახით — დაუდევრობით (პირს არა აქვს იმის შეგნება, რომ მის მოქმედებას მოჰყვება მეორე ადამიანის სიკვდილი, თუმცა საქმის გარემოებათა გამო მას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის შესაძლებლობა) და თვითიმედოვნებით (პირს თუმცა აქვს იმის შეგნება, რომ მის მოქმედებას შესაძლოა მეორე ადამიანის სიკვდილი მოჰყვეს, მაგრამ იგი ქარაფშუტულად იმედოვნებს ასეთი შედეგის აცდენას).

კოდექსი არ კმაყოფილდება მკვლელობის განზრახ და გაუფრთხილებელ მკვლელობათ დაყოფით. იგი ითვალისწინებს აგრეთვე განზრახი მკვლელობის სხვა და სხვა სახეებს იმის და მიხედვით თუ რა გარემოებებშია იგი ჩადენილი. კოდექსი ასხვავებს განზრახ მკვლელობას ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში (104-ე მუხლი), განზრახ მკვლელობას, ჩადენილს ასეთ გარემოებათა გარეშე, ე. წ. მარტივ განზრახ მკვლელობას (105-ე მუხლი) და განზრახ მკვლელობას, ჩადენილს შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას (106-ე და 107-ე მუხლები). გაუფრთხილებელი მკვლელობა ახალი კოდექსისათვის ცნობილია მხოლოდ ერთი სახით და იგი მოცემულია 108-ე მუხლში.

პირველ რიგში განვიხილოთ განზრახი მკვლელობის ყველაზე უფრო საშიში


სახე — განზრახი მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.

განზრახ მკვლელობად დამამძიმებელ გარემოებებში ახალი კოდექსის 104-ე მუხლი თვლის მკვლელობას, ჩადენილს: 1) ანგარებით, 2) ხულიგნური ქვენა გრძნობით, 3) დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, 4) ორი ან რამდენიმე პირისა, 5) წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა; 6) განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის; 7) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, და აგრეთვე დაკავშირებული გაუბატოებლობასთან, 8) სისხლის აღების ნიადაგზე, 9) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა (106 და 107 მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობის გარდა).

უნდა აღინიშნოს, რომ განზრახი მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებათა ეს ჩამოთვლა ამომწურავია და ამიტომ არ არის დასაშვები მისი სხვა გარემოებებით გაფართოება, ე. ი. არ დაიშვება სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის გამოყენება განზრახი მკვლელობის ისეთი შემთხვევისას, როდესაც იგი ჩადენილია ამ ჩამოთვლაში გაუთვალისწინებელი სხვა მოტივით (მაგალითად ისეთი მკვლელობისა, რაც ჩადენილია ეჭვიანობის ან სხვა მოტივით).

მოკლედ განვიხილოთ განზრახი მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებანი, ჩამოთვლილი ახალი კოდექსის 104-ე მუხლში.

1) მკვლელობა ანგარებით ჩადენილი იქნება მაშინ, როდესაც ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის მოტივს წარმოადგენს დამნაშავე პირის მისწრაფება, მიიღოს ამ გზით რაიმე მატერია-



ლური გამორჩენა, მაგალითად, მკვლელობა იმ მიზნით, რომ დამნაშავეს საკუთრებაში გადავიდეს დაზარალებულის წილი ქონება ან სხვა რაიმე ფასეულობა, მისი ბინა, ან კიდევ, განთავისუფლდეს დაზარალებულის მიერ ამა თუ იმ დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობა, რათა ის შემდეგ მიიღოს დამნაშავემ, ან განთავისუფლდეს ალიმენტის გადახდისაგან და ა. შ.

შოთა მამარდაშვილმა თავისი დის ვერა მამარდაშვილის წაქეზებით, დამით, ოთახში, სადაც ეძინა ვერას ქმარს, დაზარალებულ საღირაძეს, თავში რამდენიმეჯერ რკინის სახელოსნო იარაღის დარტყმით მოკლა იგი. მკვლელობის მოტივს წარმოადგენდა შემდეგში საღირაძის სახლისა და სხვა ქონების მამარდაშვილების საკუთრებაში გადასვლა.

აღწერილი სახის მკვლელობა ჩადენილია ანგარების მოტივით.

ზოგჯერ მკვლელობა ანგარების მიზნით დაკავშირებულია სააშკარაო-ყაჩაღურ თავდასხმასთან. ასეთ შემთხვევაში ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა კრებადობით—სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის პირველი პუნქტით და 152-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სხვადასხვა დანაშაულებისათვის რამდენიმეჯერ ნასამართლობის მქონე ეკვაჰიძემ გაიტყუა რა თავისი ნაცნობი ი. გოხმანი უკანასკნელის მანქანით თერჯოლის რაიონში, აშკარად დაესხა მას თავს სოფელ ჭოგნართან და პისტოლეტიდან სამჯერ გასროლით მოკლა იგი, ხოლო მისი კუთვნილი ავტომანქანა („ვოლგა“) და სხვა ნივთები გაყიდა და ამ გზით აღებული ფული გახარჯა.

ე. კვაჰიძის დანაშაული სწორად დაკვალიფიცირდა, როგორც — ყაჩაღობა და მკვლელობა ანგარებით.

ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახი მკვლელობა იქნება მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია დაზარალებულთან არა პირადი ურთიერთ-
3. საბჭოთა სამართალი № 5.


დამოკიდებულების ან სხვა, კანონით გათვალისწინებული მოტივით, არამედ დამნაშავეს მხრივ მარტოოდენ განსაკუთრებული ცინიზმისა და თავხედობის გამოჩენის შედეგად, როდესაც დამნაშავესათვის, როგორც წესი, არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ იქნება მისი მსხვერპლი — დაზარალებული თუ სხვა პირი.

სავსებით სამართლიანად, ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი მკვლელობა, როგორც საზოგადოებრიობისათვის დიდი საშიშროების შემცველი, კოდექსის მიერ განხილულია დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობად.

კურორტ ბორჯომში ხალხის თავმოყრის ადგილზე 1961 წლის 20 აგვისტოს არაფზიზელ მდგომარეობაში მყოფმა ვაჟა საძაგლიშვილმა ჩხუბი აუტეხა თავის ნათესავს ალ. აკოფოვს და ფინური დანით ჭრილობა მიაყენა. მას. შემთხვევით ამ ამბის დამსწრე იოსებაშვილმა დააპირა საძაგლიშვილის ხულიგნობის შეწყვეტა და მისთვის იარაღის ჩამორთმევა.. უკანასკნელმა კი დანა რამდენიმეჯერ ჩასცა გულის არეში მასთან ახლოს მისულ იოსებაშვილს, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

საძაგლიშვილის აღწერილი ქმედობა სწორად დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მეორე პუნქტით (როგორც ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი მკვლელობა).

1960 წ. 10 ოქტომბერს ქ. თბილისში ახალგაზრდებმა ციკარიშვილმა, სიუ-ნაევმა და სხვ. (სულ 7 კაცმა) გადაწყვიტეს ერთად ესაღილათ და შევიდნენ გასტრონომიულ მაღაზიაში პროდუქტებისა და ღვინის საყიდლათ. მუშების ნაწილი შეძენილი პროდუქტებით გავიდა მაღაზიიდან, ხოლო ციკარიშვილი და სიუნაევი დარჩნენ მა-



ლაზიაში დამატებითი პროდუქტების საყიდლად.

ამ დროს მაღაზიაში შევიდნენ არა ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ოთხი კაცი, მათ შორის ყაზარინი და აბრამოვი. უკანასკნელი მივიდა რა ახლოს სიუნაევთან, შეეცადა მისთვის ჯიბიდან ფულის ამოცლას. ამ ნიადაგზე მათ შორის დაიწყო შელაპარაკება. ციკარიშვილმა მოუწოდა აბრამოვს შეეწყვიტა აყალმაყალი და წესრიგი დაეცვა. დავაში ჩაერია აბრამოვის ამხანაგი ყაზარინი. მაღაზიიდან გამოსვლისას აბრამოვმა ქვა დარტყა თავში სიუნაევს, რის შედეგადაც უკანასკნელი გონება დაკარგული მიწაზე დაეცა. ყაზარინი და მისი სამი ამხანაგი თავს დაესხნენ მარტოდ დარჩენილ ციკარიშვილს, რა დროსაც ყაზარინმა ამოიღო ჯიბიდან დანა და სამჯერ ჩასცა იგი ციკარიშვილს სხეულის სხვადასხვა ადგილას, ხოლო მეოთხეჯერ თავის არეში ისეთი ძალით, რომ მისი ჭრილობიდან ამოღება შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ საავადმყოფოში ოპერაციის დროს. ციკარიშვილი უმალვე გარდაიცვალა.

ეს საქმე წარმოადგენს აღმამფოთებელი ხულიგნობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახვ მკვლელობის ნიმუშს.

დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილ მკვლელობას მამინ ექნება ადგილი, როდესაც მკვლელობის მოტივს წარმოადგენს შურისძიება დაზარალებულის მიმართ თავისი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების გამო.

ასე მაგალითად, უკეთუ პირი მოკლავს თანამდებობის პირს იმიტომ, რომ უკანასკნელმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის ასრულების პირობებში ადკვეთა ბრალეული პირის დანაშაულებრივი ქმედობა (დააპატიმრა იგი ან სასჯელი შეუფარდა) თუ სხვა უმა-

რთებლო საქციელი (გამოსასხლავ თვინებურად დაკავებულ ბინიდან და ა. შ.)

— მკვლელობა დაკვალიფიცირდება კოდექსის 104-ე მუხლის მესამე პუნქტით.


ასეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს მკვლელობას ჩადენილს იმ მოტივით, რომ დაზარალებული წარსულში გამოვიდა დამნაშავე პირის მამხილებელ მოწმეთ და მით თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა შეასრულა.

ანზორ ლობჯანიძის მამა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნე ნესტორი სულით დაავადდა და სამკურნალოდ თბილისში წამოიყვანეს. მის დაავადებაში ოჯახის წევრები აღნაშაულებდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აფრასიონ ლობჯანიძეს იმის გამო, რომ უკანასკნელი მოითხოვდა ნესტორისაგან კოლმეურნეობაში მუშაობას და თამბაქოს მოყვანის გეგმის შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა კოლმეურნეობიდან გარიცხვას.

აღნიშნულის გამო შურისძიების ნიადაგზე ანზორ ლობჯანიძემ გამოიხმო ეზოში კოლმეურნეობის გამგეობის კანტორიდან აფრასიონ ლობჯანიძე და მუცლის არეში რამდენჯერმე დანის დარტყმით მოკლა იგი.

ასეთი სახის მკვლელობა ჩადენილია დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, რასაც ითვალისწინებს 104-ე მუხლის მესამე პუნქტი.

უკეთუ სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა ჩადენილია მისი სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, საქმე გვექნება სახელმწიფო დანაშაულთან, ტერორის-



ტულ აქტთან და ასეთი მკვლელობა დაკვალიფიცირდება არა 104-ე, არამედ 67-ე მუხლით.

განსხვავება ტერორისტულ აქტსა და კოდექსის 104-ე მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ მკვლელობას შორის ძირითადად მდგომარეობს დანაშაულის სუბიექტურ მხარეში. ტერორისტული აქტის შედგენილობა იქნება მაშინ, როდესაც მკვლელობა ჩადენილია არა პირადი ხასიათის მოტივებით, არამედ იმიტომ, რომ დაზარალებულმა შეწყვიტოს საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და მით დამნაშავემ მიაღწიოს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრას ან შესუსტებას.

სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მეოთხე პუნქტი განზრახი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებათ თვლის **ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობას.**

ასეთი მკვლელობის დამამძიმებლად მიჩნევა ჩვენი კოდექსის სიახლეს წარმოადგენს, მას ადრემოქმედი კოდექსი არ ითვალისწინებდა.

გიორგი კახაჩიშვილმა ცოლად შეირთო ნათელა დავლაბერიძე, მაგრამ ქორწინება რეგისტრაციაში არ გაუტარებია. ნათელა და მისი დედა დეშა დავლაბერიძე წინადადებას აძლევდნენ კახაჩიშვილს დაეკანონებია ქორწინება, მაგრამ უკანასკნელი არ თანხმდებოდა.

ამ ნიადაგზე წარმოშობილ უსიამოვნების შედეგად კახაჩიშვილმა დატოვა ოჯახი სოფ. ცოდნაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და წავიდა სოფ. ხირსაში. ორი დღის შემდეგ იგი დაბრუნდა ოჯახში და მოთხოვა ნათელას მასთან ერთად ხირსაში გადასვლა, მაგრამ ნათელამ უარით უპასუხა და კვლავ მოთხოვნა ქორწინების რეგისტრირება.

ხირსაში დაბრუნებულმა კახაჩიშვილმა გადაწყვიტა თუ შემდეგაც მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდნენ მოე-

კლა ორივე დედაშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ კახაჩიშვილი კვლავ დაბრუნდა სოფ. ცოდნაში და გაიმეორა თავისი მოთხოვნა, მაგრამ დავლაბერიძეებმა განუცხადეს, რომ ნათელა წავიდოდა მასთან მხოლოდ იმ პირობით, თუ ქორწინებას რეგისტრაციაში გაატარებდნენ. ამით გაჯავრებულმა კახაჩიშვილმა ნათელას გულში ჩასცა ხანჯალი, ასევე ხანჯალი ჩასცა შვილთან მისაშველებლად მისულ დეშას, რის შედეგადაც ორივე ადგილზევე მოკვდა.

აღნიშნული და სხვა ამდაგვარი მკვლელობა კოდექსის 104-ე მუხლის მეხუთე პუნქტით დაკვალიფიცირდება.

განზრახი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად კოდექსის 104-ე მუხლის მეხუთე პუნქტი თვლის **წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მოკვლას.**

ორსული ქალის მკვლელობა სრულიად მართებულად მიჩნეულია დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებათ, რადგან ორსული ქალის მკვლელობისას ერთდროულად სიცოცხლე ესპობა ადამიანს და ნაყოფს დედის მუცელში.

ასეთი მკვლელობის დასახელებული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ დანაშაულის სუბიექტმა ნამდვილად იცოდა დაზარალებულის ორსულობის მდგომარეობაში ყოფნა, რაზეც მიუთითებს კანონის (104-ე მუხლის მეხუთე პუნქტის) ტექსტში მოყვანილი სიტყვები „წინასწარი შეცნობით“. უკეთუ ბრალეულ პირს არ დაუდასტურდება ასეთი „წინასწარი შეცნობა“, მის მიერ ორსული ქალის მკვლელობა განიხილება საერთო წესის მიხედვით, როგორც მარტივი სახის განზრახი მკვლელობა (თუ მას არ ახლავს 104-ე მუხლში მოყვანილი სხვა რომელიმე დამამძიმებელი გარემოება).

კოდექსის 104-ე მუხლის მეექვსე პუნქტი განზრახ მკვლელობას კვალიფიცირად თვლის თუ იგი ჩადენილია

განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის.

განზრახ მკვლევობას განსაკუთრებული სისასტიკით ადგილი ექნება მაშინ, როდესაც მკვლევობა ისეთი ხერხითა და საშუალებით არის ჩადენილი, რაც იწვევს დაზარალებულის განსაკუთრებულ ტანჯვას, უხანგრძლივებს მას ტკივილებსა და მწუხარებას და რაც ამავე დროს მეტყველებს მკვლელის გაზრდილ სოციალურ საშიშროებაზე, მის უმსგავსო სიბოროტეზე, სურვილზე გაუძლიეროს მსხვერპლს ტანჯვა.

ასეთი სახის მკვლევობად ჩაითვლება ნელა მოქმედი შხამით მოწამვლა, სასიკვდილო ჭრილობის მიყენებამდე დაზარალებულის წინასწარ რამდენიმეჯერ მსუბუქად დაჭრა-დასახიჩრება, სხეულის ნაწილების მოკვეთა, წამება, ცეცხლის წაკიდება და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართოდენ ფაქტი დაზარალებულის მოკვლისა, მაგალითად, რამდენიმე ჭრილობის მიყენებით, ყოველთვის როდი იძლევა საფუძველს დანაშაულის 104-ე მუხლის მეექვსე პუნქტით დაკვალიფიცირებისათვის. ასეთი ფაქტის გარდა აღუკილებელია იმის დადგენა, რომ დანაშაულის სუბიექტს ჰქონდა განზრახვა (პირდაპირი ან არაპირდაპირი) დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკის გამოჩენისა, ე. ი. ამ დანაშაულის შედგენილობისათვის აღუკილებელია იმის დადგენა, რომ სუბიექტს შეგნებული ჰქონდა მკვლევობის აქტის განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელება.

განზრახ მკვლევობად, ჩადენილი ისეთ ვითარებაში, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ჩაითვლება მკვლევობა საცხოვრებელი სახლისათვის ცეცხლის

წაკიდების გზით, ადამიანთა ჯგუფში რომელიც თავმოყრილია ქუჩაზე ან ოთახში იარაღის გასროლით (ამ ჯგუფიდან რომელიმე განსაზღვრული პირის მოკვლის მიზნით), სასურსათო პროდუქტისა და დამზადებული კერძის მოწამვლით (რითაც შეიძლება ისარგებლოს მრავალმა ადამიანმა) და ყველა სხვა ისეთი საშუალებით, რაც საფრთხეში აგდებს რამდენიმე პირის სიცოცხლეს.

ასეთი სახის მკვლევობის შედგენილობისათვის სუბიექტური მხრივ საჭიროა იმის დადგენა, რომ ბრალეულ პირს ამოქმედებდა პირობაპირი განზრახვა ერთი გარკვეული პირისათვის სიცოცხლის მოსპობისა და არა პირდაპირი (ევენტუალური) განზრახვა სხვა, დანარჩენ პირთათვის სიცოცხლის მოსპობის, ან კიდევდა არა პირდაპირი განზრახვა ყველა იმ პირისათვის სიცოცხლის მოსპობის, რომლებიც სუბიექტის ქმედობით საფრთხეს განიცდიდნენ.

ცხადია იმისათვის, რომ ამ სახის მკვლევობა 104-ე მუხლის მეექვსე პუნქტით დაკვალიფიცირდეს, არ არის სავალდებულო ფაქტი რამდენიმე კაცის სიკვდილისა. საკმარისია იმის დადგენა, რომ ასეთი დანაშაულის ჩადენისას მრავალი პირთა სიცოცხლე საფრთხეში იმყოფებოდა.

კოდექსის 104-ე მუხლის მეშვიდე პუნქტი განზრახ მკვლევობის დამამძიმებელ გარემოებათ თვლის მკვლევობას სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, და აგრეთვე დაკავშირებულს გაუპატიურებასთან.

მკვლევობად სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით ჩაითვლება, მაგალითად, ისეთი პირის მკვლევობა, რომლისთვისაც ცნობილია დამნაშავეს მიერ ადრე ჩადენილი დანაშაული და ბოროტმოქმედი ფიქრობს ამ გზით თავიდან აიცი-

ლოს ამ დანაშაულის და მისი ჩამდენი პირის მხილების საშეზღვევით,

ქ. და მ. მუშაობდნენ ერთად № დაწესებულებაში, სადაც ქ. ეწეოდა სახელმწიფო ქონების დატაცებას. გაიგო რა ეს, მ. გააფრთხილა ქ. შეეწყვიტა ბოროტმოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაამჟღავნებდა. იმ მოტივით, რომ ჩადენილი დანაშაულის კვალი მოსპობილიყო, ქ. ცივი იარაღით მოკლა მ. დაწესებულების სამუშაო ოთახში.

ასეთი მკვლელობა ვათვალისწინებულია კოდექსის 104-ე მუხლის მეშვიდე პუნქტში.

იგივე პუნქტი სპეციალურად ითვალისწინებს მკვლელობას დაკავშირებულს გაუბატოებრებასთან. მართალია, ადრე მოქმედი კოდექსი არ გამოყოფდა ცალკე ასეთი სახის მკვლელობას, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა მას თვლიდა კვალიფიციურად, როგორც მკვლელობას ჩადენილს სხვა დანაშაულის გასაადვილებლად ან დასაფარავად (ქალის გაუბატოებრების შემდეგ მკვლელობა იმ მიზნით, რომ დაიფაროს ჩადენილი დანაშაული — გაუბატოებრება).

ახალი კოდექსით ამ სახის მკვლელობის, როგორც განსაკუთრებით საშიში დანაშაულის, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობათ აღიარება, უფრო სწორი და მართებულია.

არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ვ. ცხოვრებოვი დამით შეიჭრა რა ზნაურის რაიონის სოფ. ლაშებალთას მცხოვრების ნადეჟდა პლიევას სახლში, შეეცადა ფიზიკური ზემოქმედების საშუალებით მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერას. დაზარალებულის მიერ მძაფრი წინააღმდეგობის გაწევის გამო ცხოვრებოვმა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და ამით გაბოროტებულმა ყელში ხელების წაჭერით მოადრჩო პლიევა.

აღნიშნული და მსგავსი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა

კრებადობით, როგორც გაუბატოებრება (ან მცდელობა) და განზრახი მკვლელობა (ვათვალისწინებული კოდექსის 104-ე მუხლის მეშვიდე პუნქტში).

კოდექსის 104-ე მუხლის მეტრე პუნქტი დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად თვლის მკვლელობას **სისხლის აღების ნიადაგზე.**

მართალია, მკვლელობა ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე, როგორც საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთი — დანაშაული, ხალხის კულტურული დონის და მატერიალური კეთილმდგომარეობის მკვეთრად აღმავლობის გამო, უკანასკნელ წლებში უკვე იშვიათი მოვლენაა, მაგრამ ახალი კოდექსით ასეთი მკვლელობის მძიმე, კვალიფიციურ სახედ მიჩნევა საცხებიტ გამართლებულია. ამით ჩვენი ახალი კანონმდებლობა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებას ამახვილებს წარსულში საქართველოს მეტწილად მთიან ადგილებში (ხევსურეთი, სვანეთი და სხვ.) ფართოდ გავრცელებულ ასეთი სახის მკვლელობასთან (რომელიც აჩანაგებდა მთელ ოჯახებს, მოსპობასა და გადაშენებას უქადდა მთელ გვარეულობებს) მკაცრი ბრძოლის წარმოების საჭიროებაზე.

დაბოლოს, კოდექსის 104-ე მუხლის მეცხრე პუნქტის ძალიტ კვალიფიციურად ითვლება განზრახი მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახი მკვლელობა (106 და 107 მუხლებით ვათვალისწინებულის გარდა).

თუ ვინ ჩაითვლება განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, განმარტებულია ახალი კოდექსის ზოგად ნაწილში (44-ე მუხლში) და ამიტომ ეს საკითხი დამატებით გაუშუქებას არ საჭიროებს. აღნიშნავთ მხოლოდ მას, რომ ყოველი სახის განზრახი მკვლელობა, რა მოტივითაც, რა პირობებშიც არ უნდა იყოს ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რე-



ციდივისტის მიერ, ყოველთვის ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლევლობად და დაკვალიფიცირდება კოდექსის 104-ე მუხლის მეცხრე პუნქტით.

ასევე დაკვალიფიცირდება ყოველი სახის განზრახვი მკვლევლობა იმ პირის მიერ, ვისაც აღრე ჰქონდა ჩადენილი განზრახვი მკვლევლობა გარდა 106 და 107 მუხლებით გათვალისწინებული მკვლევლობისა, ე. ი. შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახვ მკვლევლობისა. ასეთ მკვლევლობად კი კოდექსი თვლის მკვლევლობას ჩადენილს უეცარი ძლიერი სულიერი აღვლევების და აუცილებელი მოგვრიების ფარგლების გადაცილების დროს.

აღრემოქმედი კოდექსი (იხ. 144 მუხლის პ. „ი“) დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად თვლიდა ისეთ განზრახვ მკვლევლობას, რომელიც ჩადენილი იყო იმ პირის მიერ, ვისაც უკვე მოუხდია სასჯელი განზრახვი მკვლევლობის ან სხეულის მიმე დაზიანებისათვის. ამრიგად ამ კოდექსის ძალით აუცილებელი იყო ფაქტი სასჯელის მოხდისა აღნიშნული დანაშაულისათვის და მასთანადე თუ დამნაშავეს სასჯელი მოხდილი არ ჰქონდა, მის მიერ განმეორებით მკვლევლობის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად არ ჩაითვლებოდა.

ახალმა კოდექსმა სრულიად მართებულად უარყო ასეთი კონსტრუქცია და დააწესა, რომ განმეორებით განზრახვი მკვლევლობის ჩადენა ყოველთვის დამამძიმებელი გარემოებაა, იმისდამიუხედავად დამნაშავემ აღრე ჩადენილ მკვლევლობისათვის მოიხადა თუ არა სასჯელი.

როგორც აღნიშნული იყო, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახვი მკვლევლობა, ეს პიროვნების წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაული, ყოველად მოუთმენელია კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა საზოგადოებაში და ამიტომ არის, რომ კანონმდებელმა დააწესა მკა-

კრი სასჯელი მასში ბრალეულ პირის და მით განახორციელა მთელი ჩვენი ხალხის მოთხოვნა ასეთ ბოროტმოქმედთა მიმართ დაუზოგავი ბრძოლის წარმოების აუცილებლობის შესახებ.

შემოთ აღწერილი განზრახვი მკვლევლობის ჩამდენი პირი კოდექსის 104-ე მუხლის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ ან ისჯება სიკვდილით.

ახალი კოდექსის 104-ე მუხლის შინაარსსა და აღრემოქმედი კოდექსის შესაბამისი მუხლის (144-ე მუხლის) შინაარსს შორის არის ზოგიერთი განსხვავება. განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: ახალმა კოდექსმა აღარ გაითვალისწინა აღრემოქმედ კოდექსში მოცემული განზრახვი მკვლევლობის ისეთი დამამძიმებელი გარემოებანი, როგორც არის: შურისძიება (თუ ის არ არის დაკავშირებული დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან), ეჭვიანობა, სხვა ქვენა გრძნობა (გარდა ანგარებისა, ხულიგნობისა და სხვ.), ჩასაფრება ან დაზარალებულის განმარტოებულად გილას ვატყუება, მკვლევლობა ჩადენილი იმ პირის მიერ, ვისაც ვალად ედო განსაკუთრებული ზრუნვა დაზარალებულისათვის, დაზარალებულის უმწეოდ მდგომარეობის გამოყენება.

ამასთან ერთად ახალმა კოდექსმა დააწესა სხვა ისეთი დამამძიმებელი გარემოებანი, რომლებიც აღრემოქმედ კოდექსში გათვალისწინებული არ იყო. ასეთებია: მკვლევლობა დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (აღრემოქმედი კოდექსის ძალით ამ გარემოებას მოიცავდა შურისძიების ცნება), მკვლევლობა ორი ან რამდენიმე პირისა, მკვლევლობა დაკავშირებული გაუპატიურებასთან, ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე.



ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

განზრახი მკვლელობის მარტივი სახე, ე. ი. ისეთი, რომელიც ჩადენილია როგორც დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 105-ე მუხლში.

ასეთი სახის მკვლელობა განსხვავდება განზრახი მკვლელობის სხვა სახეებისაგან იმით, რომ ის არ არის ჩადენილი არც იმ დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას, რაც სავალდებულოა 104-ე მუხლში მოცემულ განზრახი მკვლელობისათვის, და არც იმ შემამსუბუქებელ გარემოებათა პირობებში, რაც უნდა ახასიათებდეს 106-ე და 107-ე მუხ. მუხ. გათვალისწინებულ განზრახ მკვლელობას.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით კოდექსის 105-ე მუხლი შეეფარდება ისეთ მკვლელობას, რომელიც ჩადენილია ურთიერთწალაპარაკების ან ჩხუბის დროს (უკეთუ ადგილი არა აქვს მკვლელობას ხულიგნობის ნიადაგზე), დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე მისი შებრალების მოტივით, ეჭვიანობის ნიადაგზე (რამდენადაც ამ მოტივით მკვლელობას ადრემოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით ახალი კოდექსი არ თვლის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად) და სხვ. ცხადია იმ პირობით, თუ ჩამოთვლილი სახის მკვლელობა არ იქნება დამძიმებული კოდექსის 104-ე მუხლში მოხსენიებულ ერთ-ერთი გარემოებით.

პრაქტიკაში ზოგჯერ ცალკეული სასამართლოები კოდექსის 105-ე მუხლით აკვალიფიცირებენ განზრახ მკვლელობას მარტოდენ იმის გამო, რომ საქმის მასალით ჭეროვნად არ არის დადგენი-

ლი მკვლელობის ნამდვილი გარემოებანი, მოტივი და სხვ. ასეთი პრაქტიკაცხადია არ არის სწორი. ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე, განსაკუთრებით კი საქმეზე მკვლელობის შესახებ აუცილებელია საქმის ყველა გარემოების ნათელყოფა, კერძოდ, დანაშაულის მოტივის დადგენა. ამიტომ, თუ ყოველივე ეს დაზუსტებული არ არის, განზრახი მკვლელობა 105-ე მუხლით კი არ უნდა დაკვალიფიცირდეს, არამედ სამსჯავრო სხდომაზე წინასწარ მტკიცედ დადგინდეს ჩადენილი ქმედობის მოტივი. თუ შეუძლებელია ეს სამსჯავრო სხდომაზე გაკეთდეს, საქმე უნდა გადაიგზავნოს დამატებითი გამოძიებისათვის.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, განზრახი მკვლელობის ჩამოთვლილი სახეების გარდა, ითვალისწინებს განზრახი მკვლელობის შემამსუბუქებელ სახეებსაც. ასეთი მკვლელობა მოცემულია კოდექსის 106-ე და 107-ე მუხლებში.

106-ე მუხლის შინაარსი ასეთია: განზრახი მკვლელობა ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამოწვეულია დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით.

განზრახი მკვლელობის ამ მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს შემდეგი სამი პირობა: ა) დანაშაულის სუბიექტი მკვლელობის აქტის ჩადენისას უნდა იმყოფებოდეს ძლიერ სულიერ აღელვების მდგომარეობაში, ე. წ. ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში,¹ ბ) აღელვება აღძრული უნდა იყოს უეცრად, ერთბაშად და სუბიექტის

¹ და არა პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, როცა სუბიექტს სავსებით დაკარგული აქვს თავისი მოქმედებისათვის ანგარიშის გაწვივა და თავის საქციელზე კონტროლის განხორციელები უნარი. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირი შეურაცხადია და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ვერ მიეცემა.

ძლიერ სულიერ აღელვებას უმაღლვე ან უმნიშვნელო დროის გასვლის შემდეგ უნდა მოჰყვეს მკვლევლობა და ბოლოს გ) დამნაშავე პირის (ე. ი. მკვლელის) ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით.

აღნიშნული მუხლის შინაარსი ადრემოქმედი კოდექსის ანალოგიური მუხლის (146-ე მუხლი) შინაარსიდან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ახალი კოდექსი უკანონო ძალადობის თუ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებას დაზარალებულის მიერ უშვებს არა მარტო დამნაშავეს (მკვლევლობის ჩამდენს) მიმართ, როგორც ეს იყო გათვალისწინებული ადრემოქმედი კოდექსით, არამედ დამნაშავეს ახლობლების მიმართაც. კანონის ასეთი კონსტრუქცია უფრო მართებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ძლიერი სულიერი აღელვება საცეხით დასაშვებია გამოწვეული იყოს არა მხოლოდ თვით დამნაშავეს მიმართ უკანონო ძალადობით თუ მძიმე შეურაცხყოფით, არამედ ასეთი მოპყრობით მისი ახლობლების (მეუღლის, შვილის და ა. შ.) მიმართაც.

კოდექსის 106-ე მუხლის ძალით მკვლევლობა ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახი მკვლევლობის მეორე სახე მოცემულია კოდექსის 107-ე მუხლში. ასეთს წარმოადგენს მკვლევლობა, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს.

იმის გასარკვევად თუ ერთს მხრივ, რა მოქმედება ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილად და მასასადამე განიხილება მართლობიერად, ხოლო მეორეს მხრივ, — აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებულად და ამიტომ დასჯადად, ჩვენ უნდა მივმართოთ კოდექსის ზოგად ნაწილს, რომლის მე-15 მუხლიც შემდეგნაირად აშუქებს ამ საკითხს: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე. ი. საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მოგერიების ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან ხელყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგალი.“

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩაითვლება დაცვის ამჟამა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან“.

ამას გარდა, კოდექსის 107-ე მუხლის პრაქტიკაში გამოყენებისას სავალდებულოა ვიხელმძღვანელოთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებით „სასამართლო პრაქტიკის ნაკლოვანებების შესახებ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია აუცილებელი მოგერიების შესახებ კანონმდებლობის შეფარდებასთან“ და ამ საკითხზე პლენუმის სხვა სახელმძღვანელო დადგენილებებით, რომლებშიც ახლებურად არის დასმული და გადაჭრილი მთელი რიგი საკითხი აუცილებელი მოგერიების შესახებ და ამიტომ სასამართლო პრაქ-

ტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.

მკვლელობა ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ახლა განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილება გაუფრთხილებლობით მკვლელობის შესახებ. ასეთი სახის მკვლელობა გათვალისწინებულია კოდექსის 108-ე მუხლში, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: გაუფრთხილებლობით მკვლელობა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ამრიგად, აღნიშნული მუხლის შინაარსის ანალიზიდან უნდა დავასკვნათ, რომ გაუფრთხილებლობით მკვლელობის შედგენილობისათვის და მაშასადამე კოდექსის 108-ე მუხლის შეფარდებისათვის არა აქვს მნიშვნელობა ასეთი მკვლელობა ჩადენილია დანაშაულებრივი დაუდევრობით თუ თვითიმედოვნების შედეგად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი კოდექსი არ ანსხვავებს ერთი-მეორისაგან გაუფრთხილებელი ბრალის ორ ფორმას იმ მხრივ, რომ არ თვლის თვითიმედოვნების შედეგად გაუფრთხილებლობით მკვლელობას უფრო სამიშად, კვალიფიცირებად დაუდევრობის შედეგად ჩადენილ გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან შედარებით. ამით განსხვავდება ახალი კოდექსის 108 მუხლი ადრემოქმედი კოდექსის ანალოგიურ ნორმისაგან. ამ კოდექსის 148-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ითვალისწინებდა დაუდევრობის სახით გაუფრთხილებლობით მკვლელობას, ხოლო მეორე ნაწილი (მაკვალიფიცირებელი, დამამძიმებელი) თვითიმედოვნების სახით ჩადენილს („უკეთუ გაუფრთხი-

ლებლობით მკვლელობა შედეგად იყო გამაფრთხილებელი წესების შეგნებულად შეუსრულებლობისა“).

დასასრულს კიდევ ერთი სახის დანაშაული, რომელიც ახლოს დგას, ემიჯნება დანაშაულს სიცოცხლის წინააღმდეგ. ეს არის „თვითმკვლელობამდე მიყვანა“. იგი გათვალისწინებულია ახალი კოდექსის 109-ე მუხლით, რომლის დისპოზიციაც შემდეგი შინაარსისაა: „დამნაშავისაგან მატერიალურად, სამსახურებრივი ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლელობამდე ანდა თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა დაზარალებულისადმი: სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების ზისტემატურად დამცირებით“.

ამ დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს მარტოოდენ ის პირი, რომელზედაც დაზარალებული დამოკიდებული იყო მატერიალურად, სამსახურებრივ ან სხვაგვარად. მატერიალური დამოკიდებულება არსებობს მაშინ, როდესაც ადამიანი იმყოფება მეორე პირის მთლიან ან ნაწილობრივ კმაყოფაზე, სამსახურებრივი დამოკიდებულება ნიშნავს უფროს-უმცროსობას, თანამდებობრივ დაქვემდებარებას სამუშაო ადგილის მიხედვით და ბოლოს „სხვაგვარი დამოკიდებულება“ გულისხმობს მოწაფის დაქვემდებარებას მასწავლებლისადმი, ავადმყოფისა — ექიმისადმი და ა. შ. ასეთი დამოკიდებულების დაუდგენლობა იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სპეციალური სუბიექტი და, მაშასადამე, არც დანაშაულის შედგენილობა.

ობიექტური მხრივ ამ დანაშაულის შედგენილობისათვის საჭიროა არსებობდეს ფაქტი დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობისა ან მისი პირადი ღირსების ზისტემატური დამცირების, რაც აიძულა იგი თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მისუ-

იმ შემთხვევაში, თუ თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა ჩადენილი იქნა თუნდაც პირადი ურთიერთობის ნიადაგზე დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, მაგრამ ასეთი შედეგია არ იყო გამოწვეული დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით, ამასთან დაზარალებული ბრალდებულსაგან დამოკიდებული არ იყო მატერიალურად, სამსახურებრივ ან სხვაგვარად — განხილული დანაშაულის შედეგნილობა არ გვექნება.

ზოგჯერ ადვილად აღგზნებადი, ფსიქოპათიური ან სუსტი ნებისყოფის ადამიანი თვითმკვლელობას მიპართავს არაჯანსაღი ოჯახური ურთიერთობის ნიადაგზე, მაგალითად, ქალი მოიკლავს თავს იმის გამო, რომ ქმარი გაეყარა მას ან ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა იგი სხვა ქალთან და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ქმარი ვერ მიეცემა პასუხისმგებლობის სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის საფუძველზე, რადგან მისი ქმედობა არ შეიცავს აღნიშნული მუხლის ნიშნებს.

სუბიექტური მხრივ აღწერილი დანაშაული გამოიხატება დამდგარი შედეგის მიმართ გაუფრთხილებელ ბრალში ან კიდევ არა პირდაპირ განზრახ ბრალში. ამიტომ პირდაპირი განზრახვის დადგენისას ბრალეულმა პირმა პასუხი უნდა აგოს მკვლელობისათვის რადგან უკეთუ მას სურდა დაზარალებულის სიკვდილი და ამ მიზნის მისაღწევად დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობა ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირება საშუალებად გამოიყენა და სასურველ შედეგამდე მიადგინა, ქმედობა განხილული უნდა იქნეს, როგორც განზრახი მკვლელობა და ცა-

ლკეული საქმის გარემოებათა შესაბამისად დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე ან 105 მუხლით.

ადრემოქმედ კოდექსში ანალოგიური დანაშაულის შედეგნილობა გათვალისწინებული იყო 150-ე მუხლის მეორე ნაწილში. ახალმა კოდექსმა მხოლოდ დააზუსტა, რედაქციულად გააუმჯობესა მისი შინაარსი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს ძველი კოდექსის 150-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ დანაშაულის შედეგნილობას, სახელდობრ — არასრულწლოვანის ან იმ პირის თვითმკვლელობისათვის ხელის შეწყობას ან შეგულიანებას, ვისაც, როგორც დამნაშავემ წინასწარ იცოდა, არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა ან განეგო თავისი საქციელი, უკეთუ ამას თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა მოჰყვა.

უნდა ვიგულისხმოთ ჩვენმა კანონმდებელმა გაიზიარა იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმული, სავსებით მართებული მოსაზრება, რომ უკეთუ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როგორც არის არასრულწლოვანი ან იმ პირის თვითმკვლელობისათვის ხელის შეწყობა ან შეგულიანება, ვისაც არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა ან განეგო თავისი საქციელი, რაც დამნაშავემ წინასწარ იცოდა — იგი იურიდიული თვალსაზრისით სწორედ მკვლელობად უნდა ჩაითვალოს და მისი გამოყოფა დანაშაულის ცალკე შედეგნილობად (რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ადრემოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში) გამართლებული არ არის.

მეკვლევა და წინასწარი გაემაიება სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით

ბ. ნადირაძე

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო-პროკურატურის, საგამომძიებლო და მოკვლევების ორგანოების წინაშე აყენებს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებს. მთელი მათი საქმიანობა ამჟამად უნდა დაუმორჩილდეს უმთავრესის გადაწყვეტას — დანაშაულის თავიდან აცილენას, ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც გამორიცხავენ მოქალაქეთა მიერ დანაშაულებრივ მოქმედებათა ჩადენას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, რომ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანაა დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა, რათა თვითეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს და არცერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემული და მსჯავრდებული. სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დანაშაულის თავიდან აცილენას და აღმოფხვრას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელად შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით. ამ ამოცანების გადაწყვეტისას მართლმსაჯულების განმზოცილებელი ორგანოები უნდა ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის იმ მითითებით, რომ სასაჯელის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა განისაზოვრება არა მისი სიმძიმით, არამედ გარდუვალობით.

დანაშაულოთან ბრძოლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმის თავის დროზე და უშეცდომოდ აღძვრას, რისთვისაც სა-

ჭიროა არსებობდეს სათანადოდ შემოწმებული როგორც საქმის აღძვრის საბაზი, ისე მისი საფუძველი. საქართველოს სსრ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლში ნათლად არის განსაზღვრული ყველა ის საბაზი და საფუძველი, რომლებიც აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის.

თუ წინასწარი შემოწმებით დადგენილი იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108 მუხლით გათვალისწინებული საბაზი და საფუძველი, მაშინ პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევები პირი, მოსამართლე მოვალეა 112 მუხლის თანახმად, გამოიტანოს დადგენილება საქმის აღძვრის შესახებ, რომელშია მითითებული უნდა იყოს საქმის აღძვრის საბაზი და საფუძველი, სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლის ნიშნების მიხილვითაც საქმე აღიძვრის და დაუყოვნებლივ წარმართონ იგი ისე, როგორც მითითებულია 113 მუხლში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის 117 მუხლის თანახმად მოკვლევების ორგანოებამ ითვლებიან:

1. მილიციის ორგანოები;
2. სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები და სამხედრო დაწესებულებათა უფროსები ყველა ისეთ დანაშაულის საქმეზე, რომელიც ჩაიდინეს მათდამი დაქვემდებარებულმა სამხედრო მოსამსახურეებმა, აგრეთვე სამხედრო ვალდებულებმა სასწრაფო შეკრებათა გავლის დროს; ისეთი დანაშაულის საქმეზე, რომელიც ჩაიდინეს შეიარაღებული ძალების მუშებმა და მოსამსახურეებმა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირე-



ბით ამ ნაწილს, შენაერთის, დაწესებულების განლაგებაში;

3. შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსები — სამსახურის შესრულების დადგენილი წესის საწინააღმდეგო დანაშაულის საქმეზე, რომელიც ჩაიდინეს ამ დაწესებულებათა თანამშრომლებმა, და აგრეთვე ისეთი დანაშაულის საქმეზე, რომელიც ჩადენილია შრომა-გასწორების დაწესებულების განლაგებაში;

4. სახელმწიფო-სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები — ხანძრისა და ხანძარსაწინააღმდეგო დარღვევის საქმეებზე;

5. სასაზღვრო დაცვის ორგანოები — სახელმწიფო საზღვრის დარღვევის საქმეებზე;

6. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები — საქმეებზე, რომლებიც კანონით მათ გამგებლობას ეკუთვნის;

7. შორეულ ნაოსნობაში მყოფი საზღვაო გემების კაპიტნები.


როგორც აქედან ჩანს, ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა სათანადო შესწორება შეიტანა და ამომწურავად განსაზღვრა მოკვლევის ყველა ორგანოები და ამით გამოასწორა ზოგიერთი უხერხულებანი, რომლებიც იქმნებოდნენ ძველი კოდექსის მოქმედების დროს. მაგალითად, ძველი კოდექსის მიხედვით სახელმწიფო უშიშროებისა და საზღვაო დაცვის ორგანოები არ ითვლებოდნენ მოკვლევის ორგანოებად და ისინი არ სარგებლობდნენ სათანადო უფლებებით.

მოკვლევის ორგანოების მოქმედება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელი დანაშაულის ირგვლივ უხდება მათ მუშაობა. არის დანაშაული, რომელზედაც წინასწარი გამოძიების ჩატარება აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს და პირაქით, არის დანაშაული, როგორც ამას კოდექსის 126 მუხლი ითვალისწინებს, რომელზეც წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა. თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 118 მუხლისა, იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია დანაშაულის ნიშნები, რომლის შესახებაც სავალდებულოა წინას-

წარი გამოძიების წარმოება, მოკვლევის ორგანო აღირავს სისხლის სამართლის საქმეს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესების დაცვით დაუყოვნებლივ შეუდგება გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებას, როგორცაა დათვლიერება, ჩხრეკა, ამოღება, შემოწმება, დაკავება და დაკითხვა საექვო პირებისა, დაკითხვა დახარალებულებისა და მოწმეებისა, რათა აღმოაჩინოს და კანონის მიხედვით სათანადოდ გაამაგროს დანაშაულის კვალი.

118-ე მუხლში ნაჩვენები საგამომძიებლო მოქმედებანი ითვლებიან ამომწურავად და მოკვლევის ორგანოებს არა აქვთ უფლება გაცდენ მას. მაგალითად, მოკვლევის ორგანოს არ აქვს უფლება პასუხისმგებში მისცეს პიროვნება, როგორც ბრალდებული, ჩატაროს ექსპერტიზა, ამოცნობა და სხვა. იმ საქმეებზე, რომლებზედაც აუცილებელია წინასწარი გამოძიება, მოკვლევის ორგანოების ამოცნაა დანაშაულის აღმოჩენა და მისი კვალის განმტკიცება. დაამთავრებს თუ არა გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებას, მოკვლევის ორგანო ვალდებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის თანახმად საქმის აღძვრის მომენტიდან განსაზღვრული ვადის (10 დღე) გასვლის შემდეგ საქმე გადასცეს საგამომძიებელს. საქმის გადაცემის შემდეგ კი, როგორც ამას კოდექსის 120 მუხლი ითვალისწინებს, მოკვლევის ორგანოს შეუძლია საქმის ირგვლივ ჩაატაროს საგამომძიებლო-სამძებრო მოქმედებანი მხოლოდ საგამომძიებლის დაჯალბებით. თუ საგამომძიებლისათვის საქმის გადაცემის შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი არაა აღმოჩენილი, მოკვლევის ორგანო განაგრძობს ოპერატიული-სამძებრო ოონისძიებათა ჩატარებას, რათა აღმოაჩინოს დამნაშავე და შიდეგის შესახებ ცნობებს აძლევს საგამომძიებელს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლი ეხება მოკვლევის მორტი თორმას ისეთი საქმეების შესახებ, რომელზედაც წინასწარი გამოძიების წარმოება არაა საჯალბებულო. ასეთ საქმეებზე მოკვლევის ორგანოები



ატარებენ მთლიან გამოძიებას და ხელმძღვანელობენ იმ წესებით, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით წინასწარი გამოძიებისათვის, შემდეგი გამონაკლისით:

1. დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩლეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს მოკვლევის დამთავრების შემდეგ არ აცნობენ მოკვლევის მასალებს, არამედ შეატყობინებენ მხოლოდ მოკვლევის დამთავრებისა და საქმის პროკურორისათვის გადაცემის შესახებ.

2. მოკვლევის წარმოების დროს დამკველი არ იღებს მონაწილეობას;

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება მომკვლევ პირზე, ე. ი. მომკვლევ პირს არა აქვს ისეთი უფლებები, როგორც გამოძიებელს, რომელსაც უფლება აქვს გამოსაძიებელ საქმეზე მისცეს დავალებანი და მითითებანი სამძებრო და საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, მოითხოვოს დახმარება ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედების წარმოების დროს და სხვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორის მითითებებს მოკვლევის ორგანო არ ეთანხმება, მას უფლება აქვს გასაჩივროს ეს ზემდგომ პროკუროროსთან, ხოლო მითითებების შესრულებას იგი ვერ შეაჩერებს. მოკვლევის ვადა აღნიშნული ხასიათის საქმეებზე და საბრალდებულ დასკვნის ან დადგენილების შედგენა საქმის შეწყვეტაზე ან მის შეჩერებაზე, როგორც ამას 124-ე მუხლი ითვალისწინებს, არის ერთი თვე. ამავე მუხლის თანახმად ეს ვადა შეიძლება გაგრძელებული იქნეს, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვით სათანადო დასაბუთებული დადგენილების საფუძველზე უშუალოდ იმ პროკურატურის მიერ, რომელიც ზედამხედველობს მოკვლევის ჩატარებას. საქმის შინაარსისა და ხასიათის მიხედვით შეიძლება შეიქმნას განსაკუთრებული მდგომარეობა და ამის გამო მოკვლევის ვადის გაგრძელება საქმეზე აუცილებელი გახდეს

იმავე წესით, როგორც ვადის გაგრძელება წინასწარი გამოძიების დროს.

121-ე მუხლის თანახმად მოკვლევის ორგანოს უფლება აქვს დააკავოს იმ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა. საეჭვო პირის დაკავების ყოველ შემთხვევაში მოკვლევის ორგანო, თანახმად 122-ე მუხლისა, ვალდებულია შეადგინოს ოქმი დაკავების საფუძვლისა და მოტივების აღნიშვნით და 24 საათის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ პროკურორს, რომელიც თავის მხრივ მოვალეა 48 საათის განმავლობაში შეტყობინების მიღების მომენტიდან მისცეს სანქცია მის დაპატიმრებაზე ან თავისუფლოს დაკავებული.

მოკვლევის ორგანოებს შეუძლიათ აგრეთვე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკითხვა. ეჭვმიტანილი უნდა დაიკითხოს არა უგვიანეს 24 საათისა დაკავების მომენტიდან, გამოეცხადოს თუ რაშია იგი ეჭვმიტანილი და განემარტოს მას მისი უფლებები.

მოკვლევა ისეთ საქმეებზე, რომლებზედაც წინასწარი გამოძიების წარმოება აუცილებელია, მთავრდება დადგენილების შედგენით გამოძიებელზე საქმის გადაცემის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოკვლევის ორგანოს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეაჩეროს ან შეწყვიტოს საქმე. რაც შეეხება მოკვლევის ისეთ საქმეებზე, რომლებზედაც წინასწარი გამოძიების წარმოება არაა სავალდებულო, იგი მთავრდება საბრალდებულ დასკვნის შედგენით ან დადგენილებით საქმის შეწყვეტაზე. დადგენილების ასლი 24 საათის განმავლობაში უნდა გადაეცეს პროკურორს. საბრალდებლო დასკვნის შედგენისას საქმე მთელი მოკვლევის მასალებით გადაეცემა პროკურორს დასამტკიცებლად. თუ არსებობს საქმის შეჩერების რომელიმე საფუძველი, მოკვლევის ორგანო შეადგინს საფუძვლიან დადგენილებას საქმის შეჩერებაზე და დადგენილების ასლს 24 საათის განმავლობაში წარუდგენს პროკურორს.

წინასწარი გამოძიების ორგანოებდა, როგორც ამას 125-ე მუხლი მიუთითებს, ითვლებიან პროკურატურის და

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამოძიებლები. სისხლის სამართლის საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის გამოძიებლები, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65, 71, 74, 80 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებზე — აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამოძიებლები. თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებისა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამოძიებლებს დამატებით ექვემდებარება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებიც.

თუ პროკურატურის გამოძიებლებს შეუძლიათ აწარმოონ წინასწარი გამოძიება ყველა სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებზე, უშიშროების ორგანოების გამოძიებლებს ასეთი უფლება არა აქვთ, მათ შეუძლიათ აწარმოონ წინასწარი გამოძიება ისეთ საქმეებზე, რომელიც უშუალოდ კანონით ექვემდებარება.

წინასწარი გამოძიება სავალდებულოა სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულის საქმეებზე, ყველა იმ საქმეებზე, რომელიც ჩადენილია არასრულწლოვანთა ან იმ პირთა მიერ, რომელთაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლება დაცვაზე. წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლში ჩამოთვლილ სხვა საქმეებზეც. თუ სასამართლო ან პროკურატურა საჭიროდ ჩათვლის, წინასწარი გამოძიება შეიძლება ჩატარდეს ისეთ საქმეებზეც, რომელიც არ არის მითითებული აღნიშნულ მუხლში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ ვააფართოვა გამოძიებლის უფლებები და გაზარდა მისი პასუხისმგებლობაც. გამოძიებელი თავისი მოვალეობის შესრულების დროს დამოუკიდებლად ღებულობს ყველა გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით გათვალისწინებულია პროკურორისაგან სანქციის მიღე-


ბა. თუ გამოძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს, მას უფლება აქვს წარუდგინოს საქმე და თავისი წერილობითი მოსაზრებანი შემდგომ პროკურორს. 127 მუხლი ითვალისწინებს, რომ გამოძიებლის დავალებანი და მითითებანი საგამომძიებლო მოქმედების წარმოების დროს მოკვლევის ორგანოებისათვის სავალდებულოა, ასევე სავალდებულოა შეასრულოს გამოძიებლის დადგენილება ყველა წარმოება-დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, თანამდებობის პირში და მოქალაქეში. აღნიშნული მდგომარეობა ზრდის გამოძიებლის ავტორიტეტს, მის როლს და ხელს უწყობს გამოძიების ხარისხის ამაღლებას.

გამომძიებელს უფლება აქვს აწარმოოს კანონით გათვალისწინებული ყველა საგამომძიებლო მოქმედებანი, მათ შორის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებაც. ყოველგვარი საგამომძიებლო მოქმედების წარმოების უფლება, როგორც ამას 133-ე მუხლი ითვალისწინებს, გამოძიებელს ეძლევა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ.

თუ გამოძიებელი მიიღებს მასალას ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც წინასწარ გამოძიებას მოითხოვს, იგი ვალდებულია ერთიანი დადგენილებით აღძვრას საქმე, მიიღოს იგი თავის წარმოებაში და დადგენილების ასლი 24 საათის განმავლობაში წარუდგინოს პროკურორს.

საქმის სირთულის შემთხვევაში გამოძიება შეიძლება მიენდოს რამდენიმე გამოძიებელს, რაც აღინიშნება დადგენილებაში საქმის აღძვრის შესახებ ან გაფორმდება ცალკე დადგენილებით. ერთ-ერთი გამოძიებელთაგანი ღებულობს საქმეს წარმოებაში და ხელმძღვანელობს ყველა დანარჩენის მოქმედებებს. ასეთ შემთხვევაში აცილების უფლების განმარტებისას პროცესის მონაწილეებს უნდა გამოეცხადოთ გამოძიებელთა მთელი შემადგენლობა.

როგორც წესი, წინასწარი გამოძიება წარმოებს იმ რაიონში, სადაც და-



ნაშაულია ჩადენილი, მაგრამ გამოძიების რაც შეიძლება სწრაფად და სრულად წარმოების მიზნით იგი შეიძლება ჩატარდეს დანაშაულის გამოძიებების ადგილზე ან იქ, სადაც დამნაშავეთა ან მოწმეთა უმრავლესობა იმყოფება.

თუ მიღებული ცნობა დანაშაულის შესახებ გამოსაკლევად ექვემდებარება სხვა საგამომძიებლო ორგანოს, გამომძიებელი მოვალეა აღძრას საქმე, შეასრულოს გადაუდებელი საგამომძიებლო მოქმედებანი და გადასცეს იგი გამოძიების ქვემდებარეობისამებრ. საქმის ქვემდებარეობის საკითხს გადაწყვეტს პროკურორი, რომლის რაიონშიც დაიწყო გამოძიება, ხოლო თუ საქმე საჭიროა გადაეცეს სხვა რესპუბლიკის ორგანოს, მაშინ ეს ხდება რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით.

როდესაც საჭიროა ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოება სხვა რაიონში, გამომძიებელს შეუძლია თვითონ აწარმოოს იგი ან წერილობით დაავალოს მისი შესრულება სათანადო გამომძიებელს, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს 10 დღისა შეასრულოს ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების ეს დავალება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134 მუხლი ითვალისწინებს წინასწარი გამოძიების ვადას და მისი გაგრძელების წესებს. წინასწარი გამოძიება უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ორი თვისა. ეს ვადა შეიცავს დროს საქმის აღძვრის მომენტიდან მის სასამართლოში გადაცემის მომენტის ან შეჩერებამდე. აღნიშნული ვადა შეიძლება დადგენილებით გაგრძელებულ იქნას საქმის განსაკუთრებული სირთულის გამო. თუ წინასწარი გამოძიების დროს პროცესის მონაწილე რომელიმე პირმა არ იცის ენა, რომელზედაც საქმე წარმოებს, გამომძიებელი მოიწვევს თარჯიმანს, რომელიც ვალდებულია გამოცხადდეს და პასუხისმგებელია წინასწარი შეცნობით არასწორად თარგმნის შემთხვევაში.

ზოგიერთი საგამომძიებლო მოქმედების წარმოების დროს, როგორცაა ჩხრეკა, დათვალიერება და სხვა, გამომძიებელი მოვალეა 136-ე მუხლის შესაბამისად მოიწვიოს არა ნაკლებ ორი თანამოწმისა, რომლებიც საქმით არ არიან

დაინტერესებული და განუმარტოს მათ უფლებები და მოვალეობანი.

გამომძიების დროს სამოქალაქო სარჩელის აღძვრისა და დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩლედ ცნობის ან ასეთზე უარის თქმის საკითხს ითვალისწინებს 137-ე მუხლი, ხოლო როგორც სამოქალაქო მოსარჩლის, ისე პროცესის სხვა მონაწილე პირთა ან მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობის ვანხილვას კი კოდექსის 138-ე მუხლი.

კოდექსის მეცამეტე თავში მოცემული ნორმები განსაზღვრავენ ბრალდების წაყენებისა და ბრალდებულის დაკითხვის წესებს.

წინასწარ გამოძიებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს დამნაშავე პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას, რომელსაც ანხორციელებს გამომძიებელი დასაბუთებული დადგენილების გამოტანით. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან და აუცილებელ საგამომძიებლო მოქმედებას, რადგანაც აღნიშნული მომენტიდან პასუხისგებაში მიცემული პირი ხდება ბრალდებული და გამომძიებელს შეუძლია აირჩიოს მის მიმართ სათანადო აღკვეთის ღონისძიება, დაკითხოს იგი როგორც ბრალდებული, ჩაატაროს მისი მონაწილეობით საგამომძიებლო მოქმედება და სხვა.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გამორიცხულია ამა თუ იმ პიროვნების ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა სათანადო დამამტკიცებელი საბუთების გარეშე. პიროვნების ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დროს საფუძვლად გამოიყენება მხოლოდ შემოწმებული და ყოველმხრივ დადასტურებული საბუთები, რომლებიც გვარწმუნებენ მასში, რომ პიროვნება ნამდვილად დამნაშავეა.

ბრალდების წაყენება უნდა მოხდეს არა უგვიანეს 48 საათისა იმ მომენტიდან, როდესაც გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ხოლო თუ ბრალდებული ემალება ძიებას, მაშინ ბრალდების წაყენების ვადა წყდება.

ბრალდების წაყენების შესახებ დადგენილების გაცნობასთან ერთად, გამომ-

ძიებელმა უნდა განუმარტოს ბრალდებულს წაყენებული ბრალდების არსი. ამ მოქმედების შესრულება დასტურდება დადგენილებაზე ბრალდებულის ხელის მოწერით და თარიღის დასმით, ხოლო თუ მან უარი განაცხადა ხელის მოწერაზე, გამომძიებელი აღნიშნავს, რომ ბრალდებულს გამოეცხადა დადგენილების ტექსტი, და ამას აცნობებს პროკურორს.

ბრალდების წაყენებისას გამომძიებელი ვალდებულია განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები და როგორც კანონი მოითხოვს, გამომძიებელმა იგი დაუყოვნებლივ უნდა დაკითხოს 147 მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით და შეადგინოს მისი დაკითხვის ოქმი.

იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით გათვალისწინებულია ბრალდების წაყენების მომენტდანი დამცველის მონაწილეობა, გამომძიებელი მოვალეა უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა, რომლის თანდასწრებითაც ბრალდებულს წარედგინება ბრალდება და განემარტება მისი უფლებები.

გამომძიებელი მოვალეა ყურადღებით მოუსმინოს ბრალდებულის ჩვენებას მიუხედავად იმისა უარყოფს თუ აღიარებს დანაშაულის ჩადენას და წაყენებულ ბრალდებას. ჩვენების მიცემის შემდეგ ბრალდებულს უფლება აქვს საკუთარი ხელით დაწეროს თავისი ჩვენება.

თუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია თანამდებობის პირი, გამომძიებელი ვალდებულია გადაწყვიტოს საკითხი — საჭიროა თუ არა მისი გადაყენება თანამდებობიდან გამომძიების დროის განმავლობაში. გამომძიებელს ამ საკითხზე გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება, რომელსაც ამტკიცებს პროკურორი და შესასრულებლად იგზავნება იგი ბრალდებულის სამუშაო ადგილას. როდესაც გამოძიების დროს წარმოიშობა საფუძველი წაყენებული ბრალდების შეცვლის ან დამატებისათვის, გამომძიებელი მოვალეა წაუყენოს ბრალდებულს ახალი ბრალდება და დაკითხოს იგი. თუ წაყენებული ბრალდება რაიმე ნაწილში არ დადასტურდა, გამომძიებელი თავისი დადგენილებით შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეს

ბრალდების ამ ნაწილში და გამომძიებელს ამას ბრალდებულს.

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მეთოთხმეტე თავი აქვს დათმობილი.


მოწმე დაზარებულ უნდა იქნეს გამომძიებელთან 153 მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით და იგი დაიკითხება გამოძიების წარმოების ადგილას, ხოლო თუ გამომძიებელი საჭიროდ ცნობს, მოწმის დაკითხვა შეიძლება მის სამყოფელ ადგილას. მოწმეების დაკითხვა წარმოებს ცალ-ცალკე და გამომძიებელი ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ ერთსა და იმავე საქმეზე დაზარებულ მოწმეებს არ შეეძლოთ ერთმანეთთან ურთიერთობა დაკითხვის დამთავრებამდე. მოწმე უნდა დაიკითხოს 156 მუხლით გათვალისწინებული წესების მიხედვით და მისი დაკითხვის შესახებ უნდა შედგენილი იქნეს ოქმი.

14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვისას, აგრეთვე გამომძიებლის შეხედულებით 18 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვის დროსაც, დაზარებული უნდა იქნეს პედაგოგი, საჭიროების შემთხვევაში იზარებენ მშობლებსაც ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს.

რაც შეეხება დაზარალებულის დაკითხვას, იგი გათვალისწინებულია 159 მუხლით და წარმოებს მოწმისათვის დადგენილი წესებით. დაკითხვის წინ დაზარალებულს გამომძიებელი განუმარტავს მის უფლებებს.

თუ ბრალდებულთა, დაზარალებულთა, მოწმეთა, ექვმიტანითა ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობებია, გამომძიებელს უფლება აქვს, მოახდინოს მათ შორის დაპირისპირება. დაუშვებელია დაპირისპირება ერთდროულად ორზე მეტ პირს შორის, რომლებიც დაპირისპირების წინ აუცილებლად დაკითხული უნდა იყვნენ. დაპირისპირების დროს დატული უნდა იქნეს 161 მუხლით გათვალისწინებული წესები. დაპირისპირება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ჩვენებათა შორის არსებით წინააღმდეგობებს და საჭიროა მათი გარკვევა, თავიდან მოცილება.

დაპირისპირების თვითიული მონაწი-



ლე ხელს აწერს დაპირისპირების ოქმში თავის ჩვენებაზე.

საჭიროების შემთხვევაში გამოძიებულს შეუძლია, 162 მუხლის თანახმად, წარადგინოს ამოსაცნობად პირი ან საგანი. მოწმე, დაზარალებული, ექვმიტანილი ან ბრალდებული, რომელსაც წარედგინება ამოსაცნობად პირი ან საგანი, წინასწარ უნდა დაიკითხოს იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა ვითარებაშიც მას უნახავს სათანადო პირი ან საგანი.

კოდექსის მეთექვსმეტე თავი შეიცავს ამოღების, ჩხრეკისა და ქონებაზე ყადაღის დადების წარმოების დაწვრილებით წესებს. ამოღება, ჩხრეკა, ქონებაზე ყადაღის დადება შეიძლება იქნეს წარმოებული მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი ჩატარება აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გარანტიების წესების დაცვით, წარმოება-დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ინტერესების უზრუნველსაყოფად.

როგორც ამოღება ისე ჩხრეკა წარმოებს გამოძიებლის მოტივირებული დადგენილებით. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნების ან დოკუმენტების ამოღება წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც ზუსტად ცნობილია სად და ვისთან იმყოფებიან ისინი. იმ დოკუმენტების ამოღება, რომლებიც შეიცავენ ცნობებს, რაც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, წარმოებს მხოლოდ პროკურორის სანქციით და სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

ჩხრეკა წარმოებს 166 მუხლით გათვალისწინებული წესების მიხედვით და მისი ჩატარების, ისე როგორც ამოღების დროს ესწრებიან არა ნაკლები ორი თანამოწმისა, რომელთა გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი უნდა ნაჩვენები იქნეს ოქმში. ამოღებისა და ჩხრეკის დროს უნდა დაცული იქნეს 169 მუხლით გათვალისწინებული წესები. პირადი ჩხრეკა ცალკე დადგენილებისა და პროკურორის სანქციის გარეშე შეიძლება 172 მუხლით გათვალისწინებულ ორ შემთხვევაში:

1. დაკავების ან დაპატიმრების დროს;
2. თუ არსებობს საკმაო საფუძველი, რომ ის პირი, რომელიც იმყოფება 4. საბჭოთა სამართალი № 5.


ამოღების ან ჩხრეკის წარმოების ადგილზე, მალავს ისეთ საგნებს ან დოკუმენტებს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ექნეს საქმისათვის.

თუ ჩხრეკის ჩატარება გადაუდებელ მდგომარეობის შემთხვევაში შეიძლება პროკურორის სანქციის გარეშე, კორესპონდენციაზე ყადაღის დადება და მისი ჩამორთმევა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში შეიძლება მხოლოდ პროკურორის სანქციით ან სასამართლოს განჩინებით, აგრეთვე მოსამართლის დადგენილებით.

სამოქალაქო სარჩელის ან ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით გამოძიებელი მოვალეა ყადაღა დაადოს ბრალდებულის, ექვმიტანილის ან კანონის მიხედვით მათი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ქონებას, ან სხვა ისეთი პირების ქონებას, რომლებთანაც იმყოფება დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონება და 176 მუხლის თანახმად შეადგინოს ოქმი, რომლის ასლიც უნდა ჩაბარდეს ხელმოწერით იმ პირს, ვისთანაც მოხდა ქონებაზე ყადაღის დადება.

დანაშაულის კვალის და სხვა გარემოებათა გამორკვევის მიზნით, როგორც ეს კოდექსის მეჩვიდმეტე თავშია ნაჩვენები, გამოძიებელი აწარმოებს შემთხვევის ადგილის ან საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერებას. საჭიროების შემთხვევაში გვამის გარეგან დათვალიერებას გამოძიებელი აწარმოებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობით და თანამოწმეთა დასწრებით. გამოძიებელს უფლება აქვს ჩაატაროს დამოუკიდებელი საგამომძიებლო მოქმედება ბრალდებულის, ექვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებული პირის, თუ მათ ტანზე დანაშაულის კვალის ან განსაკუთრებული ნიშნების არსებობის დასადგენად არ არის საჭირო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. როგორც დათვალიერების, ისე შემოწმების ოქმს ადგენს გამოძიებელი.

183 მუხლით გათვალისწინებულია საგამომძიებლო ექსპერტიზის ჩატარება, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ საგამომძიებლო მოქმედებას და ტარდება იგი იმ მიზნით, რომ შემოწმებული



და დაზუსტებული იქნეს გამოძიების პროცესში მიღებული მონაცემები.

ექსპერტიზას კოდექსის სპეციალური ძეთვრამეტე თავი აქვს დათმობილი. თუ გამოძიებებზე საჭიროდ ცნო ექსპერტიზა, იგი შეადგენს ამის შესახებ დამატებებს, რომელშიც აღნიშნავს: ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველს, ექსპერტს ან დაწესებულების დასახელებას, სადაც ექსპერტიზა ჩატარდება, კითხვებს დასკვნისათვის და გამოსაკვლევად გასაგზავნი საგნებისა და დოკუმენტების ნუსხას. გამოძიებელს უფლება აქვს დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას. ბრალდებულს აქვს უფლება: აცილებს მისცეს ექსპერტს, წარადგინოს საბუთები და მისცეს განმარტებანი ექსპერტს, გამოძიებლის ნებართვით დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას და გაეცნოს მის მასალებს და დასკვნას.

ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში, როდესაც საჭირო ხდება მათზე სტაციონარული დაკვირვებები, გათვალისწინებულია 190 მუხლით. ექსპერტი შეიძლება იქნეს დაკითხული მის მიერ მიცემული დასკვნის შესახებ და არა როგორც მოწმე. ექსპერტის დასკვნა აუცილებლად უნდა წარედგინოს ბრალდებულს და მას აქვს უფლება მისცეს თავის განმარტებანი. შეიძლება დანიშნული იქნეს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196 მუხლი ითვალისწინებს სამ შემთხვევას წინასწარი გამოძიების შეჩერების საფუძველებისა და ვადების შესახებ.

წინასწარი გამოძიების განახლება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის შეჩერების საფუძველი მოიხსნა ან საჭირო გახდა დამატებითი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება. გამოძიებლის იმ უფლებას, რომ მას შეუძლია გამოძიების განახლება დამატებითი საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

წინასწარი გამოძიება მთავრდება საბრალდებო დასკვნის შედგენით ან დად-

გენილების გამოტანით საქმის შეწყვეტის ან მისი სასამართლოში გადაგზავნის შესახებ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების განსახილველად.

როდესაც გამოძიებელი თვლის, რომ გამოძიება დამთავრებულია და შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთები საკმარისია საბრალდებო დასკვნის შესადგენად, იგი მოვალეა გამოუტყუდოს ამის შესახებ დახარალებულს, სამოქალაქო მოსარჩლეს, სამოქალაქო მოპასუხეს ან მათ წარმომადგენლებს და განუმარტოს მათ უფლება საქმის მასალების გაცნობის შესახებ 201 მუხლით გათვალისწინებული წესების მიხედვით.

თანხმად 202 მუხლისა ბრალდებულს აქვს უფლება გაეცნოს საქმის მთელ მასალებს როგორც პირადად, ისე დამცველის დახმარებით. თუ ბრალდებული მოითხოვს, გამოძიებელს უფლება აქვს გააცნოს საქმის მასალება ბრალდებულს და დამცველს ცალ-ცალკე; თუ საქმე ჯგუფურია, მის მასალებს ეცნობიან ბრალდებულები ცალ-ცალკე. ბრალდებულს და მის დამცველს საქმე უნდა წარედგინოს აკინძული და დანომრილი; მათ უფლება აქვთ აღძრან შუამდგომლობა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, რომელიც სათანადოდ უნდა იქნეს განხილული გამოძიებლის მიერ. ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის საქმის მასალების წარდგენის შესახებ გამოძიებელი ადგენს იმდენ ოქმს რამდენი ბრალდებულიც არის საქმის მიხედვით, წინასწარი გამოძიების შემჯამებულ დოკუმენტად ითვლება საბრალდებო დასკვნა, რომელიც შედგება ორი, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. საბრალდებო დასკვნის აღწერილობით ნაწილში, როგორც ეს 206 მუხლითაა გათვალისწინებული, გარდა სხვა მდგომარეობისა, იწერება როგორც ბრალდებულის ბრალის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, აგრეთვე მოსაზრებანი, რომელთაც ბრალდებული თავის დასაცავად აყენებს და, ამ მოსაზრებების შემოწმების შედეგად, საბრალდებო დასკვნას მისი დანართებით საქმესთან ერთად გამოძიებელი დაუყოვნებლივ უგზავნის პროკურორს.

განაჩენის მოჭიპირება და მისი მნიშვნელობა

მ. ნანიკიშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სასამართლოს განაჩენი არის სოციალისტური მართლმსაჯულების აქტი, სამართლის ნორმათა რეალიზების საშუალება.

სრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებს 43-ე მუხლის თანახმად „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული... გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენი სასამართლომ უნდა დაასაბუთოს“. ცნებები „განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული“ და „სასამართლომ განაჩენი უნდა დაასაბუთოს“ გამოთქმის მიხედვით ერთმანეთს გვიან და თითქოს ერთი მნიშვნელობისანი არიან. სინამდვილეში მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება.

საფუძვლების 4-ე მუხლის რუსულ ტექსტში ნათქვამია: „Обвинительный приговор и оправдательный приговор должны быть судом мотивированы“.

როგორც ვხედავთ რუსულ ტექსტში „დასაბუთოს“ ნაცვლად ნახარია ტერმინი მოტივირება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო სწორი და გასაგები იქნება ვინმართ ტერმინი მოტივირებული ვიდრე „დასაბუთოს“ იმ განსხვავების გამოსახატავათ, რომელიც არსებობს განაჩენის დასაბუთებულობასა და მოტივირებას შორის.

საქართველოს სსკ 310-ე მუხლში ისევეა ნათქვამი განაჩენის დასაბუთებულობასა და მოტივირების შესახებ, როგორც საწყისების 43-ე მუხლის ქართულ ტექსტში.

დასაბუთებული განაჩენი ეწოდება ისეთ განაჩენს, რომელშიდაც სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები შეესაბამებთან სინამდვილეს, გამომდინარეობენ საქმეში არსებულ და

სასამართლო პროცესზე განხილულ საკმარისად დამაჯერებელ მტკიცებებშიდან. მოტივირებული განაჩენი კი ეწოდება ისეთ განაჩენს, რომელშიდაც სასამართლოს მიერ მითითებული და განალიზებულია ის მტკიცებები, რომელზედაც სასამართლომ ააგო თავისი განაჩენი.

ამდენად განაჩენის დასაბუთებულობა ნიშნავს მის არსებით სისწორეს, ხოლო მოტივირება კი ნიშნავს განაჩენში იმ მტკიცებებზე მითითებას საიდანაც განაჩენის ეს სისწორე გამომდინარეობს.

განაჩენი შეიძლება იქნეს დასაბუთებული, არსებითად სწორი და არამოტივირებული, მოტივირებული და დაუსაბუთებელი, აგრეთვე როგორც დაუსაბუთებელი ისე არამოტივირებული. განაჩენი მაშინ არის მოტივირებული და დაუსაბუთებელი, როდესაც თუმცა განაჩენში მითითებულია მტკიცებებზე, მაგრამ ეს მტკიცებები არ არის საკმარისი განაჩენის დასაბუთებლათ, როცა მტკიცებანი არიან სავარაუდო და არა საკმარისად დამაჯერებელნი. საწყისების 43-ე მუხლისა და საქართველოს სსს კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს ვარაუდს, არა საკმარისად დამაჯერებელ მტკიცებებს. განაჩენი მოტივირებული, მაგრამ დაუსაბუთებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც განაჩენში მითითებულია საკმარისად დამაჯერებელ მტკიცებებზე, წინასწარი გამოძიების მასალებზე, მაგრამ ეს მტკიცებანი არ ყოფილა სასამართლოს მსჯელობის საგანი. ვინაიდან საწყისების 43-ე მუხლისა და საქართველოს სსს კოდექსის 303-ე მუხლის თანახმად სა-



სამართლომ. განაჩენს საფუძვლად უნდა დაუდოს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც განხილული იქნენ სამსჯავრო სხდომაზე.

განაჩენის მოტივირება არის მოსამართლეთა შინაგანი რწმენის გამოხატულება, მოსამართლეთა შინაგანი რწმენა კი არის სუბიექტური გამოხატულება იმ გარემოებებისა, რომლებიც გამომდინარეობენ სასამართლო პროცესზე განხილულ მტკიცებათა შეფასებიდან, სამართალში მიცემულის ბრალეულობის ან უბრალობისა და სასჯელის შესახებ. ასე რომ, მოსამართლეთა შინაგანი რწმენა არ არის ისეთი რამ, რომლის ფორმულირება და გამოხატვა არ შეიძლებოდეს, რომელზედაც არ შეიძლებოდეს კონტროლის დაწესება. განაჩენის მოტივირებას დიდი პოლიტიკური და პროცესუალური მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეში.

განაჩენის მოტივირებას დიდი მნიშვნელობა აქვთ თვით განაჩენის დამდგენ სასამართლოსათვის. განაჩენის მოტივირების ცდის შემთხვევაში სასამართლო აკეთებს თვითკონტროლს თუ რამდენად გაერკვა იგი საქმის ვითარებაში, რამდენად სწორი დასკვნა გამოიტანა მტკიცებათა ლაბირინთიდან. თუ სასამართლო კარგად გაერკვა საქმის ვითარებაში, იგი ადვილად შეძლებს განაჩენში მოიყვანოს თავისი აზრის, თავისი შინაგანი რწმენის დამადასტურებელი მტკიცებანი და პირიქით, თუ სასამართლო ვერ გაერკვა განხილული საქმის ვითარებაში, მაშინ მას გაუჭირდება განაჩენის სათანადოდ მოტივირება. ეს უკანასკნელი კი აიძულებს სასამართლოს კვლავ დაუბრუნდეს საქმის მასალების შესწავლას, უფრო კრიტიკულად შეაფასოს მტკიცებანი, რაც ხელს შეუწყობს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანას.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად გასულ სასამართლო შემადგენლობას განაჩენის მოტივირება გაძნელებია, დაბრუ-

ნებულია სასამართლო სხდომაში დასაბუთებულია, რათა შეეკრიბა საკმარისი მასალება მოტივირებული განაჩენის დასადგენად. სასამართლო პრაქტიკამ იცის ასევე შემთხვევები, როდესაც განაჩენის გამოსატანად სათათბირო ოთახში გასულ სასამართლოს გამოუტანია დადგენილება საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ, ვინაიდან განაჩენის დადგენა და მოტივირება გაძნელებია საქმეში არსებული მტკიცების ნაკლებობის გამო, ასეთის შეგროვება კი გამოძიების გარეშე შეუძლებელია.

აქვს რა ადგილი აღნიშნულ შემთხვევებს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში, კანონმდებელმა საჭიროდ ცნო ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე მუხლად შეეტანა საკითხი იმის შესახებ, რომ მტკიცებათა უქმარობის გამო სათათბირო ოთახში გასულ სასამართლოს უფლება აქვს განახლოს სასამართლო გამოძიება ან განაჩენის მადგერ გამოიტანოს განჩინება საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ (მუხლი 309).

მხოლოდ მოტივირებულ განაჩენს აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მოქალაქე, რომელიც სასამართლო გამოძიებას არ დასწრებია და მხოლოდ განაჩენს ისმენს, განაჩენში მოყვანილთ ფაქტები იმდენად უნდა იქნენ გაანალიზებული და დაკონკრეტებული, რომ უნდა დარწმუნდეს განაჩენის სამართლიანობაში.

მხოლოდ მოტივირებულ განაჩენს შეუძლია დაამყაროს კავშირი სასამართლოსა და მასებს შორის. მოტივირებული განაჩენის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე და ამომრჩეველთა კონტროლი სასამართლოს მუშაობის ხარისხზე.

საკავშირო უმაღლეს სასამართლოს პლენუმს თავის დადგენილებებში არა

ერთხელ გაუტარებია ის აზრი, რომ განაჩენის მოტივირების ცდას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსამართლეთა თვითკრიტიკისა და კონტროლისათვის, რაც მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეს ემსახურება.

განაჩენის მოტივირებას დიდი მნიშვნელობა აქვს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სწორა მუშაობისათვის. მოტივირებული განაჩენი შესაძლებლობას აძლევს საკასაციო საჩივრის ან პროტესტის ავტორს, თავისი საჩივრით თავისი მოსაზრება დაუპირისპიროს იმ მტკიცებებს, რომელზედაც განაჩენია აგებული და ამტკიცოს განაჩენის დაუსაბუთებლობა.

მოტივირებული განაჩენი დად დახმარებას უწევს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებაში. განაჩენში მითითებულ და გაანალიზებულ მტკიცებათა მეშვეობით საკასაციო ინსტანციის სასამართლო ეძებს იმ ლოგიკურ გზას, რომლის მიხედვითაც სასამართლომ დაასაბუთა თავისი განაჩენი, არკვევს განაჩენში მითითებულ მტკიცებებიდან მართლაც და შეიძლება თუ არა ამ დასკვნის გაკეთება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ გააკეთა მსჯავრდებულის ბრალეულობისა და არჩეული სასჯელის შესახებ, ან რამდენად სწორია სამართალში მიცემულის გამართლება. საკასაციო სასამართლოს აღარ სჭირდება დიდი დრო (განსაკუთრებით რთულ საქმეებზე, როდესაც საქმეშია რამდენიმე ბრალდებული გადის, და სამართალში მიცემულებს მრავალ დანაშაულებრივ ეპიზოდში ედებათ ბრალი) ზღვა მასალაში ეძებოს ის მტკიცებანი, რომლებიც საჭიროა საკასაციო საჩივარზე ან პროტესტზე პასუხის გასაცემად და დადგენილების გამოხატანად.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი

სასამართლოს ავალდებულებდა გამოეტანა მოტივირებული განაჩენი საბჭოთა სასამართლოს შექმნის პირველი დღეებიდანვე.¹

რსფსრ-ს 1922 წლის სსს კოდექსის 338-ე მუხლი სავალდებულოდ თვლიდა განაჩენების მოტივირებას მიუხედავად საქმის სირთულისა. მაგრამ იმის გამო, რომ კანონმდებელმა საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვა ზედმეტად ჩათვალა (ხელის შემშლელად, რომელსაც თითქოს და ჩვენს პროცესში შეჰქონდა აპელაციის ნიშნები), რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1923 წლის რედაქციიდან, მუხლი 334-ე, ამოღებული იქნა მოთხოვნა განაჩენის მოტივირების შესახებ.

საბოლოოდ ჩვენს სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის მოტივირების აუცილებლობა დაამკვიდრა 1938 წელს მიღებულმა სასამართლო წყობილების კანონის მე-15 მუხლმა, რომლის მიხედვითაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს განაჩენის კანონიერებას და დასაბუთებულობას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1950 წლის 28 ივნისს მიიღო სახელმძღვანელო დადგენილება — „სასამართლო განაჩენის შესახებ“. დადგენილების მე-5 პუნქტში ნათქვამია: განაჩენში მოყვანილი უნდა იქნეს მტკიცებები, რის საფუძველზედაც სასამართლო მივიდა დასკვნამდე თვითეული სამართალში მიცემულის ბრალეულობის ან არაბრალეულობის შესახებ. ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთის უარყოფის შემთხვევაში, ეს იქნება ბრალდებისა თუ დაცვის საწინააღმდეგო, განაჩენში მითითებული უნდა იქნეს თუ რატომ იქნა უარყოფილი ეს მტკიცებები. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას განაჩენში უნდა მიეთითოს თუ რით იქნა უარყოფილი სამართალში მიცემულის ახსნა-განმარტება, რომელიც მან მისცა სასამართლოს თა-

¹ Ст. 19 инструкции НКЮ (СУ 1918 г. № 59 стр. 597). ст. 73. Положение о народном суде РСФСР (СУ 1918 г. № 85 ст. 889.) ст. 75. Положение о нарсуде РСФСР ст. 21, X 1920 г. (СУ 1920 г. № 100 ст. 541) и др.

ვის დაცვის მიზნით. განაჩენში უნდა მიეთითოს თუ რატომ არ იზიარებს სასამართლო ადვოკატის შუამდგომლობას კვალიფიცირების შეცვლის შესახებ.

გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, განაჩენში უნდა ითქვას თუ რით იქნა უარყოფილი საბრალდებო დასკვნის ვერსია, და მიეთითოს იმ მტკიცებებზე, რომლებზეც სასამართლომ დაამყარა თავისი გამამართლებელი განაჩენი. განაჩენში უნდა მოიყვანოს მოტივები მის მიერ არჩეული სასჯელის სისწორის შესახებ.

1961 წლის მარტიდან მოქმედებაში შესული საქართველოს სსს კოდექსის 317-ე მუხლში ნათქვამია განაჩენის მოტივირების აუცილებლობის შესახებ.

მიუხედავად კანონის მტკიცე მოთხოვნისა განაჩენის შესახებ, ხშირად ადგილი აქვს უმოტივო განაჩენის გამოტანის შემთხვევებს. მოსამართლეები კმაყოფილებიან განაჩენში დანაშაულის ფაბულისა და კვალიფიკაციის განსაზღვრით, არ მოყავთ და არ აანალიზებენ თავიანთი შინაგანი რწმენის დამადასტურებელ მტკიცებებს, ათუ რატომ უარყვეს მათ ერთი მტკიცება და სწორად მიიჩნიეს მეორე. ხშირად სასამართლოებს გამოაქვთ სტანდარტული ხასიათის განაჩენები მიუხედავად დანაშაულის ფაბულისა და მტკიცებათა სხვადასხვაობისა, განაჩენში არ უთითებენ მტკიცებათა წყაროებზე და თვით დამამტკიცებელ საბუთებზე, უთითებენ მხოლოდ საქმის ფურცლებზე, იმას კი აღარ ამბობენ, თუ რა სწერია საქმის ფურცელში და რა დასტურდება ამ ფურცლის შინაარსით. მოვიყვანთ დაუსაბუთებელი და უმოტივო განაჩენის რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს.

ქ. გორის სახალხო სასამართლომ 1960 წლის ნოემბრის თვეში განიხილა ს. კიკრიაშვილის ბრალდების საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 110-ე მუხლით. თავისი განაჩენის სამო-

ტივო ნაწილში სასამართლომ დაასტურებულა კიკრიაშვილის აღიარებით და მოწმეთა ჩვენებით. როგორც ვხედავთ, აქ არ ჩანს თუ რა აღიარა კიკრიაშვილმა, სცნო თუ არა მან თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. ამ განაჩენში მოწმეთა გვარები და საქმის ფურცელთა ნომრებიც კი არ არის მითითებული, რომ აღარაფერი ეთქვათ იმის შესახებ, თუ რას ადასტურებენ საქმის ფურცლები ან მოწმეთა ჩვენებები.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 7 სექტემბერს განაჩენით მსჯავრი დასდო სალიბეკ მუხაშვილს საქართველოს სს კოდექსის 91 და 150 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც მუხაშვილს მიუსაჯა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამ საქმეში გამავალ ბიბილაშვილს და ლოლობერიძეს მოუხსნა ის ბრალდება, რაშიც მუხაშვილი იქნა ცნობილი დამნაშავედ. სასამართლომ ერთი სიტყვაც არა თქვა იმის შესახებ, თუ რით იქნა უარყოფილი ბრალდების ვერსია. სასამართლომ მუხაშვილს მოუხსნა ბრალდების ორი ეპიზოდი (ბაღდაშვილისა და ბაბაევის გაძარცვის ფაქტი), განაჩენში კი არაფერი თქვა, თუ რატომ არ უდასტურდება მუხაშვილს ძარცვის ეს ორი შემთხვევა, მაშინ, როცა საქმის მასალებით ბრალდების ეს ორი ეპიზოდი უფრო დადასტურებული იყო, ვიდრე სხვა ეპიზოდები, რომლითაც სასამართლომ მუხაშვილი დამნაშავედ სცნო.

მოვიყვანოთ დაუსაბუთებელი და უმოტივო განაჩენის მაგალითი.

საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლომ ხიხინაშვილებს ბრალი დასდო სსკ 165-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში: იმყოფებოდნენ რა ქ. თბილისში, მათ შეიძინეს სხვადასხვა სა-

ხის საოჯახო ნივთები, რაც სასამართლოს აზრით მათ სასპეკულაციოთ უნდოდათ. სასამართლომ თავის განაჩენში ერთი სიტყვაც არა თქვა იმის შესახებ, თუ რა მონაცემებით დასტურდება ის, რომ ხიხინაშვილების მიერ ნაყიდი საოჯახო ნივთები სასპეკულაციოთ იყო განკუთვნილი. ხიხინაშვილებმა განაცხადეს, რომ მათ ოჯახის საჭიროებისათვის იყიდეს მათზე ჩამორთმეული ნივთები. სასამართლომ განაჩენის სამოტივო ნაწილი ამოწურა იმის ჩამოთვლით, თუ რა ნივთები ჩამოართვეს ხიხინაშვილებს. სწორად მოიქცა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ხიხინაშვილების მიმართ გამოტანილი განაჩენი გააუქმა და საქმე წარმოებით მოსპო ბრალდების დაუდასტურებლობის გამო, ვინაიდან ხიხინაშვილებზე ჩამორთმეული საოჯახო ნივთები თავისი რაოდენობით არ აღემატებოდა ხიხინაშვილების ოჯა-

ხის მოთხოვნილებას. თვით ნივთები თავისი სახეობას მიხედვით არ წარმოადგენდნენ ძნელად საშოვარ სასპეკულაციო საგნებს.

ჩვენ დავკმაყოფილებით მოყვანილი მაგალითებით. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს განაჩენის მოტივირების საკითხს, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მართლმსაჯულებისა და კანონიერების განმტკიცებისათვის.

ამ მხრივ დიდი როლი შეუძლია შესრულოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებს, რომლებიც საკასაციო წესით იხილავენ განაჩენებს. მათ თავიანთ დადგენილებებში უნდა გაამახვილონ სახალხო მოსამართლეთა ყურადღება განაჩენის მოტივირებაზე. უმოტივო განაჩენი გაუქმებული უნდა იქნას, როგორც კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოტანილი.

მასშტაბიანი კავშირის განმტკიცების გზით

გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების წინაშე დაისახა ახალი დიდი ამოცანები. „ჩვენი საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე, — აღნიშნა თავის მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXI ყრილობაზე, — კიდევ უფრო იზრდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების როლი, რომლებმაც მთელი თავიანთი მუშაობა უნდა ააგონ მასების აქტივობაზე დაყრდნობით, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოების, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების საფუძველზე“.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის უშუალო განმახორციელებელი არიან. ისინი ყველაზე წარმომადგენლობითი მასობრივი, სახალხო თვითმმართველობის ორგანოებია. უკანასკნელი არჩევნები ცხადყოფენ, რომ ეს ორგანოები ამჟამად კიდევ უფრო მასობრივი გახდნენ. ახალციხის რაიონში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მეექვსე მოწვევის შემადგენლობაში არჩეული იყო 402 დეპუტატი, მეშვიდე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში კი წარმომადგენლობითი ნორმების შეცვლის შედეგად არჩეულია 554 დეპუტატი.

საბჭოების მასობრივი ხასიათი იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ საქმიანობაში, დეპუტატების გარდა, მონაწილეობს მილიონობით აქტივისტი. ახალციხის ადგილობრივი საბჭოების აქტივში 700-ზე მეტი მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტია გაერთიანებული.

საბჭოები თავიანთ მრავალმხრივ კავშირს მასებთან ახორციელებენ ისეთი საშუალებებით, როგორიცაა დეპუტატის ოთახი, სპეციალისტთა თათბირი, აქტივის კრებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ქუჩის და ეზოს კომიტეტები, საცხოვრებელი ფონდის ექსპლოატაციის დამხმარე კომისია, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მშობელთა კომიტეტები და ა. შ. იქ, სადაც საბჭოები მასობრივი მუშაობის ასეთ მდიდარ საშუალებებს იყენებენ, უკეთეს შედეგებსაც აღწევენ.

უკანასკნელ დროს შემოდებულთა და პრაქტიკაში გამართლება ჰპოვა მასებთან ურთიერთობის ისეთმა მნიშვნელოვანმა და ახალმა ფორმამ, როგორიც არის აღმასკომისა და მისი განყოფილებების ცალკე დაწესებულებათა ხელმძღვანელების პერიოდული ანგარიშგება არამარტო ამომრჩევლების წინაშე, არამედ თვით მოსახლეობის საერთო კრებებზე.

მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა მშრომელთა დეპუტატების ახალციხის რაიონის საბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე მ. პ. ბალათურია), საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. წინა პლანზეა წამოყენებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობა, ბრძოლა სოციალისტური საკუთრების შემდგომი განმტკიცებისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ამაღლებისათვის. ამასთან გაუმჯობესდა აქტივთან მუშაობის დონე. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში ფართოდაა ჩაბმული აქტივი და


დეპუტატები. მიმდინარე წელს დეპუტატებისა და აქტივის საშუალებით მოწმებული იქნა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული 23 გადაწყვეტილების შესრულების მსვლელობა, შემოსული განცხადებებისა და საჩივრების შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო 29 დეპუტატმა და აქტივისტმა.

1960 წელს ყველა დეპუტატმა ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს. რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა ამომრჩეველთა წინადადებები და განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებანი მის შესასრულებლად. დეპუტატების ინიციატივით ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის, დაშის და სოფლების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

რაიონული საბჭოს დეპუტატების ა. ბეჭაურის, რ. კარაკოზოვის, ყ. ბერიძის და სხვათა თაოსნობით რადიოფიცირებულ იქნა სოფლები ტყემლანა, მუგარეთი და ანდრია წმინდა. დეპუტატ გ. კაპანაძის ინიციატივით და მოსახლეობის მონაწილეობით კეთილმოეწყო და მოასფალტდა ჯავახიშვილის ქუჩა ქ. ახალციხეში. დეპუტატების თაოსნობის შედეგად საყურეთში აიგო სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის შენობა, ზიკილიაში აშენდა მაღაზია, ელიაწმინდაში საფერწლო პუნქტის შენობა. ელექტროფიცირებულ იქნა სოფლები საძელი, ხაკი და აბი. ბევრგან გაკეთდა წყალსადენები, კეთილმოეწყო სასოფლო გზები და მოხდა მისი ნაპირების გამწვანება; წარმატებით სრულდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შეიდასზე მეტმა კოლმეურნემ აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი და დატოვა ბნელი მიწური — გომურები, აშენდა კულტურის ორი სახლი, 18 კლუბი და კოლმეურნეობის კანტორა.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა უკანასკნელ წლებში აგარაში, ურაველში, მუსხში, აწყურში, ელიაწმინდაში და სხვაგან ჩაატარა მოსახლეობის საერთო კრებები, სადაც ანგარიშით გამოვიდნენ რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგეები, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები ჩატარდა ადგილობრივი მეურნეობის კომბინატში, წნისის ხეხილ-სანერგის საბჭოთა მეურნეობაში და სხვაგან; საერთო კრებებს დაეწრო 1.800-ზე მეტი კაცი, ხოლო სიტყვაში გამოვიდა 80-ზე მეტი კაცი. კრებებზე მოსმენილ იქნა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, სოცუზრუნველყოფის, საფინანსო, საგეგმო, სოფლის მეურნეობის ინსპექციისა და სხვა განყოფილებათა და წარმოება-დაწესებულებათა ანგარიშები. განყოფილებათა გამგებმა ადგილებზე თან წაიღეს აღმასკომში შემოსული განცხადებები და საჩივრები, რომლებიც შეამოწმეს და განიხილეს საერთო კრებებზე, ამ კარგი ღონისძიების შედეგად მოსახლეობის ფართო მასები შეეყვანილ იქნენ საქმის კურსში, გაერკვნენ კანონებსა და წესებში და აღმოიფხვრა გაუგებრობანი. ამან კი თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირა ზემდგომ ინსტანციებში უსაფუძვლო საჩივრებისა და განცხადებების გაგზავნის შემთხვევები.

ყველგან, სადაც კი ჩატარდა ასეთი კრებები, მოსახლეობა მას დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით შეხვდა. მშრომელების საერთო აზრი კარგად გამოხატა სოფელ კლდეში მცხოვრებმა იოსებ კურტანიძემ, როცა საერთო კრებაზე თავის სიტყვაში განაცხადა: „რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის ასეთი პრაქტიკა მოსაწონია. ეს მეთოდი ჩვენ საშუალებას გვაძლევს საქმის



კურსში ვიყოთ თუ რა ღონისძიებები ჩატარდება რაიონში და ამავე დროს მოვაყენოთ ჩვენი მოთხოვნები; აღარ დაგვჭირდება სიარული და დროს დაკარგვა ცალკეული საკითხების მოსაგვარებლად ზემდგომ ორგანოებში..“.

ეს ახალი ფორმა რომ სასარგებლოა, ამას ადასტურებს მასების ფართო მხარდაჭერა. საერთო კრებები ისე საინტერესო და საქმიანად წარიმართა, რომ მოსახლეობამ არა მარტო მოისმინა ანგარიში და თავიანთი წინადადებები წამოაყენა ამა თუ იმ საკითხის გადასაჭრელად, არამედ კონკრეტული ვალდებულებებიც აიღეს მათ წინაშე მდგომი ამოცანების დროულად და მაღალხარისხვნად შესრულებისათვის.

სოფელ მუსხის მოსახლეობამ ვალდებულება აიღო და დაიწყო კიდევ საკუთარი სახსრებით საშუალო სკოლის მშენებლობა. სოფელ წყორძაში კი ააგეს კლუბის შენობა და გაიყვანეს სასამელი წყალი. სოფელ სხვილისა და წნისში დაიწყო აბანოების მშენებლობა. დიდი მუშაობა იქნა გაწეული გზების, საერთო სარგებლობის ტერიტორიების გამწვანებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების საქმეში მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად.

საერთო კრებებზე წამოყენებული წინადადებები და შენიშვნები შესწავლის შემდეგ 1960 წლის იანვარში განხილულ იქნა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე და დაისახა საქმიანი ღონისძიებები. ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი მტკიცე კონტროლის დაწესების შედეგად წამოყენებულ წინადადებათა უმრავლესობა განხორციელებულ იქნა.

მოსახლეობის საერთო კრებების ჩატარების დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობს მთელი მოსახლეობა, კოლმეურნეობის, წარმოება-დაწესებულების საქმიანობა ხდება თვითეული ადამიანის მსჯელობის საგნად და ექცევა მისი კონტროლის ქვეშ. კრებებზე მშრომელთა აქტივობა, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, დამებებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორება და საქმიანი წინადადებები ხელს უწყობს მუშაობის გაუმჯობესებას; იგი ხელს უწყობს კადრების აღზრდას მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთებით, ამაღლებს პასუხისმგებლობას მოსახლეობის წინაშე.

1960 წლის ოქტომბრის დასაწყისში რაისაბჭოს აღმასკომის მიერ შედგენილ იქნა საერთო კრებების ჩატარების გრაფიკი, ჩატარდა საინსტრუქტაჟო თათბირი იმ ამხანაგებისა, რომლებსაც ანგარიში უნდა ჩაებარებინათ მოსახლეობისათვის; ამ თათბირზე მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა კრების ჩატარების ორგანიზაციის საკითხზე. ამ მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ კრებები ჩატარდა 26 სოფელში, აგრეთვე ქალაქში და წარმოება-დაწესებულებებში. საერთო კრებებს დაესწრო 2.890 კაცი, ხოლო მოკამათეთა რიცხვი 140-მდე გაიზარდა.

მოსახლეობის საერთო კრებაზე წამოყენებულ წინადადებათა შესწავლისა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა შესამუშავებლად რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს.

მოსახლეობის საერთო კრებაზე ითქვა, რომ მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ რაიონში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმე თავმინებებულა, სოფლის მეურნეობის ინსპექცია კი ამაზე არ ზრუნავს. რაისაბჭოს აღმასკომთან შექმნილი საწარმოო ტექნიკური საბჭო, უნდა იხილავდეს სოფ-

ლის მეურნეობის მოწინავე მეთოდების დანერგვის, ტექნიკური პროგრესის, მოსავლიანობის გადიდების, პროდუქტების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს და სხვა, მაგრამ იგი ამას არ აკეთებს. მოსახლეობამ გადაჭრით მოითხოვა მისი საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესება.


ფერისის, ჭაჭარაქის და სხვა სოფლის მოსახლეობის კრებებზე მიღებული იქნა დადგენილება ჩატარდეს სამდღიანი სემინარი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სპეციალისტებისათვის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესის და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხებზე.

თითქმის ყველა სოფლის საერთო კრებაზე იქნა დაყენებული საკითხი საკოლმეურნეობათა შორის მელიორაციის ფერმის შექმნის შესახებ. აგარის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ გ. ქიმერიძემ გააკრიტიკა სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — სოფლის მეურნეობის მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვის საქმეში სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

სხვილისის, ჭაჭარაქის, ვალის და სხვა სოფლების კრებებზე აღინიშნა, რომ ახალციხის რაიონი ცნობილი იყო საუკეთესო ადგილობრივი ჯიშების ვაშლით, მაგრამ ამ ბოლო დროს რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა მის გაშენებას. მოსახლეობამ მოითხოვა ხეხილის სანერგეებში მასობრივად მოხდეს ვაშლის ადგილობრივი ჯიშების დამყნობა-გამრავლება, რადგან ის მეტად რენტაბელურია.

რაიონის ცენტრის მოსახლეობის კრებებზე გაკრიტიკებულ იქნა ქალაქის საბჭო, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავს ქუჩებისა და დაუსახლებელი ადგილების გამწვანებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. წამოყენებულია მრავალი საგულისხმო წინადადება — ქალაქში ხმოვანი სიგნალების მიცემის აკრძალვის, ავტო-მანქანების მოძრაობის ნიშნების გამოყენების, დამკრძალავი ბიუროს შექმნის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის საშენი მასალების მაღაზიის გახსნის და სხვა საჭიროებო საკითხების მოგვარების შესახებ. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ საერთო კრებებზე მიღებული იქნა დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებში, თვეში ერთხელ შაბათობის მოწყობასა და უსაქმოთა, მუქთახორათა მიმართ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გათვალისწინებული ზომების გატარებას — საცხოვრებელი ადგილიდან ზარმაცების, პარაზიტული ელემენტების გასახლების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გარდა ბევრი სხვა მნიშვნელოვანი წინადადება იქნა წამოყენებული. მაგალითად: საერთო კრებებმა მოითხოვეს, რომ სასოფლო საბჭოების სესიები ჩატარდეს იმ კოლმეურნეობებში, რომლის მუშაობის საკითხს იხილავს სესია, რათა სესიაზე დასწრების საშუალება, დებუტატებთან ერთად, მიეცეს კოლმეურნეთა ფართო მასებსაც, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ასეთი მეთოდი შემოიღოს რაიონულმა საბჭომაც, რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაებმა, მათ შორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეც თვეში 2-3-ჯერ ადგილებზე მოაწყონ მთხოვნელთა მიღება მათთვის საჭირო საკითხებზე.



1960 წლის 28 სექტემბერს რაიონული საბჭოს სესიამ იმსჯელა 1959 და 1960 წელს მოსახლეობის საერთო კრებებზე რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეების და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების დროს წამოყენებული წინადადებების შესრულების მიმდინარეობაზე. სესიამ შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დასახა ახალი ღონისძიებები.

ღონისძიება, რომელიც ახალციხის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გაატარა აქტივთან ერთად, ახალია. ამიტომ ადგილებზე კრებების ჩატარების ორგანიზაციაში ან შემოსულ წინადადებათა შესწავლა-განხორციელებაში შესაძლებელია იყოს ნაკლოვანებები, მაგრამ მომავალი მუშაობა, ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესება, მათი როლის ამაღლება და მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცება, მთლიანად უზრუნველყოფს ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას.

ლ. ჯღარპაშა,

რაიონული საბჭოს დეპუტატი.

საპროკურორო ზედამხედველობის პრო-გრამი ღარი

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, ასორციელებენ რა სკკპ XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მიუთითებენ, რომ აუცილებელია სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლება-ინტერესების უსასტიკესი დაცვა.

ამ მიუთითებთა მიხედვით კიდევ უფრო იზრდება პროკურატურის ორგანოთა როლი და პასუხისმგებლობა საბჭოთა კანონების დარღვევასთან ბრძოლის საქმეში. მეტად მნიშვნელოვანია პროკურატურის საერთო ზედამხედველობა, ვინაიდან პროკურატურა საერთო ზედამხედველობის მეშვეობით არსებით დახმარებას უწყებს ჩვენს პარტიას და საბჭოთა მთავრობას სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

საერთო საზედამხედველო მუშაობის მნიშვნელობა განისაზღვრება აგრეთვე იმითაც, რომ მას ცოტათ თუ ბევრად გამაფრთხილებელი ხასიათი აქვს, წინასწარ სპობს დანაშაულის ჩადენისა და კანონის დარღვევის შესაძლებლობას, აქტიურად ხელს უწყობს მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონისადმი პატივისცემის, შრომისადმი, სახელმწიფო და საზოგადო საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების სულიკვეთებით. კანონების დარღვევის გამოვლინებასთან ერთად პროკურატურა ადგენს ამ დარღვევის ხელის შეწყობ პირობებსა და მიზეზებს და შეაქვს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში სათანადო წარდგინება ისეთ ღონისძიებათა გატარებისათვის, რომლებიც საჭიროა როგორც კანონიერების დარღვევის აღსაკვეთად, ისე ამ დარღვევის წარმომშობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად.

საერთო საზედამხედველო მუშაობას საბჭოთა პროკურატურის საქმიანობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს. ეს მუშაობა, გულისხმობს კანონების, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესტად შესრულებისადმი ზედამხედველობას, იგი საკმაოდ მრავალფეროვანია და რთული მისი განხორციელების მეთოდებით.

მმართველობის და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა მიერ გამოცემული აქტების კანონიერებისადმი ზედამხედველობის მნიშვნელობა განისაზღვრება იმითაც, რომ პროკურატურის ეს მუშაობა განუყოფელად დაკავშირებულია საბჭოთა მოქალაქეების უფლება-ინტერესების დაცვასთან, ვინაიდან კანონის შეუსაბამო აქტების (ხელისუფლების ადგილობრივ ორ-

განოთა გადაწყვეტილებების, მმართველობის ორგანოთა ბრძანებების და ა. შ.) გამოცემა ბალავს მოქალაქეთა უფლებებს.

პროკურორი ვალდებულია მკვეთრად, გადაჭრით ებრძოდოს სხვადასხვა ორგანოთა დადგენილებებში, გადაწყვეტილებებში, განკარგულებებსა და ბრძანებებში დაშვებულ კანონიერების დარღვევას. იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გააპროტესტოს ისეთი აქტები, რომლებითაც კანონის დარღვეული მიუხედავად იმისა, თუ რა მოტივებით არის დაშვებული კანონის დარღვევა. მტიცივედ უნდა გვახსოვდეს, რომ კანონიერების დარღვევისათვის არავითარი საბაზი, არავითარი გამართლება არ არსებობს.

საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკების მიერ საერთო ზედამხედველობის საზით ჩატარებული შემოწმებებით 1960 წელს გამოვლინებულ კანონის დარღვევათა აღსაკვეთად და ამ დარღვევის წარმომშობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად სათანადო ორგანოებში შეტანილია 437 პროტესტი და 854 წარდგინება.

რაიონის პროკურორების მიერ გამოვლინებულ და გაპროტესტებულ აქტებიდან დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს:

მეტეის რაიონის სოფელ ფარის მცხოვრებთა საერთო კრებამ განიხილა საკითხი — მიცვალებულის ტირილის დადგენის შესახებ და მიიღო შემდეგი შინაარსის დადგენილება:

„1. დადგინდეს ძველებური დიდი ზომის პურის ე. წ. „ქაბაზის“ ნაცვლად პატარა ზომის პურის გამოცხობა ტირილისათვის.

2. სასტიკად აიკრძალოს ტირილის ღამეს ხალხის დარჩენა და ხელმწიფედ იმ ოჯახის გადახარჯვანიაება.

3. აიკრძალოს წვერის გამოშვება და „კონჩხანის“ გადახდა“.

4. გატარდეს დასახელებულ პუნქტებში მიხედვით დახმარება სულ მცირე 20-დან 25 პატარა ზომის პურის მიტანა და 3 ლიტრა საპმკლეს „არყის“ და მისაჭამად ლობით (რომელსაც ოჯახი მოისურვებს).

5. დამტიციდეს, რომ თუ კი ზემოთ ჩამოთვლილ დადგენილებას რომელიმე ოჯახი დაარღვევს, ის დაჯარიმებული იქნება 3000 (სამი ათასი) მანეთით.“ (ტექსტის სიზუსტე და სტილი დატულია).

გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რიასაბჭოს აღმასკომთან არსებულ ადმინისტრაციულ გადასახდელთა დამდგმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად ბ. კ. ბერიასვილი დაჯარიმე-

ბულ იქნა სამასი მანეთით და ჩამოერთვა ველისცი-
ჩის საკოლმეურნეო ბაზარში გასაყიდად გამოტანი-
ლი ათი ცალი სკამი.

აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაისაბჭოს აღმასკომ-
მა მიიღო სავალდებულო გადაწყვეტილება, რომლი-
თაც აიკრძალა სოფელ ახალი აფონის მთელ ტერიტო-
რიაზე ფრინველისა და საქონლის შენახვა. ამის გამო
წინადადება მიეცა იმ მოქალაქეებს, რომელთაც პირად
საკუთრებაში ყავდათ პირუტყვი, ერთი თვის ვადაში
ვაეფიდათ ყველა პირუტყვი.

კანონის დარღვევები ზოგიერთ შემთხვევაში გამოწ-
ვეულია კანონის უცოდინარობითა და გაურკვევლო-
ბით. ამდენად, აუცილებელია გაძლიერდეს საბჭოთა
კანონების პროპაგანდა. მასში აქტიურად უნდა ჩაე-
ბან სასამართლოს, პროკურატურის, მილიციისა და
იურიდიული კონსულტაციის მუშაკები.

ამ მხრივ დადებით მუშაობას ეწევიან პროკურორე-
ბი: ქ. რუსთავის — მ. გიორგობიანი, გურჯაანის —
ი. ბურდულაძე, თელავის — ა. გეგია, სიღნაღის —
გ. მდიენიშვილი, წყალტუბოს — ნ. ინოზემცევი, ჭი-
ათურის — შ. მირთაძე, ლანჩხუთის — მ. კეკელია
და სხვები.

კარგ შედეგებს იძლევა პროკურორების მიერ

მსხვილ წარმოებებში კანონების დაცვის მდგომარეო-
ბის კომპლექსური შემოწმების ჩატარება და შე-
დეგების იმავე წარმოების მომუშავეთა საერთო კრე-
ბაზე განხილვა, სადაც მოხსენებებით გამოდიან პრო-
კურორები.

ასეთი ღონისძიებები ჩატარეს ქ. თბილისის ლე-
ნინის და ოქტომბრის რაიონისა და ქ. ქუთაისის
პროკურატურებში.

ასეთი შემოწმებების ჩატარება საჭიროა არა მარტო
წარმოებებში, არამედ საბჭოთა მეურნეობებშიაც.

ამასთანავე, აუცილებელია პროკურორებმა განსა-
კუთრებული ყურადღება მიაქციონ უშუალოდ წარმო-
ება-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში და
კოლმეურნეობებში მოქალაქეთა მიღებას, იურიდიულ
საკითხებზე კითხვა-პასუხის საღამოების მომზადება-
ჩატარებას, ამხანაგური სასამართლოებისა და საზოგა-
დოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალ-
ხო რაზმეულებისათვის დახმარების გაძლიერებას და
ადგილობრივ პრესაში აქტიურად მონაწილეობას.

შ. ჰანტურია.

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო
ზედამხედველობის განყოფილების პროკუ-
რორი.

ამხანაგური სასამართლოები დიდი ძალაა



დღეს, როცა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის შთაბეჭდილებით ცხოვრობს და შრომობს, როდესაც ჩვენი სამშობლო შევიდა განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში—კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში და საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ინიციატივის, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის მეხებით წარმატებით ხორციელდება შეიქმნილი გეგმის — კომუნისტური საზოგადოების საფუძვლის ჩაყრის გეგმის დავალებანი. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, ახლის შეგნებას, რომელიც მომზადებული იქნება კომუნისტური საზოგადოებისათვის.

კომუნისმის მშენებელი ადამიანისაგან პარტია დღეს მოითხოვს სოციალისტურ სამშობლოსადმი სიყვარულს, კეთილხედობას შრომის საზოგადოების საქეთილდღეოდ. თვითულის ზრუნვას საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის, კომუნისმის საქმის ერთგულებას.

სკკ პროგრამის თვითულის სტრუქტურა გამსკვალულია ხალხის კეთილდღეობისათვის და უცნობილი ზრუნვით. პროგრამით დასახულია ამოცანა საზოგადოების როლის კიდევ უფრო ამაღლებაზე მართლმსაჯულებაში. საზოგადოება თანდათანობით თვითონ ხდება თავის ავკარგის მსჯავრმდებელი.

ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანებისათვის წესად და შინაგან მოთხოვნად იქცა საბჭოთა წესრიგის ყოველდღიურად დაცვა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისადმი პატივისცემა. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ ჭერ კიდევ მოიპოვებთან ადამიანები, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ ყოფაცხოვრების ნორმებს, შრომის დისციპლინას საწარმოებში.

შრომის დისციპლინის დამრღვევთა და მცირე სახის დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ამხანაგურ სასამართლოებს, რომლებიც საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სარგებლობენ კოლექტივის ნდობით და მის ნება-სურვილს გამოხატავენ.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამხანაგური სასამართლოების მუშაობის პრაქტიკიდან, რომელთა მუშაობა დადებით გავლენას ახდენს ახალი ადამიანის აღზრდას, საზოგადოებრივ წესრიგის დაცვაზე. ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევა თბილისის „ტაქსიმოტორის კანტორის“ ამხანაგური სასამართლოს მუშაობა.

ამხანაგურ სასამართლოს შემადგენლობაში არჩეული არიან მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც შრომით საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეა მოწინავე მუშაკი ა. ჯაფარიძე, რომელიც პირადი მაგალითის მიმცემაა ამხანაგებისათვის. მან ავტომანქანა „პობედაზე“ უავარიოდ. 400.000 კილომეტრი გაიარა, რისთვისაც მძღოლიდან გადაყვანილი იქნა მექანიკოსის თანამდებობაზე. ასევე, დისციპლინირებული მძღოლებია ბ. რუხაძე, ი. ტომილიანი, ნ. ტერტეროვი და სხვები.

აი ეს ადამიანები განიხილავენ საქმეებს. დიდა მათი მსჯავრის შემოქმედების ძალა.

კანტორის კლუბის შენობა, სადაც თავის სხდომას ატარებს ამხანაგური სასამართლო, ხალხითაა სავსე. სამსჯავრო სკამზე ზის რემონტის მუშა ი. დვორცოვი. და ისინიც ამხანაგები არიან: რემონტის მუშები, მძღოლები, კანტორის სამმართველოს მუშაკები. მას თავი დაუხრია, რცხვენია, მან იცის, რომ დარბაზში მსხდომთ უყვართ კოლექტივი, უყვართ მუშაობა, შრომობენ პატიოსნად. ეს კი... რა ჩაიღინა მან. დალია ისე, რომ ფეხები აღარ ემორჩილებოდა, შემდეგ... სამუშაო გაცდინა. აი საქმის მთელი ვითარება. ეხლა კი მას ამხანაგები საყვედურის თვლით შესცქერავენ. ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე ა. ჯაფარიძე ეკითხება:—დვორცოვ აბა რას იტყვით თავის გასამართლებლად? დვორცოვი მძიმედ წამოგდა და თავულებლად უპასუხა, — დამნაშავე ვარ. სიტყვას გაძლევთ, შემდგომში აღარ ჩავიდენ ასეთ დანაშაულს.

ამხანაგურმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო დვორცოვის გულწრფელი სიტყვა და დირექციასთან შეთანხმებით იგი დამხმარე მუშად იქნა ჩამოქვეითებული სამი თვის გამოხადელო ვადით.

ი. დვორცოვმა ამხანაგებისადმი მიცემული სიტყვა გაამართლა. ახლა იგი თავის ადრინდელ მოვალეობას წარმატებით ასრულებს.

ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილებით საყვედური მიიღო წესრიგის მეორე დამრღვევმა მ. ფაციაშვილმა, რომელმაც ჩაშალა მეორე სენის მუშაობა, მ. ფაციაშვილს თვითნებურად მოხსნა მანქანას ორი საბურავი და თანაც იგინებოდა უწამაწური სიტყვებით.

დურგალი ბ. ავაჯანოვი სისტემატურად ეტანებოდა სპირტიან სასმელებს, აწყობდა დებოშს, ოჯახის წევრებს მუშტკარივით დაერევოდა. ამხანაგურმა სასამართლომ მას საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოუცხადა.

ამხანაგური სასამართლოს თხოვნით, პროფ-

კავშირის ადგილკომმა მის ოჯახს მიამაგრა წარმოების მუშაკი ნ. ბესელიძე, რომელმაც მჭიდრო კავშირი დაამყარა ბ. ავაჯანოვის ოჯახთან. ნ. ბესელიძე დაეხმარა ბ. ავაჯანოვს გამოსწორებაში. იგი სისტემატურად აწვდიდა ცნობებს ადგილკომს და კანტორის კოლექტივს ბ. ავაჯანოვის მოქმედებაზე ოჯახში და წარმოებაში, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

ბ. ავაჯანოვი ამჟამად კარგ მუშად, კარგ მე-ულღეედ და მამად ითვლება.

მარტო ამხანაგურმა სასამართლომ 1960 წელს აქ 55 საქმე განიხილა. ის მუშაკები, რომელთა საქმეები განხილულ იქნა ამხანაგურ სასამართლოს მიერ, გამოსწორდნენ, გახდნენ დისციპლინირებულნი და პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას წარმოებასა და ოჯახის წინაშე.

მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და სხვათა ამხანაგურ სასამართლოებს.

მაგრამ ჭერ კიდევ არის ისეთი ორგანიზაციები, სადაც ჭეროვნად არ აფასებენ ამხანაგური სასამართლოების ქმედით, აღმზრდელით როლს.

ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში შრომის დისციპლინის დარღვევის 53 შემთხვევიდან 1960 წ. ამხანაგურ სასამართლოზე განსახილველად გადაეცა 17 საქმე, რომელთაგან 6 საქმე სრულიად არ განხილულა.

შრომის დისციპლინის დარღვევისა და სხვა ამორალურ მოქმედებათა ბევრი შემთხვევები იყო ქუთაისის სამგზავრო ავტოტრანსპორტის კანტორაში, სადაც ამხანაგურმა სასამართლომ მხოლოდ რამდენიმე საქმე განიხილა. აჭარის კავშირგაბმულობის კანტორაში კი არცერთი ანალოგიური საქმე არ გადაუტანიათ ამხანაგურ სასამართლოზე განსახილველად.

„საქმადროენერგომშენის“ ტრესტის „სამოქა-

ლაქო მშენებლობის“ სამმართველო ამხანაგურმა სასამართლომ პ. კარსიევის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე სამუშაოთმწარმოებელ მ. ჭეჭელავას ამორალური საქციელის შესახებ. არაფხიველ მდგომარეობაში პირველ მაისის დღესასწაულის დღეს მ. ჭეჭელავა უგრძობლად გამოთვრა და ილანდებოდა უწმარური სიტყვებით. ჭეჭელავას საქმე გადაეცა ქ. თბილისის ორგანიზაციის რაიონის პროკურატურას, მაგრამ სამოქალაქო საბინაო მშენებლობის სამმართველოს მუშებისა და მოსამსახურეების შუამდგომლობით საქმე განსახილველად გადმოცეს ამხანაგურ სასამართლოს. თუმცა საქმის განხილვისას ყურადღება არ მიაქციეს საბუთების გაფორმებას, ამხანაგური სასამართლოს სხდომის ოქმი ცუდათაა შედგენილი, არ არის ჩაწერილი თუ რა შემოქმედებითი ზომები იქნა გამოყენებული ჭეჭელავას მიმართ.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ამხანაგური სასამართლოები აჭიანურებენ საქმეების დროულად განხილვას. მაგალითად „საქმადროენერგომ“ ტრესტის თბილისის დამმარე საწარმოო კომბინატის ამხანაგურმა სასამართლომ, რომლის თავმჯდომარეა ელექტროშემდუღებელი სამქროს ბრიგადირი ს. ჩარმაღოვი 1960 წ. შემოსული 11 საქმიდან დროულად მხოლოდ 8 საქმე განიხილა.

ცხოვრების სინამდვილე გვიჩვენებს, რომ იმ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც ამხანაგური სასამართლოები კარგად მუშაობენ, სულ უფრო და უფრო მცირდება შრომის დისციპლინის დარღვევის, ამორალური და ანტისაზოგადოებრივი მოქმედებათა შემთხვევები.

შრომის დისციპლინის განმტკიცება, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვა, ბრძოლა მის დამრღვევთა წინააღმდეგ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

ს. რასტი,

საქართველოს პროფსაბჭოს სთორგანიზაციო მასობრივი განყოფილების ინსტრუქტორი.

სრულად გამოვიყენო ქართული ლექსიკონი ულები სანჯა

დოც. ს. ჯორბენაძე

ქართულმა ენამ აზრის გამჭირვალედ გამოხატვის უნარით, მოქნილი ქართული ზმნის, — მეტყველების ამ დედა ძარღვის, — სიუხვით საშუალება მისცა სმეციალისტებს ზუსტად გამოეხატათ ურთულესი ცნებები მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დარგებიდან, რომლებიც უახლოეს საუკუნეებში განხდნენ. ამ გზით ქართული ენის ლექსიკური ფონდი ბუნებრივ-ისტორიულად გამდიდრდა ქიმიისა თუ ფიზიკის, მექანიკისა თუ მათემატიკის სრულიად ახალი ცნებების მარაგით.

სულ სხვა მდგომარეობაა იურიდიული ტერმინოლოგიის დარგში. აქ ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნოყიერ ნიადაგს ჰქმნის იურიდიული ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის. ამ საქმეში ტრადიციის მნიშვნელობას ისიც ურდის, რომ სასამართლო ენა ჩვენში მეტად ახლო იდგა ხალხურ ენასთან. ახასიათებს რა ერთ-ერთი სასამართლო განჩინების ენას, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა წერს: „ამ განჩინების ენა ხალხურზე ხალხურია, სანიშნუა თავისი სისადავით — არა მხოლოდ სასამართლოს კანცელარიისათვის, — მასთან სავსებით გამართული წიგნის ენა: არც ერთი მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა (ახალი ქართულის ნორმათა თვალსაზრისით!). ეკუთვნის ეს განჩინება 1801 წელს, როცა ანტონის სკოლა მძვინვარებდა“¹.

ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ ბევრი იურიდიული ტერმინის უმზარებლობის გამო დიდად შეაფერხა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის განვითარების პროცესი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცარიშმა მხოლოდ დასაწყისს ეტაპზე დაუშვა

ქართული კანონმდებლობის გამოყენების შესაძლებლობა. ტერმინოლოგიის განვითარების თვალსაზრისით დადებითი მნიშვნელობის იყო „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნის“ ქართულად შემუშავება (მას პირველად 1937 წელს პროფ. პ. გუგუშვილმა მიაკვლია)².

იურიდიული ტერმინოლოგიის ქართულად ხმარებას ვახტანგ VI სამართლის წიგნის სამოქალაქო ნორმების სახით 1859 წლამდე ვხვდებით. ამის შემდგომ ქართულ ენაზე აღარ ქვეყნდება კანონები და ნორმატიული აქტები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემთხვევიდან — შემთხვევამდე ბერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ აქტებს). ამ ბერიოდში ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის წინსვლისათვის აღარ არის, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, სავარჯიშო მოედანი.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საერთოდ მთელი საუკუნის მანძილზე იურიდიული ტერმინოლოგიის განვითარებისათვის არაფერი გაკეთებულა. თვით ილიას მოღვაწეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ დაუღალავად ზრუნავდა ქართული საზოგადოებრივი აზრი იურიდიული ტერმინოლოგიის დანერგვისათვის. ცარიშების კანონმდებლობის კრიტიკისა და მიმოხილვის პროცესში ილია დიდ ტერმინოლოგიურ სამუშაოებს ატარებს. ეხებოდა რა საკუთრების ურთიერთობის გამოშახტველ კანონმდებლობის სისტემას, ილია წერდა: „იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამჟამად ლაპარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჭერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული“³. ილია ჭავჭავაძემ უდიდესი მუშაობა ჩაატარა მრავალი იური-

¹ არნოლდ ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, 1938 წ. გვ. 5.

² „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. 1938. ნაკ. III, გვ. 67—90. ამ ძეგლის იურიდიული დხასიათებისათვის იხილეთ პროფ. ი. დოლიძე, „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ 1960 წ.

³ მითითებები იმ-იშვით შემთხვევებზე, როცა საიმპერიო კანონი ქართულად ითარგმნებოდა, იხ. ც. კალანდაძე, ო. სოსელია, საქართველოს ისტორიის ლიტერატურული წყაროები, 1955 წ. გვ. გვ. 34 60. 227.

⁴ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, 1956 წ., გვ. 140—141.

დიული ტერმინის გაშინაურებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ილია სრულიადაც არ კმაყოფილდებოდა იმის შემოქმედებითად გადამუშავებით, რასაც ისტორიული ტრადიცია იძლეოდა. ილია ფართოდ მიმართავდა ახალი სიტყვების შემუშავებას შეცვლილი საჭიროებიდან გამომდინარე, და დაუნდობლად აკრიტიკებდა ყველა იმათ, ვინც ახალი სიტყვების საერთოდ და მათ შორის ახალი იურიდიული ტერმინების შემოღების წინააღმდეგი იყო. „ვინც იძახის, ნუ იხმართ ახალ სიტყვებსაო, — წერდა ილია ჯერ კიდევ 1862 წელს, — იმან არ იცის, რას ამბობს. ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გვმატებთო, გონებას მხედველობას ნუ უფრცველებთო, წინ ფებს ნუ გვადგმევინებთო“¹.

ილია ჭავჭავაძის მდიდარი მემკვიდრეობა იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეში სრულად უნდა იქნას გამოყენებული. რა თქმა უნდა, ახალი სიტყვები და ტერმინები, რომლებიც ახალ მოვლენებს გამოხატავენ, ზნობრივ თვით ილიას მიერ ჩატარებულ ტერმინოლოგიურ² სამუშაოებისადმი თხოვლობენ შემოქმედებით მიდგომას, მაგრამ ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ისტორიული განვითარების შესწავლისათვის მათ ყოველთვის აქვთ შემეცნებითი მნიშვნელობა².

XIX საუკუნეში ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დანერგვა-გამოყენებაში თავიანთი ნაშრომებით დიდი წვლილი შეიტანეს დიმიტრი ყიფიანმა, გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ნ. ურბნელმა და სხვებმა. ქართულმა ბუბლიცისტებმა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის მიჯნაზე მრავალი უცხოური იურიდიული ტერმინის აკლიმატიზაცია მოახდინა ეროვნულ ნიადაგზე.

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი კულტურის უბრალო მკვლევარს ივანე ჭავჭავაძის. საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი მნიშვნელობა, რასაც ჩვენი ერის უკვდავი მოამაგე ტერმინოლოგიის დაწესებებს აკუთვნებდა მეცნიერულ კვლევაში. მხედველობაში გვაქვს არა მარტო ის კოლოსალური სამუშაოები, რაც აკადემიკოსმა ივანე ჭავჭავაძის ვილმა ჩატარა წყაროების განხილვისა და ტერმინოლოგიის დაწესებების საქმეში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, არამედ ის ფართო ტერმინოლოგიური მუშაობა, რომელიც რევოლუციის გამარჯვებამდე საქ-

მაო ხნით ადრე იქნა ავტორის მიერ შესრულებული, როცა 1909 წელს „ჩვენს ურსა“ და „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა ქართული სამართლის ისტორიის ის ნაწილი, რომელიც ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისა და სამართლის წყაროების ისტორიულ მიმოხილვასა და კრიტიკულ გარჩევას შეიცავდა³.

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა 1920 წლის „რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი“, რომლის შედგენაში დიდი შრომა გასწიეს აკად. ივანე ჭავჭავაძისა და პროფ. ი. ყიფიძემ.

ძნელია დავეთანხმოთ განსახილველი რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონის ავტორთა მტკიცებას, რომ 1920 წლის ლექსიკონს „დღეს არც პრაქტიკული და არც მეცნიერული ღირებულება აღარ გააჩნია“ ამ შენიშვნის უსაფუძვლობა იქიდანაც ხიანს, რომ განსახილველად გამოქვეყნებული მასალებიც 1920 წლის რუსულ-ქართული ლექსიკონის ფართოდ გამოყენებას ემყარება. მაშასადამე, ამ პირველ რუსულ-ქართულ იურიდიულ ლექსიკონს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება.

უადრესად ხელსაყრელი პირობები შეექმნა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის განვითარებასა და სრულყოფას საბჭოთა ხელისუფლების დროს.

უმდიდრეს საკანონმდებლო მოღვაწეობას ქართულ ენაზე, საერთო-საკავშირო კანონების მოკავშირე რესპუბლიკების ენაზე გამოცემის შესანიშნავ პრაქტიკას, იურიდიული ლიტერატურის თარგმანებს და ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას, მართლმსაჯულების ქართულ ენაზე განხორციელებას არ შეეძლო კეთილმყოფელად არ ემოქმედა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დახვეწა-დაწესებულებაზე.

ყოველმხრივ მისახლმებელია რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალების გამოქვეყნება „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამჯერად აღარაფერი შეუშლის ხელს ლექსიკონის დაბეჭდვას, აღარ განმეორდება ის სამწუხარო ფაქტი, რაც 1928 წელს მოხდა, როცა პეტრე ჭავჭავაძის დაუდალავი შრომით შეგროვილი რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლო-

¹ ილია ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 472.

² მეტად საინტერესოა ამ მხრივ პოეტ-აკადემიკოსის იოსებ გრიშაშვილის სტატია „ილია და „მებრვე“ (ენობრივი შენიშვნა) „ლიტერატურული წერილები“, 1957 წ., გვ. 479.

³ „საბჭოთა სამართალი“, 1959, № 5, გვ. 48.

გის მასალები მხოლოდ „საბჭოთა სამართლის“ გვერდებზე გამოქვეყნდა და საქმე ლექსიკონის გამოცემამდე ვერ იქნა მიყვანილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებას მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაუტარებია იურიდიულ ტერმინოლოგიის დაგროვილი მიღწევების შემდგომი წინაწივისათვის. სწორად კარგად არის მიგნებული იურიდიული ტერმინის ქართული შესატყვისი. ბევრი მათგანი უქველად დაინერგება სმარებაში და ადეკვატურად გამოხატავს შესაბამისი რუსული ტერმინის შინაარსს. მაგრამ, რამდენადაც აშუამად ჩვენი ყურადღება ლექსიკონის სრულყოფის მიზნისკენა გამახვილებული, ჩვენ სწორედ ლექსიკონის გამოქვეყნებული მასალის ნაკლოვანებებზე შევჩერდებით.

იურისპრუდენციას საზოგადოებრივი ცხოვრების მტკად მრავალ მხარესთან აქვს უმჭიდროესი კავშირი. ამიტომაც ყოველთვის ადვილი არ არის განსაზღვრო ამა თუ იმ ტერმინის სამართლებრივი თუ არასამართლებრივი ხასიათი. ამ ვითარებაში ჩვენ, ისე, როგორც ლექსიკონის ავტორებს, მიგვანჩნა, რომ საქმეს არ ავნებს იმ ტერმინების შეტანა იურიდიულ ლექსიკონში, რომლებსაც თუმცა არა აქვთ „წმინდა“ იურიდიული ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ რომლებიც არც თუ იშვიათად გამოიყენება კანონმდებლობასა და სასამართლო წარმოებაში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში დატული უნდა იქნეს საერთო სალიტერატურო ენის ყველა მოთხოვნა. მაგრამ თუ ტერმინს ზოგადფილოლოგიურს გარდა სპეციფიკურ-იურიდიული მნიშვნელობა აქვს, იგი უპირველესად ამ ლექსიკონში უნდა აისახოს. სხვათაგან სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა მათი შეტანა სწორედ-იურიდიულ ლექსიკონში. განსახილველი ლექსიკონის ავტორები ამ წიგნებს ყოველთვის როდი იცავენ, მაგალითად: „Инородец“ — განმარტებულია, როგორც „სხვისტომი“, მაგრამ „Инородец“-ი მარტო სხვისტომი როდი იყო. ამ ტერმინით ან-სხვაგვებდნენ რუსეთის იმპერიაში დაჩაგრული და აბუჩადაგებულ მთელს რიგ ხალხებს, ეროვნულ უმცირესობას. თუმცა ნაკლები ზომით, მაგრამ დაახლოებით იგივე უნდა ითქვას ტერმინის „туземцы“-ის შესახებ, რომელიც განმარტებულია როგორც „მკვიდრი, ადგილობრივი მცხოვრები“. როცა დამამცირებ-

ლად სურთ ილაბარაკონ აზიის, აფრიკის, ავსტრალიის ხალხებზე სწორედ მაშინ სწორედ ტერმინს „Туземное население“. ამ დროს იტყვიან: „Туземцы Африканского континента“, მაგრამ აშუამად არ ამბობენ „Туземцы Британских островов“. ამ ტერმინების შეტანა იურიდიულ ლექსიკონში იმ პირობით იქნებოდა გამართლებული, თუ კი მათი სპეციფიკური პოლიტიკურ-იურიდიული მნიშვნელობა იქნებოდა ახსნილი.


როგორც ცნობილია, დიდმნიშვნელოვანია მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის უნიფიკაციის საკითხი, განსაკუთრებით კი ეკონომიური და იურიდიული ტერმინოლოგიის უნიფიკაციის საკითხი. როგორც სწორად შენიშნავს პროფ. პ. გუგუშვილი „ამოცანა უპირატესად მდგომარეობს არა იმაში, რომ წარმოებინა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებმა ერთმანეთისათვის გაუგებარი ტერმინები არ გამოიყენონ, არამედ იმაში, რომ მიღწეულ იქნეს ზუსტ მეცნიერულ ცნებათა გამოსახატავად შემოღებულ ტერმინთა უნიფიკაცია, უწინარეს შესაბამის რუსულ-ქართულ ტერმინთა უნიფიკაციის სახითაც, და იმაში, რომ ამგვარად დადგენილ ტერმინთა აზრი მაქსიმალურად შეესიტყვისებოდეს თვით საგნისა თუ მოვლენის არსს“¹.

ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია იურიდიულ ტერმინოლოგიაში. მაგალითად, როგორც ეკონომიურ, ისე იურიდიულ ლიტერატურაში „Земельная реформа“, თარგმნება „მიწის რეფორმად“ და არა „სადავლმამულო რეფორმად“, როგორც ამას ლექსიკონის ავტორები გვთავაზობენ. ეს უკანასკნელი ტერმინი სრულიადაც არ არის უფრო ადეკვატური, ვიდრე მიწის რეფორმა. მიწის რეფორმა მეცნიერებაში უკვე დამკვიდრებული ტერმინია და იგი საგნის შინაარსსაც საკმაო სიზუსტით გამოხატავს. ამიტომ არ არსებობს საფუძველი მასზე უარი ვთქვათ.

„Оброк“ არა მარტო ეკონომიურ მეცნიერებაში თარგმნება როგორც ღალა, რომელიც შეიძლება ფულადი ანდა ნატურალური იყოს. თვის საბა დალას განმარტავდა როგორც „ყანის ბეგარას“. იურიდიული ლექსიკონის ავტორები კი სრულიად მოულოდნელად „Оброк денежный“-ის განმარტავენ, როგორც სახდურს,² ხოლო „Оброк натураль-

¹ პაატა გუგუშვილი. ეკონომიური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმნისათვის, 1952, გვ. 60.

² არც ვანტანგი VI—სამართლის წიგნში ნახმარი ტერმინი „სახდური“ არის „Оброк денежный“-ის შესატყვისი, 217 მუხლში ვიკრულობთ „ბევრს ეკლესიას ცოტა შეწირულობა აქვს და პატრონი არა ჰყავს; ვინც ის მოიხმაროს, როგორც მებაჟრონეს მამულის სახდური მიეცეს (იხ. ვანტანგი VI სამართლის წიგნი, 1955, თ. ენუქიძის გამოკლევა, გვ. 105).



ნიშნ“ როგორც ღალახს, გაუმართლებელია უკვე დამკვიდრებული ტერმინებიდან ამგვარი გადახვევის მიზანშეწონილობა. მით უფრო, როცა მათ სპეციფიკურ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ტერმინოლოგიის უნიფიკაციის აუცილებლობის უგულვებლყოფა მარტო იურიდიულ ლექსიკონის ავტორებს არ მოხდით. ქართველი ეკონომისტებიც ყოველთვის როდი ითვალისწინებენ იურისპრუდენციისა და კანონმდებლობის მიერ აღიარებულ დადგენილ ტერმინებს. სამართლებრივი ტერმინოლოგიის ამგვარ ანგარიშგაუწევლობას მხოლოდ სამწუხარო შედეგები შეიძლება მოჰყვეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთ იურიდიულ ცნებასთან გვაქვს საქმე, რომლის ეკონომიური შინაარსი შეიძლება სრულიად სხვადასხვანაირი იყოს. უპირველესად ეს კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობას ეხება. კაპიტალისტური საკუთრების რეალური ურთიერთობის ასახვად არ კმარა იურიდიული ფორმის გარეგანი ნიშნებით ვიმსჯელოთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მარქსის სიტყვები, რომ „მოთვისების წესმა შეიძლება სრული ვადატრიალება განიცადოს და იმავე დროს ხელუხლებელი დარჩეს საკუთრების უფლება, რომელიც საქონელწარმოებას შეესაბამება“¹.

მაშასადამე თავისთავად იურიდიული ცნების ნიშნების გადმოცემა როდია საკმარისი, რომ ყოველთვის სწორად გავიგოთ მოვლენის ეკონომიური არსი. სწორედ ამგვარ მაგალითზე გვსურს მივუთითოდ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ 1947 წელს შემუშავებულ „ეკონომიურ ტერმინოლოგიაში“ „Подряд“ თარგმნილია როგორც იჯარა-ჩაბარება, Подрядные работы — იჯარა-ჩაბარების სამუშაოები, Подрядный договор — იჯარა-ჩაბარების ხელშეკრულება, Подрядный способ — იჯარა-ჩაბარების, წესი, Подрядчик — მოიჯარე-ჩაბარებელი.

უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის პოლიტიკურ ეკონომიის კათედრის მიერ შემუშავებული „ზოგიერთი ეკონომიური ტერმინის ქართულ შესატყვისებშიც“², სადაც მრავალი

ტერმინი ახლებურადაა გაგებული, „Подряд“ კვლავ იჯარა-ჩაბარების აზრით არის ახსნილი. ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ როგორც მოქმედი სამოქალაქო კოდექსისათვის, ისე საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობისათვის მთლიანად სრულიად უცნობია იჯარა-ჩაბარების ხელშეკრულების ცნება. ამგვარი ცნების გამოყენება პრინციპულად დაუშვებელია იმ ურთიერთობებში, რასაც სოციალისტური სამეურნეო ორგანიზაციები კაპიტალურ მშენებლობაში ასოციაციებთან, მაგრამ შესაძლებელია ეკონომისტებს ტერმინის ისტორიული ახსნა სურდათ. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ არც ამ შემთხვევაშია ზუსტი „Подряд“-ის გაგება. „Подряд“-ის იურიდიული ბუნების მოკლე ისტორიული მიმოხილვა ავიხსენის მისი არასწორად გადმოქართულების მიზეზებს.

რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის X ტომის პირველი ნაწილით „Подряд“ განსაზღვრული იყო, როგორც ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალით ურთიერთობის მონაწილე ერთერთი მხარე ვალდებულებას იღებდა შეესრულებინა გათვალისწინებულ ვადაში განსაზღვრული წამოწყება; ხოლო მეორე მხარე რომლის სასარგებლოდაც ეს კეთდებოდა ვალდებული იყო გადაეხადა ფულადი სასყიდელი. ამ ხელშეკრულების საგანი შეიძლებადა ყოფილიყო ყოველგვარი საქმიანობა და წამოწყება, რომელიც არ იქნებოდა კანონსაწინააღმდეგო: შენობის, ნაგებობის აგება, რეკონსტრუქცია, დანგრევა; მასალების, პროდუქტებისა და ნივთების მიწოდება, მოქალაქეთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა. სპეციალური ნორმატიული აქტით იყო მოწესრიგებული საშინაოსთან ამგვარი ურთიერთობის ჩატარება. როგორც ვხედავთ, ამ ხელშეკრულების გამოყენების ფარგლები მეტად ფართო იყო. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოდ, რომ კანონი ერთად არეგულირებდა „Подряд“-სა და მიწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ცივილისტური მეცნიერება მნიშვნელოვან განსხვავებას ბპოულობდა. ასე, რომ ამ ორი ხელშეკრულების გათქვევას პრაქტიკაში მათი გამოყენების დროს საკანონმდებლო საფუძ-

¹ კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, 1954 წ., გვ. 740

² ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. სერია 81, ეკონომიური მეცნიერებანი, 1959, გვ. 325.

ველიც ჰქონდა. ამასთან ერთად, ეს ხელშეკრულება განსხვავდებოდა ქირავნობისაგან, მათ შორის შრომით ქირავნობისაგან. რა თქმა უნდა, ნარდად მუშაობის ხელშეკრულება გულისხმობდა მენარდის (Подрядчик) მხრივ მუშახელის დაქირავების შესაძლებლობას. ხშირად რევოლუციამდელი იურისტები სწორედ ამაში ხედავდნენ თვით ხელშეკრულების ძირითად ნიშანს. „ნარდად მუშაობის ხელშეკრულების არსებით ნიშნად, — წერდა ვ. ი. ისახენკო, — უნდა იყოს მენარდის შუამავლობა ერთის მხრივ მუშებთან, რომელთა შრომით სრულდება წამოწყება და მგორებს მხრივ იმ პირს შორის, რომელთა წინაშე მენარდე ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი დონისძიება, რასაც მენარდე თავისი ხელით კი არ აკეთებს, რამდენადაც თავისი გონების გამგებლობით, მუშაობის განაწილებით და ა. შ.² აქ ნარდად მუშაობის ხელშეკრულების ყველაზე ვავრცელებული ფორმის აშკარა კლასობრივი ახსნაა, როცა მას იყენებენ ცალკეული კაპიტალისტები და მათი გაერთიანებანი მშრომელთა ექსპლოატაციის განხორციელებისათვის. არც ამ თვალსაზრისით და არც განსაკუთრებული აზრით „Подряд“ არ შეიძლება ითარგმნოს და გაგებულ იქნეს, როგორც იჯარა-ჩაბარების ხელშეკრულება. „Подряд“-ის ამგვარ ისტორიული ახსნაზე უარი უნდა ვთქვათ. კაპიტალისტებს შორის ნარდად მუშაობის ხელშეკრულებანი უმეტეს წილად გულისხმობენ არა მარტო მიმოქცევის აქტს, არამედ ამასთან ერთად ნაწილობრივ წარმოების უშუალო პროცესსაც. როგორც წესი, მენარდე სარგებლობს თავის ძირითადი კაპიტალით, საბრუნავ კაპიტალს მას შემკვეთი აძლევს. სამუშაოს შესრულებით დამსავლებული საგნის გადაცემის შემდეგ, მენარდე არა მარტო ინაუნაურებს ძირითადი კაპიტალის გაზარჯულ ნაწილს, არამედ ღებულობს მოგებასაც.

„Подряд“-ის ზუსტი იურიდიული შინაარსის დადგენას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ამ ტერმინის გაგებაში აღარ იქნება ის არე-დარევა, რასაც ნების დასაწყისს პერიოდში ჰქონდა ადგილი, როცა ნარდად მუშაობის ხელშეკრულების ზოგადი ფორმულის ქვეშ „подводили все, что угодно и труд единоличника-кустаря, и труд писателей (до издания закона об авторском праве), и договоры со всякими артелями, и предпринимательство“³.

ამჟამად „Подряд“-ს განსაზღვრული აქვს თავისი ზუსტი იურიდიული შინაარსი და მისი სავსებით ადეკვატური ქართული შესატყვისია „ნარდი სამუშაო“.

„ეკონომიური ტერმინოლოგიის“ მსგავსად, ალბათ, უფრო ზუსტი და ენობრივად სწორი ტერმინის შემოღების მიზნით, იურიდიული ლექსიკონის მასალებში „Сберегательная касса“ თარგმნილია არა როგორც შემნახველი საღარო, არამედ როგორ „დანაშოგის საღარო“. მტკაღ საეჭვოა ეს უკანასკნელი ტერმინი უკეთესად გამოსატყვედეს იმ შინაარსს, რაც ამ საანგარიშისწორებლო დაწესებულების საქმიანობასთან არის დაკავშირებული. დანაშოგვა ნაკლებად ადეკვატურია, ვიდრე შენახვა, თუმცა არც ეს უკანასკნელი მოიცავს საღაროების საქმიანობის ყველა მხარეს. მიუხედავად ამისა, არ არსებობს რაიმე აუცილებლობა უარი ვთქვათ უკვე დამკვიდრებულ ტერმინზე. ამგვარი საკითხები არ შეიძლება მარტო სიანხლისა და ორიგინალობის სურვილით წყდებოდეს.

ჩვენ ახალი ტერმინის შემოღების მოწინააღმდეგენი როდი ვართ, მაგრამ ყოველი სიანხლე აუცილებლობით, ე. ი. აზრის ადეკვატურად გამოხატვის მიზნით უნდა იყოს ნაპარნახევი. ამ თვალსაზრისით უნდა შევეხოთ სამართლის უმნიშვნელოვანესი კატეგორიის გამოხატველ ტერმინის „Правоотношение“-ეს ქართული შესატყვისის მოძებნის საკითხს. ეს კომპლექ-

¹ დამახასიათებელია, რომ დ. ბაგრატიონი თავის „Обозрение Грузии по части прав и законовения“-ში „Подряд“ უპირველესად მიწოდების ხელშეკრულების პოზიციებიდან განიხილავდა (იხ. დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა. აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. 1959 გვ. 286), XIX საუკუნის პირველ ნახევარში, უპირატესად სწორედ ამგვარი გამოყენება ჰქონდა, როგორც მაშინ ქართულადაც წერდნენ, „ფოდრატს“ (იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით 1953 წ. თბილისი, გვ. 261—270).

² В. Л. Исаченко. „Свод кассационных положений по вопросам русского гражданского материального права“, 1906 г. ст. 599—600.

³ П. И. Стучка, Курс Советского гражданского права, 1931, т. III, стр. 98.

სური ტერმინი თარგმნილია არა როგორც უფლებბრძოლი, ანდა სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ როგორც „მართლფრთხიერობა“. როგორც ჩანს, ამ ნეოლოგიზმით ლექსიკონის ავტორებს სიტყვისა და ადგილის ეკონომიის სურვილი ამოძრავებდათ. ალბათ, ისინი გამოიძლიოდნენ იქიდან, რომ ქართულად ანალოგიური კომპლექსური ტერმინები გვაქვს „მართლწესრიგი“, „მართლმსაჯულება“, „მართლშეგნება“ და სხვ., ამას გარდა, ლექსიკონის ავტორებს შესაძლებელია სურდათ ბოლო მოეღოთ იმ უსასარულო დავისათვის, რაც ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაშია უფლებბრძოლი თუ სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე. ავტორთა ერთი ჯგუფი ვითვალისწინებს ვინაირთ ტერმინი „უფლებბრძოლი ურთიერთობა“, როგორც ბადალი რუსული „Правоотношение“-სი, მეორე ჯგუფი კი — მისი წინააღმდეგია. უკანასკნელთ მიაჩნიათ, რომ უფრო ზუსტია ვისმართ ტერმინი „სამართლებრივი ურთიერთობა“, რამდენადაც ამ გზით უკეთესად იქნება გათვალისწინებული არა მარტო უფლებამოსილების, არამედ მოვალეობის შინაარსიც. ერთი შეხედვით ეს მეტად დამაჩვენებელი შენიშვნაა, მაგრამ ამგვარი მტკიცება ლოგიკურად მიგვიყვანდა იქამდე, რომ, მაგალითად, უარი უნდა გვეთქვა ტერმინზე „ვალდებულებითი სამართალი“, რამდენადაც იგი მხოლოდ ვალდებულებზე განიხილეს და არა უფლებებზე. იურიდიული ურთიერთობის ზოგადი ცნების დროს უფლებბრძოლი მხარის წინ წამოწევა სრულიადაც არ არის შემთხვევითი. სხვისი უფლების გულისხმობის და უფლების ფარგლების განსაზღვრისათვის არსებობს მოვალეობა. შეგვეძლოს გვემხარა ტერმინიც „იურიდიული ურთიერთობა“, რომელიც მოხსნიდა დავის საგანს, ვინაიდან მასში როგორც სამართლებრივი, ასევე უფლებბრძოლი ურთიერთობაცაა ნაგულისხმევი, მაგრამ ეს არა მარტო არ არის საკითხის გადაწყვეტა, არამედ ჩვენს ენის ლექსიკური სიმდიდრის უგულვებელყოფაა. სამართლისა და უფლების ცნების განსხვავებული ტერმინით გამოხატვა ქართული ენის უპირატესობადაა აღიარებული. ეს ყოველმხრივ უნდა იქნეს გამოყენებული. სამწუხაროდ ზოგჯერ ამგვარი უპირატესობა არეგ-დარევის სათავეც ხდება. სამართლებრივი შედნაშენის, სამართლებრივი ინსტიტუტის ნაცვლად ხმარობენ უფლებბრძოლ შედნაშენს, უფლებბრძოლი ინსტიტუტს და ა. შ.

სრული გაუგებრობაა უფლების ცნობა „სუბიექტური სამართლის“ ხმარება, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი მიმართავს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ენის ნიუანსური სიმდიდრით გამოვსახოთ ის სპეციფიკური, რასაც სამართლისა და უფლების უმჭიდროესად დაკავშირებული, მაგრამ მაინც განსხვავებული ცნებები გამოხატავენ. რასაკვირველია, შინაარსობრივად ყოველთვის ეს მკვეთრად როდი არის გამოხატული. ზოგჯერ ძნელი ხდება იმის დადგენა სამართლის თუ უფლების ცნებას შევუფარდოთ რუსული „Право“. ისტორიულად „Право в субъективном смысле“-ს „უფლება“ ეწოდებოდა, მფლავან ძველ ნაწერებში, დაბადებისა და სახარების თარგმანშიც¹, მაგრამ „სამართალი“ რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა, ძველს ქართულ მწერლობაში ამავე მნიშვნელობით სიტყვა „სჯული“ ანუ „სჯულიც“ იხმარებოდა, როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში, ამ უკანასკნელმა ტერმინმა დაჰკარგა თავისი ეს ფუნქცია. ლექსიკონის მხალღებში ტერმინის „Право собственности“ ერთი მნიშვნელობა სავსებით სწორად ახსნილია, როგორც „საკუთრების უფლება“, მაგრამ როგორ გავიგოთ ცნება, როცა იგი საკუთრების მომწესრიგებელ სამართლებრივი ნორმების, ე. ი. საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტს გამოხატავს. ამ საკითხს ლექსიკონში გვერდი აქვს ავლილი. საქმე იმაშია, რომ ქართულად არის სანავთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, მაგრამ არ არის „საკუთრების სამართალი“. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის გამოსახატავად ხმარობდა ტერმინს „საკუთრების რჯულიერება“², მაგრამ ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართული ენისათვის ეს უკანასკნელი ტერმინი მიუღებელია. იქნებ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ „საკუთრების უფლებების“ ცნებით, ისე რომ არ მივმართოდ საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტს. ამას მხოლოდ გაუგებრობა შეიძლება მოჰყვიეს შედეგად. მაგალითად, პ. ცხაკაიას „სამოქალაქო სამართლის“ სახელმძღვანელოს საერთოდ კარგ თარგმანებში საკუთრების ინსტიტუტის და საკუთრების უფლების სრული არეგ-დარევა გვაქვს სახეზე, იქ კითხვულობთ: „საკუთრების უფლება წარმოადგენს ყოველი საკუთრების სისტემის ცენტ-

¹ იხ. Н. Г. Александров, Правовые отношения в социалистическом обществе, 1959, стр. 20.
² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928 წ., გვ. 9.
³ ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 140.

რალურ უფლებებზე ინსტიტუტს“ და ა. შ.¹ როცა ტერმინების გადმოქართულების სიძნელეებთან გვაქვს საქმე რა თქმა უნდა, მექანიკური თარგმანი ყოველთვის ვერ გვიშვებთ. ამიტომაც საკუთრების უფლებასთან ერთად „Право собственности“ შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტი“, ანდა თუნდაც სხვა რომელიმე ტერმინით, რომელიც საკუთრების შესახებ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის გამოხატული იქნებოდა. მაშასადამე სამართლისა და უფლების ცნებების მკვეთრი გამოჯვინის ამოცანა ქართულ ენაზე ადვილად შეიძლება გადაწყდეს, თუ კი მოვლენის შინაარსიდან გამოვალთ.

„Правоотношение“-ს გაგება „უფლებრივი ურთიერთობის“ სახით აქცენტირებას გაუქმებს იმას, რომ სახეზე გვაქვს სამართლის ნორმების რეალიზაციის შედეგად პირთა შორის წარმოშობილი კონკრეტული ურთიერთობა. ყოველ შემთხვევაში არჩევანი უნდა გავაკეთოთ უფლებრივ ურთიერთობას ანდა სამართლებრივ ურთიერთობას შორის. ერთ-ერთი მათგანის ნაცვლად „მართლურურთიერთობის“ შემოღება უკან ვადაღმული ნაბიჯი იქნებოდა ტერმინოლოგიის დაზუსტების გზაზე.

სრულიად გაუგებარია განსხვავებულად ახსნა ტერმინებისა „завещательный легат“, „завещательный отказ“. პირველი განმარტებულია, როგორც „საანდერძო ლეგატი, საანდერძო დაკისრება“, ხოლო მეორე კი „ანდერძით ნაბოძები, ანდერძით ბოძება“. ეს ყველაფერი მაშინ, როცა ორთავე ეს ტერმინი ერთი და იგივე აზრის გამოხატველია.

მხედველობაში აქვთ რა ტერმინი „завещательный отказ“ „საბჭოთა სამოქალაქო სამართლის“ სახელმძღვანელოს ავტორები წერენ: „Иногда употребляется еще другой термин „легат“. Термин „легатарий“ употребляется наряду с однозначным ему термином „отказополучатель“. Термины эти, несомненно, однозначные, но поскольку новая терминология еще не выработана, в настоящее время мы пользуемся установившейся терминологией“².

ეს სახეებით სწორი შენიშვნაა. ამას გარდა, ლექსიკონის მასალებში არაუხსტად არის განმარტებული ლეგატი, ვინაიდან იგი საანდერძო განკარგულების მხოლოდ ერთ-ერთი სპე-

ციფიკური სახეა. ამასთან დაკავშირებით უნდა დაზუსტდეს „отказополучатель“ და „отказоприиматель“ ქართული შესატყვისის, ვინაიდან ანდერძით ნაბოძების მიმღები შეიძლება იყოს არა ლეგატარიც. ნაანდერძევის უფლებრივი მდგომარეობა სხვაა, ვიდრე ლეგატისა, ყოველმხრივ გამართლებულია ამ უცხო სიტყვის დატოვება, ვიდრე ქართულად სხვა ტერმინი არ არის ჭერჭერობით ნაპოვნი; „ანდერძით ნაბოძების მიმღები“ კი შეუძლებელია ლეგატარის ნაცვლად გამოვდგეს.

ლექსიკონის ავტორები ტერმინის— „Наследственное право“-ს ქართულ შესატყვისად სახეებით სწორად ხმარობენ: მემკვიდრეობით სამართალი ანდა მემკვიდრეობის უფლება, ამას გარდა, მოქმედი კოდექსის შესაბამისად ისინი ხმარობენ აგრეთვე „მემკვიდრეობის სამართალს“.

ბ. დერნბურგის „პანდექტების“ ქართველ მთარგმნელებთან კი გვხვდება „სამემკვიდრეო სამართალი“³ თუ კი ექვს არ იწვევს „მემკვიდრეობის უფლების“ ხმარება, სამაგიეროდ „მემკვიდრეობის სამართლის“ ნაცვლად სასურველია ვიხმაროთ მემკვიდრეობითი სამართალი, ანდა სამემკვიდრეო სამართალი

„Ввод в наследство“ ლექსიკონის მასალებში მექანიკურად თარგმნილია, როგორც მემკვიდრეობაში შეყვანა. მაშინ, როცა ქართულად არ ამბობენ მემკვიდრეობაში შევიდა, ქორწინებაში შევიდა და ა. შ.


ასევე არასწორად არის თარგმნილი „Ввод во владение“, როგორც მფლობელობაში შეყვანა. ამგვარი ცნების სიტყვა-სიტყვით თარგმანს აზრობრივ შეცდომებამდე შეუძლია მიგვიყვანოს. მოცემული ქვეყნის კანონმდებლობაში დამკვიდრებული სპეციალური ტერმინის პირდაპირი თარგმნა სხვა ენაზე ყოველთვის როდია შესაძლებელი. საქმე მართლ ენობრივ ტექნიკურ სიძნელეებში არ მდგომარეობს.

საყოველთაოდ ცნობილია კანონების, სასოგადოდ დოგმატიური აქტების თარგმნის მთელი სირთულე. ამგვარი აქტების თარგმნების მდიდარი ისტორიული ტრადიცია ქართულ ენაზე, მაგარა თითქმის ყოველთვის საქმე ვეჭონდა უცხოური ცნებებისა და ტერმინების გადმოტანასთან ქართულ ნიადაგზე ჩამოყალიბებული და დანერგილი ნორმების გამო-

¹ „სამოქალაქო სამართალი“, 1946, ტ. I, გვ. 284.

² Советское гражданское право, 1951, т. II, под редакцией проф. С. П. Братуся, стр. 465.

³ ბენრიხ დერნბურგი, პანდექტები, ტ. I, 1928 წ. გვ. 54.



ყენებით, სხვაწარად შეუძლებელი იქნებოდა მათი გაგება ქართულ გარემოში. როგორც აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს „ქართველები სავლესიო-დოგმატური სასიათის თარგმნაშიც კი იჩენდნენ იმდენ თავისუფლებას და თავისებურებას, რომ ეს თარგმანები ორიგინალური ქართული ძეგლის მიჯნებს უახლოვდებოდა“¹.

ცნობილია, რომ XIX ს. ოციან წლებში კომისია კომისიაზე იქმნებოდა ვახტანგ VI კანონმდებლობის სათარგმნელად. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომისიებში რუსული და ქართული სამართლის კარგი მცოდნენი შედიოდნენ (მაგალითად ი. გ. ჭილაშვილი), მაინც გაძნელდა ქართულ ნიადაგზე ჩამოყალიბებული სპეციფიკურ-იურიდიული ცნებების გადატანა რუსულ ენაზე. ამიტომაც თარგმანები ყოველთვის უფარგისი გამოდროდა. ყველაფერი ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მოცემული სამართლისათვის დამასასიათებელი სპეციფიკურის გადატანა სხვა ენაზე, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ე. წ. აღწერილობითი თარგმანი, სათანადო კომენტარები, სიტყვის მნიშვნელობის ახსნა კონტექსტის მაგალითზე, თუნდაც რომ საქმე მხოლოდ თარგმნით ლექსიკონთან გვქონდეს და არა ახსნა-განმარტებით ლექსიკონთან.

„Ввод во владение“-ეს სახით რუსულ ენაზე გამოხატული იყო მხოლოდ უძრავ ქონებაზე მფლობელობის განხორციელების დასაწყისი. როგორც პროფ. დ. ი. მელიორი შენიშნავდა, „Передача недвижимого имущества очень удачно называется вводом во владение“². მაშასადამე ამ კომპლექსური ტერმინის თარგმანს როგორც უბრალოდ მფლობელობაში შეყვანა არა უხსნია. ამ ტერმინის უფრო უხეშტ შესატყვისს ვაძლევს თავის ლექსიკონში დ. ჩუბინიშვილი, როცა „Ввод во владение“ – გაგებულია „დაბატონება, მამულის ბატონად გახდომა“ (დ. ჩუბინიშვილი: Русско-грузинский словарь, 1901, стр. 54) მაშასადამე „Ввод во владение“ უნდა გავიგოთ არა სიტყვა სიტყვით, არამედ როგორც დაბატონება მამულის და საერთოდ უძრავი ქონებისა, მისი საკუთრებად მიღება.


მსგავსი სპეციფიკურობა ახლავს სხვადასხვაგვარ „Акты крепостные“, „акты укрепления“

„ნი“, რომლებიც უძრავ ქონებაზე არსებული საკუთრების თუ გირავნობის უფლების ფაქტთან შეთანხმებას ნიშნავდა. სწორად შენიშნავდა ამასთან დაკავშირებით რევალუციამდელი რუსი ცივილისტი ი. ნ. ტრებიცინი, რომ „...что касается приобретения прав, то это понятие известное, встречающееся во всех законодательствах. Понятие же „укрепление“ как особый юридический термин, известно только русскому праву“³.

როგორც ცნობილია, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისა ბათილი გარიგებების სახეების სწორი კლასიფიკაცია. ლექსიკონის მასალებში გვხვდება უწყუბოვანი ამ საკითხში. იქ, სადაც მითითებულია „Мировая сделка“ იგი შენარსობრივადაც სახეებით სწორად არის თარგმნილი, როგორც მორიგება, მაგრამ მოულოდნელად „сделка мировая“ თარგმნილია, როგორც „მოხაროგებელი გარიგება“.

ცალკე უნდა შევეხოთ საკითხს ფიქციური გარაგებების შესახებ. უნდა გამოვლიოდეთ იქიდან, რომ უცხო სიტყვის წმარტება ტრანსკრიპციით მაშინაა გამართლებული, თუ კი არა გვაქვს შესაბამისი ქართული სიტყვა, ანდა უნდა გავეთდეს მითითება იმაზე, რომ ეს უცხო ტერმინი სინონიმა შესაბამისი ქართული ტერმინისა. თავისი მნიშვნელობით ფიქციური ქართულად ნიშნავს მოჩვენებობასაც, ვითარსს, მოგონილს, მაგრამ ყველა შემოჩამოვლილი შედსართავებით ბათილი გარიგებები განსხვავებული სახეების ფორმითაა წარმოდგენილი ლექსიკონის მასალებში. ეს დიდ გაუგებრობას ქმნის. ვითარსი თუ მოჩვენებითი სხვა არ არის, თუარა ფიქციური. მათ არ აქვთ არავითარი განსაკუთრებული იურიდიული შედეგები და ისინი ერთიან ცნებას გამოხატავენ. ასეა ცივილისტურ ლიტერატურაშიც „мнимая (фиктивная) сделка совершается только для вида без намерения породить юридические последствия“⁴. ქართულ თარგმანებშიც ასეა გაგებული მოჩვენებითი და ფიქციური. პროფ. დ. ანდრონიკაშვილის რედაქციით თარგმნილი „სამოქალაქო სამართალში“ ვკითხულობთ: „მოჩვენებითი ანუ ფიქციური გარიგება ეწოდება ისეთ გარიგებას, რომელიც დადებულია მხარეთა შეთანხმებით მხოლოდ

¹ კ. კეკელიძე, ეტიოლოგიური ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1956 წ., ტ. I, გვ. 190.
² Д. И. Мейер, Русское гражданское право, 1873. стр. 237.
³ И. И. Треницын, Переход права собственности на движимые имущества посредством передачи и соглашения. 1903, стр. 344—345.
⁴ Советское гражданское право, ч. I, 1950 г., стр. 230.



მოსაჩვენებლად და უმიგანზრახვოდ, რომ მას იურიდიული შედეგი მოჰყვებოდა.

შელოც მთლიანად ემთხვევა ფიქციურ გარიგემელიც მთლიანად ემთხვევა ფიქციურ გარიგებას, მოქმედ კანონმდებლობას ემყარება, მაგრამ არც de lege ferenda შეიძლება ფიქციური გარიგება გამოდგეს ბათილი გარიგების გვაროვნულ ცნებად, რომელიც მოჩვენებით და თვალთმაქცურ გარიგებებს გაერთიანებდა. ამისათვის სიმულაციური და არა ფიქციური გარიგებების ცნება ნახმარი მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში.² მაშასადამე, ფიქციური და მოჩვენებითი გარიგებები ერთნაირი მნიშვნელობით უნდა იქნეს ახსნილი.

„Толкование“ ლექსიკონში ზოგჯერ განმარტებაა და ზოგჯერ კი ახსნა-განმარტებაა. საჭიროა თანმიმდევრობა ამ ტერმინით სარგებლობის დროს. მით უფრო, როცა „Объяснение“—ც ახსნად, ახსნა-განმარტებად არის თარგმნილი. ლექსიკონის მასალებში „Буквальное толкование“—ს შესატყვისია „სიტყვა-სიტყვითი—ახსნა-განმარტება.“ ჩვენის აზრით, აზრობრივად ტოლფასოვანი იქნებოდა „Буквальное“ გვეთარგმნა, როგორც ახლანდესური: მართალია, იგი იშვიათად გვხვდება ზეპირმეტყველებაში, მაგრამ წერილობითი ტექსტებში ფართოდ იხერგება. მას ხშირად მიმართავენ „კაბიტალის“ მეორე თარგმანის ავტორები. მაგალითად, „კანონის ასოანბანს იხინი ყურადღებას არ მიაქცევდნენ და თავიანთი საკუთარი ნებით კვლავ ძველ სისტემას შემოიღებდნენ“, ეს იურიდიული აქტი „მკვლარ ასოანბანად ღარჩა სამოქალაქო და ადგილობრივ მმართველობათა ხელში“³.

„Дети“ ქართულად „ბავშვებსაც“ შეიძლება ნიშნავდეს, მაგრამ არა სწორია „Содержание детей“ თარგმნილი იქნეს, როგორც „ბავშვების რჩენა“. აქ უმეტესად მხედველობაშია ჩვენი კანონმდებლობისათვის ცნობილი შვილების რჩენის ვალდებულება და შესაბამისადაც უნდა იქნეს „შვილების რჩენა“.

რუსული სიტყვა „Едиnorodный“ იხმარება შობილების ერთად-ერთი შვილის მიმართ. როგორც ს. ი. ოუეგოვი ხსნის „Едиnorodный—единственный у родителей (о сыне, дочери)“ (С. И. Ожегов, Словарь русского языка 1955 г. под редакцией Акад. С. Н. Об-

норского, ст. 159). მაშასადამე, ეს ტერმინი ქართულად უნდა ითარგმნოს არა როგორც დედითერთა, არამედ როგორც დედის ერთა.

„Слабоумие“ სხვადასხვანაირად არის გაგებული საქანონმდებლო აქტებში. მაგალითად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 8 მუხლი ლაპარაკობს გონებრივ სისუსტეზე, ხოლო საქორწინო-საოჯახო კოდექსის მე-8 მუხლი „ქუანკლებობაზე, მაშინ, როცა ეს სრულიად იდენტური ცნებებია. მოსაწონია, რომ ლექსიკონის მასალებში იგი გაგებულია ერთადერთი სწორი აზრით „ქუანსუსტობა“. ეს მთლიანად ეთანხმება ფსიქიატრიაში დადგენილ ცნებას⁴.

ამიტომაც მომავალში საქანონმდებლო აქტებმა მხოლოდ ეს უკანასკნელი ტერმინი უნდა გამოიყენოს და უარი თქვას ტერმინთა მრავალგვარობაზე.

შინაარსობრივად არა სწორია ქართული შესატყვისი „Смирительный дом“—ის, როგორც „მორჩულების სახლი“. მორჩულება არ უდგება იმას, რასაც „Смирение“ ნიშნავს. „მორჩულებებს“ ლექსიკონის ავტორები ხმარობენ როგორც ზედსართავ სახელს სულ სხვა აზრით, მაგალითად, „მორჩულებელი დამნაშავე“.


„Смирительный дом“ დამნაშავეებთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ სულით ავადმყოფებთან. ამიტომაც იგი ქართულად უნდა ითარგმნოს ან „სულით ავადმყოფთა თავშესაფარი“, ანდა „დასამშვიდებელი სახლი“.

„Течение давности“ გადმოქართულებულია, როგორც ხანდაზმულობის დინება, როცა „Течение“—ს გადატანითი მნიშვნელობით ვხმარობთ დროის ვითარების გამოხატავად. მაშინ უმჯობესია გამოვთქვათ ხანდაზმულობის დენა და არა დინება.

„Захват приза“ თარგმნილია, როგორც „პრიზის შეპყრობა“, რამდენადაც „Приз“ აქ ნახმარია საზღვაო ნადავლის აზრით, ამიტომაც სწორი არ იქნებოდა გველაპარაკა „პრიზის შეპყრობაზე“, არამედ „პრიზის ხელთგდებაზე“.

რუსული „Подсудность“ ქართულად საქანონმდებლო აქტებში ორი სიტყვით „სასამართლო ქვემდებარეობით“ გამოითქმება. ლექსიკონის ავტორებს გადაუწყვეტიათ სათანადო შესატყვისი მოეძებნათ რუსული ტერმინისათვის, ისე, რომ საერთოდ უარი ეთქვათ „ქვემდებარეობისაგან“. „Подсудность“ გაგე-

¹ „სამოქალაქო სამართალი“ 1939 წ. ტ. I, გვ. 206.
² Любен Василев, Гражданское право народной республики Болгарии, 1958 стр. 542.
³ კ. მარქსი, კაბიტალი, ტ. I, 1934 წ., გვ. 365, 624.
⁴ ა. დ. ზურაბაშვილი, ფსიქიატრია, 1958 წ. გვ. 106, 119, 183, 276 და სხვა.



ბულია, როგორც განსჯადობა. ასე რომ სასამართლოს ქვემდებარე ყოველ საქმეს ამიერიდან უნდა ეწოდოს „განსასჯელი საქმე“. ჩვენ არ გვგონია, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი უკეთესი იყოს, ვიდრე „სასამართლო ქვემდებარე საქმე“. ჩვენის აზრით სავსებით სწორია ის გადაწყვეტა, რაც ახალმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გააკეთა, როცა უარი თქვა დანერგილი და ჩამოყალიბებული ტერმინის შეცვლაზე, და დატოვა „ქვემდებარეობა“. ზედსართავ სახელთან მისი დაკავშირება სრულიად ზუსტად გამოხატავს საგნის შინაარსს, „სასამართლო ქვემდებარეობა“, „სარბიტრაჟო ქვემდებარეობა“ და ა. შ.

უნდა ისიც ითქვას, რომ განსჯა მართლ სასამართლების, განკითხვის, მსჯავრისდადების აზრით როდი იხმარება, არამედ როგორც „მსჯელობა, დასჯენა, გადაწყვეტილების გამოტანა“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1951 წ. ტ. II გვ. 1018).

ცალკე უნდა შეგვიჩვენოს სარჩელების კლასიფიკაციის საკითხებზე. „Иск о присуждении“ თარგმნილია „სამიკუთვნებო სარჩელად“, ხოლო „Исполнительный иск“ — „ხაღსრულებო სარჩელად“. სამიკუთვნებო და ხაღსრულებო სარჩელები ერთი ცნების გამოხატელობაა. ამიტომაც უნდა ჩანდეს ლექსიკონიდან, რომ ისინი სინონიმებია და არ უნდა შეგვექმნას წარმოდგენა, რომ ეს განსხვავებული სარჩელებია. ამას გარდა, პრეფიქსი „სა“ სწორად არ უნდა იყოს გამოყენებული ტერმინში „სააღსარებო სარჩელი“, როგორადაც თარგმნილია „Иск о признании“. უმჯობესია მას დადგენითი სარჩელი ვუწოდოთ, როგორც ეს გვხვდება იურადიულ ლიტერატურაში ქართულ ენაზე¹. შინაარსობრივადაც ეს ადეკვატური იქნება იმისა, რასაც სარჩელთა ეს ჯგუფი გულისხმობს.

„Местничество“ თარგმნილია როგორც მხოლოდ „ადგილუფროსობა“, რითაც არ არის რუსული სიტყვის მნიშვნელობა სრულიად ახსნილი. „ადგილუფროსობა“ „Местничество“ მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამჟამად, როცა გადატანითი მნიშვნელობით ხმარობენ „Местничество“, გულისხმობენ ადგილობრივის წინ დაყენებას ცენტრალური ხელისუფლების საზიანოდ. განსაზღვრული

აზრით „Местничество“-ს შინაარსობრივად ტოლფასობნად შეგვეძლო გვეგულისხმა „კუთხურობა“.

დაუზუსტება სჭირდება ტერმინის „Заповедный“-ს თარგმნას. არსებითი სახელის გარეშე სიტყვას არაფრის ახსნა არ შეუძლია. თავისთავად „заповедный“ არც ნაკრძალს განმარტავს და არც მამბაპეულებს. იურიდიული მნიშვნელობის ისტორიული ტერმინია „Заповедное имя“, რომლის განკარგვა თითქმის შეუძლებელი იყო. ქართულ შესატყვისს ამ ტერმინისას კარგად პოულობენ 1920 წლის რუსულ-ქართული ლექსიკონის ავტორები, როცა მას „დავებრებულ მამულად“ თარგმნიან.

„Опека законная“ ერთ-ერთი მნიშვნელობით ახსნილია, როგორც „კანონის მიერ მეურვეობა“, რაც აშკარად არასწორია.

შეხატლებელია „Пожизненная пенсия“ თარგმნილ იქნეს, როგორც სამულამო პენსია, მაგრამ უმჯობესია ისე, როგორც სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონის ქართულ ტექსტშია „სამრძელდღეშიო პენსია“.

„Безвестное отсутствие“ ლექსიკონის ავტორთა მიერ თარგმნილია, როგორც „უკვალოდ დაკარგვა“. „უკვალობ“ რუსული შესაბამისია „Бесследно“ (იხ. ქართულ-რუსული ლექსიკონი აკადემიკოსების გ. ახვლედიანისა და ვ. თოფურიას რედაქციით 1942 წ. გვ. 291). ამიტომაც ხვდობია კანონმდებლობაში დანერგილი „უზო-უკვლოდ დაკარგვა“ ვიხმაროდ და არა უზრალოდ უკვალოდ დაკარგვა.

„Вынужденный прогул“ შრომის სამართლებრივი ცნებაა და მისი შესატყვისია „იძულებითი განაცდური“. ლექსიკონის ავტორები „Вынужденный пропуск“-ს თარგმნიან, როგორც „ძალაუნებურ გაცდენას“. თუ ტექსტში „прогул“ უნდა იყოს და არა „пропуск“ მაშინ ამგვარი თარგმანი ზუსტი არ არის.


„Маркировка“ თარგმნილია, როგორც „დამარკვა“. უფრო მიზანშეწონილია „მარკირება, ნიშანდება“.

„Колено родства“ ლექსიკონის მასალებში თარგმნილია, როგორც „ნათესაობის თაობა, ნათესაობის მუხლი“ და „ნათესაობის მუხლი“ აშკარად არასწორი თარგმანია, ვინაიდან იგი გამომდინარეობს „колено“-ს პირდაპირი და არა გადატანით მნიშვნელობიდან.

„Легализовать“ „გაღებობას“ ნაცვლად უმჯობესია ლეგალიზება, ლეგალიზაცია. ლექსიკონის მასალების შესაბამის ადგილას

¹ იხ. К. С. Юдельсон, Совесткий гражданский процесс. 1956, стр. 209.

² „სამოქალაქო სამართლის პროცესი“, სახელმძღვანელო იურიდიული ინსტიტუტებისათვის, პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის რედაქციით, 1939 წ. გვ. 179.



„Обложение податное“ თარგმნილია, როგორც „სავამოსახლებო დაბეგვრა“, მაგრამ როცა საზღვრული და მსაზღვრელი ადგილებს იცვლიან „Податное обложение“ უკვე „სავადასახლო დაბეგვრაა“.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ტერმინზე „Откуп“. ეკონომისტები მის ქართულ შესატყვისად „იჯარა-შესყიდვას“ თვლიან, იურიდიულად წინააღმდეგობა თვითონ ტერმინის ამგვარ ახსნაში. თუ იჯარა თავის შედეგად შესყიდვას გულისხმობს, მაშინ იგი იჯარა კი არ არის, არამედ წინასწარ ნახყიდობაა, მაგრამ „Откуп“ არ არის ზუსტი იურიდიული შინაარსის მატარებელი ტერმინი, ამიტომაც არ გვხვდებოდა იგი რევოლუციამდელ ცივილისტიკაში. იგი არა მარტო იჯარას ნიშნავდა, „Откуп“-ი ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობით XIX საუკუნეში იხსარებოდა, როგორც მონობოლიური უფლება მოსახლეობისაგან განსაზღვრული სახელმწიფო შემოსავლის გადასდევინებისათვის, რომელიც ფულად სასყიდლად კერძო პირებს ეძლეოდათ. ამიტომაც „Откуп“ მარტო იჯარად კი არ უნდა ითარგმნოს, არამედ მისი შინაარსობრივი მნიშვნელობის მიხედვით აიხსნას ისტორიულად მრავალგვაროვანი გაგება. („Откупать“ მრავალნაირი გაგების შესახებ იხილეთ Владимир Даль, Толковый словарь, т. II. 742).

„Издольщина“ უბრალოდ „მოზიარობა“ როდია და „Издольщик“ მარტო მოზიარე კი არ არის, არამედ ამ ტერმინით გამოხატულია უმეტესად ფეოდალიზმთან დაკავშირებული მიწის იჯარის ხელშეკრულება, რომლის დროსაც მესაკუთრეს მოსავლის წილის მიხედვით და არა ფულით მიეცემა საიჯარო ქირა.


„Побочное пользование“-ს ზუსტი შესატყვისი არ არის „თანასარგებლობა“, „Побочное пользование“ შინაარსობრივად ტოლფასოვანია „დამხმარე, დამატებით სარგებლობა“.

ლექსიკონის მასალებში ცალკეულ ტერმინებს, ჩვენის აზრით, სასურველია აღიარებულ მნიშვნელობას გარდა, დაემატოს შემდეგი შესატყვისები:

- Арест—დატუსაღება, დაჭერა
- Арестант—ტუსაღი
- Безотзывный аккредитив—გამოუთხოვნი აკრედიტივი
- Безвозмездная сделка—უნაცვალგებო გარიგება
- Владение совместное—თანაწიარი მფლობელობა

- Родительская власть—მშობლის უფლება
- Выгода—სარგა
- Выручка—ამონაგები
- Держание—ჭერა
- Договор акцессорный—დამატებითი ხელშეკრულება
- Дом призрения—დავრდომილითა თავშესაფარი
- Единокровие—თვისტომობა, ნათესაობა
- Завладение—დაჩემება, დაკავება, ხელში ნაგდება, დაპყრობა
- Закоренелый преступник—გაუსწორებელი დამნაშავე
- Истязание—ტანჯვა-წვალება
- Копия—ასლი
- Легитимировать—დაკანონება
- Наложенным платежом—სასყიდელ დადებული
- Нанесение ущерба—დაზარალება
- Невозвращенец—შინმოუსვლელი
- Ненормированный—უნორმო, არანორმირებული
- Неотвратимость—გარდუვალობა
- Обладание—ჭერა, ფლობა
- Ограниченный в правах—უფლებაშეკვეცილი
- Отлучение от церкви—ეკლესიიდან განდევნა, გარისხვა
- Пайщик—მოწილე, წილის მქონებელი, წილადობილი
- Первичное приобретение—თავდაპირველი შეძენა
- Погашенная задолженность—დავალიანების გასტუმრება, გადახდა
- Под страхом наказания—სასჯელის რიდით
- Попустительство—წამყრუებლობა
- Посредник—შუაკაცი, მედიატორი
- Простительное заблуждение—ბატვისადები შეცდომა
- Расточительство—მფლანგველობა, ხელგაშლილობა
- Сделка взаимная—ხელშეკრულება
- Социальное пособие—სოციალური დახმარება
- Ущерб—ზარალი
- Увечье—დაშავება
- რამდენიმე სიტყვა ლექსიკონის სტრუქტურის შესახებ.

იმ ტერმინს, რომელიც საერთო სამართლებრივ მოვლენას კი არ გამოხატავს, არამედ ცალკეული ქვეყნის სპეციფიკურ იურიდიულ დაწესებულებას თუ ინსტიტუტს, — უნდა ჰქონდეს მითითება მის ეროვნულ კუთვნილებაზე. ეს კი ყოველთვის როდია გაკეთებული



ლექსიკონში. მაგალითად, „Кутюм“, „თარგმნილია როგორც „ადათი“, მაგრამ იგი ადათის გამოხატველი საერთაშორისო სიტყვა როდია, არამედ საფრანგეთის ადათობრივ სამართალზე მივივითებ. ამიტომაც მას უნდა ახლდეს აღნიშვნა, რომ აქ ადათის ფრანგულ სახესწავლობასთან გვაქვს საქმე. იგივე უნდა ითქვას გამოთქმაზე „Суд королевской скамьи“, რომელიც უბრალოდ „სამეფო სასამართლოდ“ არის თარგმნილი, მაგრამ ყოველი სამეფო სასამართლო როდი იწოდებოდა „Суд королевской скамьи“, არამედ აქ ინგლისის სასამართლო წყობილების თავისებურება გვაქვს სახეზე. ზედსართავი და არსებითი სახელის ადგილგადასაცვლება ლექსიკონის მოხერხებულად სარგებლობის აუცილებელი პირობაა. განსახილველ ლექსიკონში ამგვარი ადგილგადასაცვლებას, როგორც დავინახეთ, ზოგჯერ სრულიად უსაფუძვლოდ ერთი და იგივე ცნებების შინაარსობრივად განსხვავებული გაგებაც ახლავს.

ამასთან, ყოველთვის როდია გამართლებული ზედსართავი და არსებითი სახელების შებრუნებით გადმოცემის შეუზღუდველი ტენდენცია. როცა მოცემული კომპლექსური ტერმინის ზედსართავი და არსებითი სახელის ერთად ნმარების აუცილებლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაშინ არ არის სწორი მათი შებრუნებით წარმოდგენა. მაგალითად: „Карманный бор“ ქართულად „ჯიბგირია“, მაგრამ განა

საჭიროა აგრეთვე „Вор карманный“ შებრუნებითაც იყოს. დაინტერესებული მკითხველი ადვილად მიაკვლევს ამ ტერმინს რუსული შესატყვისის ერთი ფორმის არსებობის დროსაც ამგვარ უსასრულო განმეორებებს შემოქმედით ზედმეტად გადატვირთონ ლექსიკონი, მით უფრო, რომ შეიძლება ტერმინის შებრუნებით აღნიშვნისას დავკმაყოფილებულიყავით სათანადო ადგილას ძირითად ფორმაზე მითითებით.

მოსაწონი იყო, რომ მასალების გამოქვეყნების დასაწყისში (ახოვები А—Г სიტყვებზე) ლექსიკონის ავტორები ბევრი ახალი ტერმინის შემოღების დასაბუთებას იძლეოდნენ, მაგრამ შემდეგ ეს შეწყვიტეს, რამაც გააძინა მრავალი სიახლეა დანერგვის აუცილებლობის გამართლება და საჭიროება, რომელსაც ავტორები გვთავაზობენ.

რუსულ-ქართული ლექსიკონი ნიადაგსამარი წიგნი იქნება არა მარტო იურისტებისათვის, რა თქმა უნდა, იურიდიული ცნებებისა და ტერმინების შესაბამისი ქართული შესატყვისების სრულყოფილად შემუშავება-დადგენაკვლავაც თხოულობს შემდგომ ხანგრძლივ შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ამ დიდ ეროვნულ საქმეს მყარი მეცნიერული საფუძვლები ჩაეყრება განსახილველი ლექსიკონის გამოცემით.

სოფლის სოციალიზმი



ასე შეარქვეს საგარეუოს რაიონის სოფელ შიბლიანის მცხოვრებლებმა ივანე კოლოტაძეს და ალექსანდრე გელიკაშვილს და მათ ნამდვილად დაიმსახურეს ეს სახელი.

ი. კოლოტაძე და ა. გელიკაშვილი მთელ დღეებს უსაქმოდ ატარებდნენ, დაეხეტებოდნენ, საღამოობით კი, ნუნუას გადაყოლილნი, ჩახრინწიანებული სიმღერით სოფელს „ატკობდნენ“. მთელ სოფელს უკვირდა—ამ უქნარებს საიდან ქონდათ ფული, მაშინ, როდესაც არავითარ სასარგებლო საქმიანობას არ ეწეოდნენ.

მათი საიდუმლოც მალე გაიკვია, ი. კოლოტაძე და

ა. გელიკაშვილი დაკავშირებული იყვნენ გურჯაანის მეღვინეობის ფერმის მწყემს ივანე ხუროშვილთან

რაიონის სოფელ კოტენის კოლმეურნეობის და აი ეს „წმინდა სამეული“ მაშინ შეიპყრეს, როდესაც ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობის ფერმიდან ნ დედა ღორი მოიპარეს.

საგარეუოს რაიონის სახალხო სასამართლომ ი. კოლოტაძეს, ა. გელიკაშვილს და ი. ხუროშვილს ნ-ნ წლით პატიმრობა მიუსაჯა.

„მეგობრები“

— სირცხვილია, სირცხვილი შვილო. მთელი სოფელი ლაბარაკობს—სოლომონ წივილაშვილს შვილი უქნარა და ზარმაცი გამოუვიდაო. 20 წლის ვაჟაკი ხარ და აყოლიხარ უსაქმურ გაიოზ მარდიშვილს, ლოთობთ და აწუხებთ სოფელს. როდემდე გინდა გააგრძელო შვილო ასე.— დამწუხრებული ეუბნებოდა თავის შვილს შოთას ამავე რაიონის სოფელ ახალსოფლის მცხოვრები სოლომონ წივილაშვილი.

შოთამ ერთხანს გვერდულად უცქირა მამას და დამცინავად წაიღიღინა.

— რა სჯობია ღვინოსა და ღვინასა.
— თავს წააგებ შვილო, თავს.—ჩაილაპარაკა სოლომონმა, თავი უმწეოდ გადააქინა და ეზოში გავიდა.



მოსალამოვდა. სოფლის შარავზაზე კოლმეურნეთა ჯგუფი გამოჩნდა, რომლებიც ხალისიანი საუბრით მინდვრებიდან ბრუნდებოდნენ.

შოთამ ერთხანს ოთახებში უმიზეზოდ იბორიალა, შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა და თვისთვის ჩაილაპარაკა.

— წავალ ერთი, გაიოზთან გადავალ და ნუნუას გადაეკრავთ.
შოთამ დარდიმანდული ღიღინ-ღიღინით ჩაიარა სოფლის ორღობე და ის იყო გაიოზ მარდიშვილის სახლისაკენ უნდა გაეხვია, რომ გზაზე მკერდგაღელი გაიოზიც გამოჩნდა. ეტყობოდა მასაც მოწყენოდა სახლში უსაქმოდ ყოფნა და მეგობრისაკენ წამოსულიყო.

— ძმას სალამი, ძმას. გეტყობა ჩემსავით მთელი დღე ჩრდილში კოტრიალობდი, ალბად

მოქნარებისაგან ყბები აგტივდა; — სიცილით უთხრა შოთამ გაიოზს და მხრებზე ხელი მშლავრად დაკრა.

— არც შენ გაქვს წელი მოწყვეტილი შრომისაგან. აბა, ერთ ადგილზე კაი ღვინო მეგულე-ბა. მოდის?

— მოდის.

მეგობრებმა ხელი ხელს დაპკრეს და გზა განაგრძეს. სოფელში ბინდი ჩამოწვა. სოფლის განათებულ კლუბთან ხალხი თავს ნელ-ნელა იყრიდა ახალი კინო-ფილმის სანახავად.

ამ დროს უშნო ღრიალმა ჰაერი შეარხია. ეს, ორა მეგობარი შ. წივილაშვილი და გ. მარლი-შვილი იყო, რომლებიც ხელი-ხელ გადახვეული ერთმანეთს ძლივს ამგარებდნენ და თანაც ღრია-ლებდნენ.

— ბიჭო გაიოზ, მო, მოიცა,—ენის ბორძიკით თქვა შოთამ,—შენ ვის აშაყირებ, ის ჯამით ღვინო, შენ რომ გადმოგეცი, დალიე?

— რაო, რას, ბჭუტურობა. შე ცინგლიანო, ის მაკლია შენ შემედარო ღვინის სმ... გაიოზს სიტყვის თქმა აღარ დასცალდა, რომ მოქნეულმა მარჯვენამ ძირს დასცა.

ორი „მეგობარი“ ერთმანეთს დაერია და წიხლებითა და ხელებით ერთმანეთს თელვა და-უწყეს.

ის ის იყო გ. მარლიშვილმა ძირიდან წამოდგომა სცადა, რომ შ. წივილაშვილმა ბებუთი იძრო და სწრაფი მოქნევით გ. მარლიშვილს თვალი გამოთხარა და თანაც რამდენიმე ჭრილობაც მიაყენა.

უსაქმურ და ბახუსის მოყვარულ რაინდ შ. წივილაშვილს საგარეჯოს რაიონის სახალხო სა-სამართლომ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა.

ღამის „მუშაჟი“



სასამართლოს წინაშე თავჩაღუნული დგას ოციოდე წლის ახალგაზრდა ვაჟი.

— თქვენი სახელი—ეკითხება სასამართლოს თავმჯდო-მარე.

- ქოროლი.
- მამის სახელი.
- ზაქარიას-ძე.
- გვარი.
- ხარებაშვილი.
- დაბადების წელი.
- 1940 წელი.
- პარტულობა.
- კომკავშირელი.
- ცნობ თუ არა თავს დამნაშავედ.

ქ. ხარებაშვილს თავი დაუხრია, დღემს, ანდა რა აქვს სათქმელი. სრულიად ახალგაზრდამ შრომაზე გული აიცრუა და როდესაც მისი ტოლები და თანასოფლელები საკოლმეურნეო მინდვრებში შრომობდნენ. ხარებაშვილი

ეხოში კაკლის ხის ჩრდილში გაგებულ ჭილობზე კოტრილობდა და გვერდით სველი ხელადა ქონ-და მოდგმული. ღამ-ღამობით კი ქურდობასაც არ ერიდებოდა, მაგრამ კოკა ყოველთვის როდი მოიტანს წყალს.

... თუმცა სჯობს თავიდან დავიწყოთ. 1960 წლის 22 ნოემბრის ღამის 1 საათი იქნებოდა, სოფელს სავესე მთვარე დანათოდა. სოფლის შუკაში ცხენშებმული ურიკა ნელი ტაპით მიჰყავდა ქ. ხარებაშვილს. როგორც კი მეფრინველეობის ფერმას მიუახლოვდა, ცხენი იქვე ხეზე გამოაბა და თვითონ „მუშაობას“ შეუდგა, გაზით ბოქებზე გაბმული მავთულის აგლეჯა დაიწყო. როდესაც „მუშაობა“ დაამთავრა 84 მეტრი მავთული ურიკაზე დადგა და წასვლას აპირებდა, რომ ქურდი ადგილზე შეიბყრეს.

ამიტომ იყო თავჩაქინდრული სასამართლოს პროცესზე ქ. ხარებაშვილი. დუმდა და ტოლებს თვალებს ვერ უსწორებდა.

საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ ქ. ხარებაშვილს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ჯიზის ქერი



ოთარ ტრიფონის ძე ძნელაძე ქურდობისათვის ოთხჯერ იყო გასამართლებული. უკანასკნელად იგი დაპატიმრებული იქნა 1956 წელს და მიესაჯა 6 წლით პატიმრობა. 1959 წლის აგვისტოში ის ვადამდე პირობით გაათავისუფლეს.

— აბა, შენ იცი, იმედია დაივიწყებ ძველ ხელობას— ქურდობას და ახალ ცხოვრებას დაიწყებ.—უთხრეს ძნელაძეს, როდესაც ათავისუფლებდნენ.

ნაცნობებსა და ნათესაებს ყველას ეგონა, რომ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი ო. ძნელაძე დაუბრუნდებოდა კეთილსინდისიერ ცხოვრებას და სასარგებლო საქმეს მოკიდებდა ხელს, მაგრამ ო. ძნელაძეს ამაზე სრულიად არ უფიქრია, იგი კვლავ ძველ—მოლიბულ გზას დაადგა. მან სწრაფად მოძებნა თავისი ძველი ამფსონები და მოქალაქეთა ჯიბეების გასუფთავებას შეუდგა. ერთ-

დღეს ო. ძნელაძემ ტროლეიბუსში მგზავრობის დროს მოქალაქე ქაჯაიას ჯიბიდან ამოაცალა 300 მანეთი (ძველი ფული), და იქვე მდგომ მის „კოლეგას“ გადასცა. რომელმაც გაქცევით უწველა თავს ამჯერად ო. ძნელაძე კვლავ გადარჩა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.


დილის 10 საათი იყო. ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ჩვენმა „გმირმა“ თვალი მოჰკრა ქალს, რომელსაც ფულის ჩანთა მკლავზე ჩამოეკიდა.—აბა ერთი ვცადოთ, ვგონებ ანკესზე წამოეგება.—გაიფიქრა მან წინ გაუსწრო მის მიერ ათვალეირებულ ქალს, უცებ შემობრუნდა, ვითომ დაეჯახა და ბოდისის მოხდა დაუწყო, იმავდროულად კი ოსტატურად გახსნა ფულის ჩანთა და ის ის იყო უნდა ამოედო ფული რომ, მოქალაქე ტყველავშიღმა იგრძნო საფულეს გახსნა და ქურდს ხელი სტაცა. შემთხვევის ადგილზე სწრაფად გაჩნდა მილიციის მუშაკი. ჯიბის ქურდმა ო. ძნელაძემ გაქცევა მოინდომა და მილიციის მუშაკს ფიზიკური წინააღმდეგობაც კი გაუწია. მაგრამ ადგილზე დააკავეს.

ნათქვამია ქურდს ფიცი პირზე აკერიო და აი, ო. ძნელაძემაც მოინდომა ფიცით თავის დაძვრენა—გეფიცებით ცული განზრახვა არ მქონია. ტყველავშიღს საფულე ღია ქონდა, გავიფიქრე ფული არ გადმოუვარდესთქო და დაკეტვა მოვიინდომე. ამ დროს კი ხელი წამატანა და ყვირილი ატეხა.—მოიკატუნა მან თავი სასამართლოზე, მაგრამ მელიის ოინები მას არ გაუვიდა.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ ა. იობიძის თავმჯდომარეობით განიხილა გამოუსწორებელი ქურდის ო. ტ. ძნელაძის საქმე და მიუსაჯა 8 წლით პატიმრობა.

სუის მახლავი

ონის რაიონის სოფელი გომი ფერდობზეა გაშენებული, მას მარჯვნიდან ლამაზად აქოჩრილი ტყე აკრავს. გომელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ტყით და მართლაც რომ საამაყოა: ვეება, ტოტებგანიერი ცადაწვდილი ხეები თითქოს დარაჯად დადგომია სოფელს და სიკეთესა და ბარაქას



არ აკლებს მას. ტყეში უხვად არის მუხის, თხემლის, რცხილის, სოჭის, წაზლის ხეები. აქვე ტყე მალი, ზღმარტლი, ბალი, მაყალო, შვინდის ხეები.

ბავშვების მხიარულებასა და კმაყოფილებას რომ საზღვარი არა აქვს, როდესაც ტყიდან სა-
ლამობით სიმღერით ბრუნდებიან და პატარა ხელის კა-
ლათებით ტყეში დაკრეფილი ზოგს მარწყვი მოაქვს,
ზოგს სოკო და ზოგს კიდევ სხვადასხვა ხილი.

იქვე ტყის პირას ყინულივით ცივი ნაკადული მოჩხ-
როილებს.

სადამობით მინდვრებიდან დაბრუნებული, მხარზე
თოხვადებული კოლმეურნეები წყაროსთან აუცილებლად
შეისვენებენ, ხელბირს დაიბანენ, ცივ წყალს დალევენ და
თან მადლიანად დაილოცავენ:

— აი წყალიც ამას ქვია. დაილოცოს შენი გამჩენი.

წყაროს გამჩენი—ჩუმი აქოჩრილი ტყე კი ამ დროს
კმაყოფილი შრიალებს, მაგრამ მის შრიალში საყვედურ-
საც ამოიკითხავს კაცი. სასაყვედურო კი მართლაც აქვს
ტყეს. ამ სოფლის ზოგიერთი კოლმეურნე, ალესილი ბა-
სრი ნაჯახით, ჩუმად, ქურდულად შეიბარება ტყეში და
ასწლოვან ხეებს უმოწყალოდ ჩეხავს. აი ზოგიერთი მათ-
განი:

სეების ფარულად მოჭრის თავისებური „რეკორდი“
დაამყარა კოლმეურნე ლევან ანტონის-ძე ჩიხრაძემ, რომელმაც ფარულად 24 ძირი რცხილა მოჭრა,
კოლმეურნე ერასტი ჩიხრაძემ 14 ძირი რცხილის მოჭრა მოასწრო. ყველაზე მეტად „დაჩაგრულად“
თავს კოლმეურნე ვასილ ივანეს ძე მაღალდაძე ვრძნობს. ის-ის იყო მან ნაჯახი შემოპკრა და მეორე
ძირი სოჭის ხე წააქცია, რომ ტყის ქურდს დარაჯებმა წაასწრეს.

— ჩვენ რა, ორთავემ სულ რაღაც 20 ძირი რცხილა მოჭერით, დავით მიხეილის ძე ჩიხრა-
ძემ კი ერთ დღეს მარტო 32 ძირი რცხილა მოჭრაო.—იძახიან ოთარ ვასილის ძე და ვახტანგ სიმო-
ნის ძე ჩიხრაძეები.

ტყის ქურდების საქმე განიხილა ონის რაიონის სახალხო სასამართლომ და მათ ღირსეული
სასჯელი მიუზღო. მათვე დაეკისრათ მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

მკაცრად დავსაჯოთ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის—ტყის გამნიავებლები.

წ. მესენზისერი.



გამოძიების ჩანაწერები
(გაგრძელება)

VIII

მიღებული ცნობის მიხედვით ნიკოლოზ ვოლგინი საკმაოდ არაკეთილსინდისიერ ადამიანად გამოიყურებოდა. 22 წლის ჰაბუტუმა ცხოვრებაში ფეხი შედგა საბჭოთა ახალგაზრდობისათვის სავსებით უჩვეულო გზით. ცხრამეტი წლისა პასუხისმგებლობაში იყო მიცემული ხულოვნობისათვის; ოცი წლისა — გადიოდა ზარის მოთამაშეთა არალეგალური ბუნაგის ლიკვიდაციის საქმეში. ოცნახევარი წლისა ჯანით ატეხილ ჩხუბში მონაწილეობდა, ხოლო ოცდაერთი წლისა — მამის ავტომანქანა „მერსედესი“ ქუჩაში მოხუც ქალს დაატაკა და მიიძალა. მაგრამ მას ყველგან უმართლებდა: პირველ შემთხვევაში საქმე შეწყვეტილ იქნა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო. მეორეში, რატომღაც მხოლოდ მოწმედ გავიდა. მესამეზე პროკურორმა დანაშაულის „უშინაშენლობის“ მოტივი მოიშველია, ხოლო უკანასკნელი შემთხვევა ანეგტოდით დამთავრდა. რაღვან პროკურატურაში დაკითხვის დროს ორმა მოწმემ უარი განაცხადა მანქანის ნომრის დასახელებაზე, რომელიც მოქალაქე „ნ“-ს დაეკავხა. ხოლო დანაშაულზელი მტკიცედ განაცხადა: „დამეტყავ ყავისფერი მანქანა, მაგრამ, დამნაშავე მე ვარ“. ამის გამო გამოძიება შეწყდა.

კაპიტანი გლებოვა გაეცნო რა ამ მასალებს, თავი გადააქნია.

— ყოველივე ეს, ისევე ლაპარაკობს ვოლგინის სასარგებლოდ, როგორც ჯეკანატის დახსიათება: ინსტიტუტში იგი მიღებულ იქნა კონკურსის გარეშე, როგორც ოქროს მედლის მფლობელი და პირველი დღეებიდანვე ორიანებს და სამიანებს ღებულობდა. ზარბაძე, გონებაჩლუნგი, საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი. სტუდენტთა და ლექტორ-პროფესორთა 6. საბჭოთა სამართალი № 5.

შორის ავტორიტეტით არ სარგებლობს. ორაწლის განმავლობაში სტიპენდია არ მიუღია. ამჟამად ლექციაზეა, ან დახეტიალობს, მასთან სადამოზე მივიდეთ, ახლა კი საქმე განვაგრძობთ.

მე მომიხდა მოკლულის დისასხლისისა და სამისამართო ბიუროს თანამშრომლის დაკითხვა.

12 საათზე ვოლგინის ბინისკენ გავემუშეთ. სახლის რწმუნებული კარებთან ქშენით შეჩერდა და მიგვითითა თუნუქის აბრაზე, სადაც ეწერა: „გ. ს. ვოლგინი“, იქვე გვერდზე „ნ. გ. ვოლგინი“, ხოლო მის ქვემოთ: „დარჩეთ ორჯერ“.

— დამოუკიდებლად ცხოვრობს? — დანტერესდა გლებოვა, როცა ზარის დილს თითი დააჭირა.

რწმუნებულმა ნერვიულად მიუგო — არა... ფასონობს!

კარი ხანდაზმულმა ქალმა გაგვიღო, შემოგვხედა და გულგრილად ჩაილაპარაკა.

— ახალგაზრდა ბატონთან მარჯვნივ, იგი ამჟამად სახლშია და წასასვლელად ემზადება.

— თქვენ ვინ ბრძანდებით, დედა? — თავაზიანად ჰკითხა მას გლებოვამ.

— ღმერთმა მამორის ეგ ბედნიერება, — მე დაშა ვარ, მოსამსახურე.

მითითებულ კარზე დავაკაკუნეთ და გვიგონეთ უხალისოდ წარმოთქმული „მდა... გთხოვთ...“ ჩვენც შევედი.

ძალზე ნათელ ოთახში ნელსაცხებლისა და სურნელოვანი თამბაქოს სუნა გამეფებულიყო. დიდი სარკის წინ, კარებისაკენ ზურგშექცევით იდგა და პალტუსს იბნევდა ახალგაზრდა კაცი. ეპვგარეშეა იგი გვხედავდა სარკეში, მაგრამ აღელვებლად განაგრძობდა თავის საქმეს.

— თქვენთან ვართ, — განუცხადა გლებო-



ვამ, — გვესპირობა ნიკოლოზ გიორგის ძე ვოლგინი.

— ერთი წუთით... ეს მე ვარ, მოგვესმა გულგრილი პასუხი.

ვოლგინი ჩვენსკენ შემობრუნდა.

— რით შემიძლია გემსახუროთ?

ტატიანა სერგის ასულმა ორდერი უხმოდ გაუწოდა. ვოლგინმა გამოართვა, საწერ მაგიდასთან მივიდა, ნათურა ჩართო, გამომწვევად გადახარა თავი გვერდზე და კითხვა დაიწყო. წაიკითხა. ქაღალდი ვადმოატრიალა, მეორე მხარეს შეხედა, მაგიდის კუთხეში დადო და ხელეზი ფართოდ გაშალა:

— სიამოვნებით.

კარები წყნარად გაიღო და ოთახში ღაშა შემოვიდა.

ვოლგინმა შეხედა:

— დაშა, უფროსი შინ არის?

— გიორგი სემიონის ძე? მესხეთე დღეა მივლინებაშია.

— დედა?

— ახლავე მოვა. თქვენ კი ამხანაგებო დაბრძანდით, — მოგემართა მოსამსახურემ.

ოთახში დინჯი ნაბიჯით, მსუქანი, ლამაზი გამომეტყველების ქალი შემოვიდა და სუნამოს სურნელი შემოიტანა.

— ხელს ხომ არ გიშლით? მე დედა, გეათეფილეს ასული ვარ.

ვოლგინმა ბრაზიანად გადახედა და შეაწყვეტინა.

— დედ, შენ კოსმეტკე ქალს კი არა, მილიციის კაპიტანს ელაპარაკები, ამხანაგო კაპიტანო, ეს დედაჩემია. მისი სახელი, მამის სახელი და გვარი, პელაგია თეოფილეს ასული ვოლგინაა.

კაპიტანი გლებოვა ხან დედას, ხან მის ვაჟიშვილს შეპყურებდა. —

— იმედია ხელს არ შეგვიშლით, დაიწყეთ ამხანაგებო.

ტატიანა სერგის ასულმა ვოლგინი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

„სოპს“ ფართო უჭრედიანი, გრძელი, მოყვითალო ბიჯაკი, მოკლე ლილისფერი, კოჭებთან დაფიქრობებული შარვალი და ყავის ფერი ლაკის სანდლები ეცვა. ეკეთა ღია ფერის ეგზოტიკური პალსტუხი. ახალგაზრდა ვაჟის დაწყობილ, ლამაზ სახეს აუშნოებდა, მოწითალო ქიღვაშები და „ტარზანის“ მაგვარად დაყენებული თმა. ნეკზე ვერცხლის ბეჭედი ჰქონდა ჩამოცმული. რომელზეც თავის ქალა იყო ამოკვეთილი.

— მოქალაქე ვოლგინ, რა გეცვათ ორ იენისის, საღამოს, ესე იგი გუშინწინ?

ვოლგინმა ქვედა ტუჩი მოღრმად მოიტყუა თვალი მოჭუტა, ცოტა ხანს დაფიქრდა და დედამისის მიმართა:

— დედ, როლის მოვედი გუშინწინ?

— როგორც ყოველთვის, კოკო... ორზე.

— ორზე? ჰმ... ამხანაგო კაპიტანო, ამ კოსტუმით არ ვიქნებოდით...

— გეცვათ ღია ფერის შარვალი და კაუჩუკის ძირიანი ფეხსაცმელი, ხომ სწორია? — შეეკითხა გლებოვა.

— თქვენ რა იცით? და თუ იცით, რაღას მეკითხებით?

ვოლგინს თავი გამომწვევად ეჭირა. კაპიტან გლებოვას სახეზე ეტყობოდა, რომ ძლივს იკავებდა თავს მრისხანებისაგან.

— ყმაწვილო, ჩვენ ჩაის სასმელად და შაშის სათამაშოდ კი არ ვართ მოსული. ვთხოვთ გვიბასუხოთ შეკითხვებზე. რომელ კოსტუმში იყავით გამოწყობილი ორი იენისის საღამოს?

ვოლგინი სკამზე ჩამოჯდა, მაგიდაზე გადახარა, აიღო ჩიბუხი, თუთუნის ტენვას შეუღდა და თავი ტანსაცმელის კარადისაკენ გადაიქნია.

— ჩემი კოსტუმები, აი, იქ არის, შეგიძლიათ რამდენიც გნებავთ ათვალიეროთ.

ტატიანა სერგის ასულმა ტუჩი მოიკვინტა, ტანსაცმელის კარადასთან მივიდა და გამოაღო. კარადაში უცნაური მოდის ხუთი ბიჯაკი, ათამდე სხვადასხვა ფერის შარვალი, ოთხი შლიაპა, რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი და ჰყეტელა პალსტუხების დიდი გროვა ეკიდა.

გლებოვამ ხელში მოღრმად ფერის კაუჩუკის ძირიანი ფეხსაცმელები აიღო. მაგიდასთან მივიდა. გამადიდებელი შუშით ყურადღებით დაათვალიერა და გვერდზე გადადო. ტანსაცმელის კარადას რომ მიუბრუნდა, სამი ღია ფერის შარვალი შეამჩნია, შეათვალიერა ისინი და ერთ მათგანზე შეაჩერა ყურადღება. შემდეგ ჯიბიდან შოკოლადი „რუსული ზღაპრები“ ამოიღო და უფრო დაწვრილებით შეუღდა მის სინჯვას. შარვლის მარჯვენა ტოტის ზემოთ გამხმარი სისხლის მუქი ზოლი მოჩანდა, რომლის კვლის მოშლას არავინ ცდილა.

მე თვალყურს ვადევნებდი ვოლგინს. როცა ტატიანა სერგის ასულმა ფეხსაცმელების გვერდით შოკოლადი და შარვალი დადო, მას ოდნავ ფერი ეცვალა, ყურები გაუწითლდა, მაგრამ სახეზე თავხედური ღიმილი მაინც უთამაშებდა. ბიჯაკის გასინჯვის შემდეგ გლებოვა პალსტუხებს მიუბრუნდა, იქიდან ერთ-ერთი გამოაძვირინა და ვოლგინს მიუახლოვდა.

— როგორ ფიქრობთ, ეს რა არის?

ვოლგინმა გულგრილად შეხედა პალსტუხის

ქვემო, განიერ ნაწილს, რომელიც თითქოს მუქ სითხიან ქიქაში ჩაყვით.

ვოლგინმა მხრები აიჩეხა.

— წარმოდგენაც არა მაქვს. შესაძლებელია დღინო ანდა სოუსია.

პელაგია თეოფილეს ასული შეკრთა და ხელი გაიწოდა.



— აბა ერთი მიჩვენეთ.

ტატიანა სერგის ასულმა პალსტუხი მაგიდაზე, შარვლის გვერდით დადო.

— ჩვენ ხომ შეეთანხმდით, რომ ხელს არ შევიწლიდით?

შემდეგ გლებოვამ ტანისამოსის კარადის ქვედა უჯრის გამოწვევა სცადა. იგი დაკეტილი აღმოჩნდა.

— სად არის გასაღები?

პელაგია თეოფილეს ასული წამოიდა.

— ქალბატონო, მანდ ჭუჭყიანი საცვლებია.

ტატიანა სერგის ასული გაცხარდა.

— ჯერ ერთი, მე ქალბატონი არა ვარ, მეორეც, ვალდებ უჯრა, წინააღმდეგ შემთხვევაში გავტეხავთ.

— თქვენ მამაკაცის ჭუჭყიან საცვლებში ხელის ფათურს აბერებთ?

— დიახ, თქვენ კარგად მიხვდით.

— ფუ, რა სულმდაბლობაა... აი, ქალს სადამდე შეუძლია დაეცეს! წამოიძახა „სოპა“.

— კოკო, ჩემო ანგელოზო, რა გავლევებს, მიეცი გასაღები.

ვოლგინმა უგულოდ, ჯიბიდან გასაღების გროვა ამოიღო და დედას გადაუგდო. მან კი აუჩქარებლად შეასრულა ტატიანა სერგის ასულის თხოვნა. მე უჯრა გამოვიღე და იატაკზე დავდგი. უწესრიგოდ ჩალაგებული ჭუჭყიანი საცვლების ზემოთ, სისხლის მუქი ლაქებით დასერილი ცისფერი პერანგი და დაქმუქნილი ცხვისახოცი იღო. კაპიტანმა სინათლესთან

მიიტანა. „სოპის“ დედა გაფითრდა, დაბნეულად ვაღმოგვხედა გლებოვას, მე და შემდეგ შეიღს, რომელიც ჩიბუხს გულგრილად აბოლებდა, და ნერვიულად გაიცინა.

— კოკო, ჩემო ანგელოზო, ეს იმის ლაქებია, არა? შენ რომ მეუბნებოდი ცხვირიდან სისხლი წამსკდაო, ვახსოვს? იცით რა, ძვირფასო, ამხანაგო კაპიტანო, კოკოს, ცხვირიდან სისხლის დენა, ბავშვობიდანვე დასჩემდა.

გლებოვამ ნაპოვნი, შარვალსა და ფეხსაცმელების გვერდით უნძოდ დადო. შემდგომმა ჩხრეკამ აღარაფერი მოგვცა. ტატიანა სერგის ასულმა მაგიდა გაათავისუფლა. ვაფორმა ოქმი, ყველას ხელი მოაწვრინა და ვოლგინს მიუბრუნდა.

— მოქალაქე ნიკოლოზ ვოლგინო, თქვენ მოგხდებათ ჩვენთან წამოსვლა.

— ვის როლში? — მშვიდად, პოზის შეუცვლელად შეეკითხა ვოლგინი.

— დიდი ხნით მიგყავთ, კოკო? — წაილაპარაკა პელაგია თეოფილეს ასულმა.

კაპიტანმა გლებოვამ ოქმი დაკეცა და ჩანთაში ჩადო.

— თქვენი შვილი, დაბატიმრებულია სტუდენტი ამხანაგის მოკვლაში ექვის მიტანის გამო.

პელაგია თეოფილეს ასული სკამიდან წამოდგა. ვაფთრებული თვალებით ვოლგინს შეხედა, პირი ჯაღო, რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ყრუდ დივიმინა და იატაკზე დაეცა.

— გულსწასვლის მოხერხებული ოინია, დაშა, რა ხანა დაგიჩენია, მოიტანე ვალერიანის წვეთები, წამოიძახა მშვიდად „სოპა“ და დედას მიუახლოვდა, ფეხზე წამოაყენა, მხარში შეუდგა და ტახტთან მიიყვანა.

პორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფ პელაგია თეოფილეს ასულს წყალი დავასხა, მან თვალები გაახილა.

ვოლგინმა უჯრა გამოსწია, ოქროს საათი ამოიღო, ყურთან მიიტანა, მომართა და ხელზე გაკეთებას შეუდგა.

ტატიანა სერგის ასულმა ხელი მხარზე შეახო:

— არ გირჩევთ, შინ დატოვებთ.

ვოლგინმა მას თვალებში თავხედურად შეხედა.

— არ შემიძლია სახლიდან ჩაუტყელო გავიდე... ფულის წამოღებას მირჩევთ? მან ხელი ჩააყო ჯიბეში და მოაფათურა.

— დაშა, სწრაფად მოარბენინე დედაჩემის საფულე!

მოსამსახურემ ყურადღება არ მიაქცია.

— დაშა! ვის ვეუბნებ! — შეუყვირა მოხუც ქალს.

— დაშენა, — ამოიკვნესა პელაგიამ, შენ კოკო გელაპარაკება. ნუ ანერვიულებ, საფულე მოუტანე, ტულეტის მაგიდაზე...

საფულე მოიტანეს. ვოლგინმა ამოაძვრინა ორი ასშანეთიანი, ჯიბეში ჩაიღო და ზეთისხილისფერი შლიაპა დაიხურა.

— მე მზადა ვარ.

ზლურბლს რომ გადააბიჯა, ვოლგინი შემოტრიალდა და ხმაძალდა წარმოსთქვა:

— დეღ, შეატყობინე მამას.

IX

პატიმრის პირველი დაკითხვა დაუყოვნებლივ მოხდა, ახალგაზრდა კაცს თავი გამომწვევად ეჭირა. ზამშის ნაჭრით მოურიდებლად იბრიალებდა ფრჩხილებს და ერთდღიამვე კითხვას რამდენჯერმე გვამეორებინებდა, არა იმისათვის, რომ შეკითხვაზე პასუხი მოესაზრებინა, არამედ უბრალოდ, თავის აგდების მიზნით. როცა ჰკითხეს შენი მშობლები რა საქმიანობას ეწევიანო, ჩაიციან:

— დედა — დიასახლისია, უმაღლესი განათლებით, აკი ნახეთ და გაიცანით. მამა ქარხანაში დამხმარე მუშად მუშაობს.

მე ბრაზი მახრჩობდა, როცა ამ მყვირალა კოსტუმში გამოწყობილ თავხედს ვუყურებდი, მაგრამ კაპიტანი გლებოვა აუშფოთებლად განაგრძობდა დაკითხვას.

ვოლგინმა შემდეგი ჩვენება მოგვცა: მცხუთე კურსის სტუდენტს თენგიზ გვარლიანს იცნობს. გაიგო მისი მოკვლის ამბავი, მაგრამ იგი საერთოდ ყურადღებას არ აქცევს მითქმა-მოთქმას და ჭორს. ამიტომაც დაწვრილებით არაფერი იცის. არ უარყო ინციდენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასადილოში თენგიზ გვარლიანსა და მის შორის „ჩანს განათლებულმა სტუდენტებმა კარგად აღწერეს, რაც მოხდა იქ“. ვოლგინმა მათ შორის ჩხუბის გამომწვევი მიზეზი არ გვითხრა. „ჩხუბი — ეს ჩვენი პირადი საქმეა. მან შეურაცხყოფა მომაყენა, რომელსაც არასოდეს დავივიწყებ და არც ვაპატიებო“.

— მაინც ვცადოთ, დავაზუსტოთ რა გაცყენინათ? შესთავაზა გლებოვამ.

ვოლგინმა თვლები თავგედურად დააბრიალა.

— არ მსურს გიპასუხოთ. ზიბკიანს ჩვენება ვოლგინმა უარყო: ზიბკიანს არ იცნობს, არასოდეს არ შეხვედრია, და იმ დამეს ვერავისთან ნახავდნენ, რადგან არავითარი მაღალი და ზორბა ტანის ნაცნობები არა

ჰყავს. სისხლის წვეთები პერანგზე, პალსტუხის შარვალზე, ფესხაცმელის ძირებზე დამცხვით ხოცზე იმით ახსნა, რომ გვარლიანთან ჩხუბის შემდეგ თითქოს ნერვიულ ნიადაგზე ცხვირიდან სისხლი წასკდა.

— კეთილი. ის თუ იცით რაზე ხართ დაპატიმრებული?

— ვიცი, — მშვიდად გვიპასუხა მან. — თქვენ როგორც ძველ გამომძიებელს ვესაჭიროებათ ვილაცის ბრალი დასდოთ. გვარლიანი მძლევსანი იყო, ჩემიონი და მასთან შებმას ვერავინ გაბედავდა, მით უმეტეს, მე — სილაძისა და სინატფის განსახიერება. მე ესთეტი ვარ. ვცდილობ ლამაზად ვიცხოვრო.

— შოკოლადის ღეჭვა იმ დროს, როცა ადამიანს კლავენ, ესეც ვსთეტიკური გემოვნების გამოვლინებად მიგაჩნიათ? — ირონიულად ჰკითხა ტატიანა სერგის ასულმა.

— რატომაც არა? საერთოდ კი არ მესმის თქვენი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი. დობროლუბოვის ქუჩა არ ვიცი სად მდებარეობს და არც გამიგლია იქ.

ვოლგინი კომენდატურაში წაიყვანე, ჩემი თანდასწრებით აულეს თითების დაქტილოსკოპიური ანაბეჭდი, სისხლი — ჯგუფის დასადგენად, ხოლო ექსპერტმა — ექიმმა სტომატოლოგმა კბილის სინჯი გაუსინჯა. ყველა ამ პროცედურის დროს, ისევე როგორც პირადი ჩხრეკისას, მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. მაგრამ როცა ვოლგინს ჩამოართვეს პალსტუხი, ქაშარი, საათი და ორასი მანეთი, პროტესტი განაცხადა, აყვირდა, შემდეგ კი ტაბურეტზე ჩამოჯდა, სახეზე ხელები აიფარა და პატარა ბავშვივით აღრიაღდა.

დლით, სამუშაოზე მივიჩქაროდი, თითქმის სამმართველოს წინ გზა გადამიღობა ვოლგინების მოსამსახურემ დაშამ, რომელსაც ხელში ლოვინის ფუთა და სანოვაგით სავე ორი ჩანთა ეკაეა.

— ამხანაგო ოფიცერო, აი, ყველაფერი მოვუტანე ჩვენს უქნარაქმწვილს. ვის ჩავაბარო? მე პასუხი გავეცი. დაშამ ტვირთი ტროტუარზე დაღო და მკითხა.

— დიდხანს გეყოლებათ იქ? მე მხრები ავწიე და ვაჩუქმდი.

— ცოლვაა ყმაწვილი. მაგრამ, რაც შეიძლება დიდხანს დააყავეთ, დაშინეთ როგორც შეგიძლიათ. იქნება გონება მოიკრიფოს და ადამიანი გახდეს. თხოვეთ იმ თქვენს უფროსს, რომ ეგ ხეპრე ბიჭი... კი არა, მამა მისი მეცოლდება, წადით... წადით... ჩემი გულისთვის ნუ დაიკვიანებთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

შესვენების დროს, როცა ვსაუბრობდი, ტატინა სერგის ასულს ვუამბე მოსამსახურე ქალთან ჩემი შეხვედრის შესახებ. იგი გულგრილად შეხვდა ამ ამბავს.

— მოსამსახურე რაა! მოემზადეთ ყოველმხრივი იერიშებისათვის...

ვოლგინის დედამ გუშინ საღამოს ორჯერ და დღეს დილით რამდენჯერმე დამირეკა, მითხრა რომ სურს „ამიხსნას ზოგიერთი არსებითი რამ“.

ვაისმა ტელეფონის ზარის ხმა. კაპიტანი გლეზოვა მექანიკური და უხალისო კილოთი პასუხობდა: ღიახ... ღიახ... ღიახ...

კაპიტანმა ყურმილი დაღო, შემომხვდა და ჩაიციინა.

— მელაპარაკა საკმაოდ დიდი თანამდებობის პირი, ამბობს იგვეს, რასაც პელაგია თეოფილეს ასული, მიკვირს რა ადვილად მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც სხვის საქმეებში ხალისით ერევიან.

მას სახეზე ძალაუვნებურად სიმკაცრე გამოეხატა.

—საეჭვო არაფერია,—მტკიცე ხმით წარმოთქვა გლეზოვა.—ოთხი თითის კვალი კედელზე მისია. უტყველით უვლია, რომ ფეხსაცმელი არ დასვროდა, რის გამო მარცხენა ხელი კედელზე მიუბჯენია. სალოკი და შუა თითის საშუალებით მოკლულსთვის ჯიბიდან ობლიცაციები ამოუღია. ორმოცი ნომერი კაუჩუკის ფეხსაცმელიც მას სცმია და შოკოლადსაც ის ილუქმებოდა, თქვენ მართალი ხართ, მარცხენა საცხები კბილი გვირგვინის ჩასასმელად აქვს მომზადებული. თვითონ მესამე ჯგუფის სისხლი აქვს, ხოლო ფეხსაცმელის ძირებზე და ტანსაცმელზე — პირველი ჯგუფისაა. ეს თენგიზ გვარლიანის სისხლია. თუმცა მას არ შეეძლო გაეკეთებინა ისეთი დარტყმა, რომელმაც გვარლიანს სიცოცხლე მოუსწრაფა. მიუხედავად ამისა, ვოლგინი ათასჯერ უარესია ყოველგვარ მკვლელზე. ვინაიდან საზოგადოებრივი შურისძიების ვეგმის შესასრულებლად მან მოისყიდა მკვლელი და გულგრილად მიირთმევდა შოკოლადს, როცა ბოროტმოქმედი იმ შესანიშნავ ყმაწვილს კლავდა.

— მაგრამ ლაპარაკი შარსისათვის გაუგებარ ენაზე? ვოლგინმა იცის ენები? — შეგვეითხე მე.

— ლაპარაკი?... — კაპიტანი გლეზოვა გაჩუ-

მდა და მომაშტერდა. ჰმ... ლაპარაკი... თქვენ მართალი ხართ. შესაძლებელია ლაპარაკობდნენ ინგლისურად, რომელშიც ვოლგინს სუთიანი აქვს? ერთადერთი სუთიანი... ჩვენებ ვოლგინი ჩუმად იყო და ლაპარაკობდა მხოლოდ ფიზიკური მკვლელი... ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს უნდა დავაზუსტოთ. დერეფანში ზიბკინა იცდის. შემოიყვანონ ვოლგინი და დავაპირისპიროთ ისინი. შემოვიდა ვოლგინი — დაკმუტყენილი ტანისამოსით, წამძინარევი, ფერმკრთალი. იგი, ეტყობა, არ მოელოდა ზიბკინასთან შეხვედრას, ადრინდელი ჩვენება უარყო და, აღიარა, რომ იმ დღეს შეხვდა ზიბკინას, მაგრამ მისთვის არაფერი უთქვამს. როცა ყველაფერი ოქმში ჩაიწერა. ზიბკინამ ხელი ასწია.

— ამხანაგო ტატინა სერგის ასულო მე ვიპოვი იმ ტიპს, რომელსაც ეგ ვსაუბრებოდა. და მართლაც მეორე დღეს, დღის თორმეტ საათზე მან ტელეფონით შეგაკავშირებინა.

— ამხანაგო ტატინა სერგის ასულო, ვოლგინი ელაპარაკებოდა სატყეო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტს მიჩაეფარ ყულიევს. რომელიც სტუდ-ქალაქის მეათე კორპუსში ცხოვრობს.

ყულიევს მოსაყვანად მე წავიდე.

— იცოდეთ, კონსტანტინ ლვოვის-ძე, დამარიგა ტატინა სერგის ასულმა, — ყულიევი კავკასიელია, უთუოდ აზერბაიჯანელი, ასიდან ოთხმოცდაათი პროცენტი ლაპარაკობს იმაზე, რომ ის ფიზიკური მკვლელია. მისი ღონის შესახებ, შეგვიძლია წარმოვადგინო ვიქონიოთ გვარლიანის გულში მიყენებული დარტყმის მიხედვით.

მიჩაეფარ ყულიევთან შეხვედრისთანავე მივხვდი, რომ იგი არ არის ის, ვისაც ჩვენ ვეძებთ. ხმელ-ხმელი, ორ მეტრზე აწოწილი ახალგაზრდა, მოუხეშავი სიარულით, დიდი თავით, და წავრძელებული კისრით, მხრებში მოხრილი, ჩავარდნილი მკერდით, გრძელი, უღონო, მისი ტანისათვის შეუფერებელი ხელებით, ძალზე გაცვეთილი რეზინის ფეხსაცმელებიანი ყმაწვილი „აბობედაში“ ძლივს ჩაჯდა.

ყულიევი შეკითხვებზე, თავაზიან, აზრიან პასუხებს იძლეოდა. ვოლგინს იცნობს, მისდამი სიმპატიურად არ არის განწყობილი. „ჩვენ სხვადასხვა შეხედულება გვაქვს ცხოვრებაზე“ — ჩაილაპარაკა მან მორცხვად. ვოლგინთან შეხვედრას, რასაც ზიბკინა ამტკიცებდა, მართლაც



პკონდა ადგილი. ვოლგინმა ქუჩაში შეაჩერა იგი და ლაპარაკი დაუწყო ქალიშვილებზე, ხოლო როცა ყუღიევი შეეკითხა, მართალია თუ არა, რომ მან და გვარლიანმა წაიჩხუბეს, ვოლგინმა დასტური მისცა და განუცხადა: „მე მოგვლავ მაგ საზიზღარს. აი ნახავ“.

შემოიყვანეს ვოლგინი, ის შესამჩნევად გამხდარიყო, მაგრამ თავხედობა არ დავიწყებოდა.

— გამოძიებას ძალზე ჩქარა აწარმოებთ, კაპიტან...

ყუღიევა დაადასტურა თავისი ჩვენება. ვოლგინი ჯიუტად გაიძახოდა.

— ყუღიევს არ ვიცნობ, არასოდეს არ შეგხვედრია და არც არაფერი მითქვამს მისთვის.

კაპიტანმა გლებოვამ მოწმე გაუშვა და თავის ადგილზე დაჯდა.

— რომელ ენებს ფლობ კარგად?

— რუსულის გარდა, არც ერთს.

— ინგლისურს?

— კმ... გევიცებით, მე თვითონაც მიკვირს— ათი წლის განმავლობაში ინჩი-ბინჩი ვერ ვისწავლე, უშპარგალკოდ საქმე წინ ვერ მიდის. ჩემის აზრით, ამ წუთში იგი გულწრფელი იყო.

კაპიტანმა გლებოვამ, ეტყობა, სხვანაირად გაიგო მისი პასუხი.

— მოქალაქე ვოლგინ, როგორადაც არ უნდა ეცადო დაფაროთ ჭეშმარიტება, არაფერი გამოგივათ. ძიებას აქვს უცილობელი მეცნიერულად დამტკიცებული საბუთები იმისა, რომ თქვენ მონაწილეობდით განზრახულ, წინასწარ მოფიქრებულ, ქვენა გრძნობით წაქეზებულ მკვლელობაში. თქვენი საქციელით, სიცრუით და ჯიუტობით უფრო აძლიერებთ დანაშაულს. წინადადებას გაძლევეთ დაასახელოთ მკვლელობის თანამონაწილე.

— თქვენი საქმეა დამტკიცება, — ბოროტად ჩაილაპარაკა ვოლგინმა, — ხოლო ჩემი — უარყოფა. ვიმეორებ ადრინდელ ჩვენებას: მე არ მომიკლავს, თანამონაწილე არ მყოლია და სასამართლომდე თქვენთან ლაპარაკი არ მსურს და არც ხმას ამოვიღებ.

ვოლგინი წაიყვანეს.

ტატიანა სერგის ასულმა ოთახში ბოლო დაარტყა, ფანჯარასთან შეჩერდა, იგი ფიქრებისგან ტელეფონის ზარის წკრაილმა გამოიყვანა.

— ვინ რეკავს?... იღივთ ყურმილი და თუ მე მივიტხონ უთხარით, არ არის თქო.

მელაპარაკებოდა პოლკოვნიკი გრემიაჩევსკი, როცა მოვხსენე, რომ კაპიტანი გლებოვა ჯერ

არ მოსულა მეთქი, უკმაყოფილო ხშირ ჩაილაპარაკა.

— მე გთხოვთ, კაპიტან გლებოვას, სიტყვა სიტყვით ასე გადასცეთ, რომ მიიღოს მოქალაქე ვოლგინა.

როცა ყოველივე ეს ტატიანა სერგის ასულს ვაცნობე, მან ტუჩებზე იკბინა და გულმოსულად შემომხედა.

— მოქალაქე ვოლგინასათვის უწყება მოამზადეთ. სთხოვეთ ხვალ ჩვიდმეტი საათისათვის მოვიდეს.

XI

გაბრაზებული და აფორიქებული პელაგია ვოლგინა მებრძოლური განწყობილებით შემოვიდა. მისალმების ნაცვლად რაღაც ჩაიბურტყუნა, დაჯდა და დაგროვებული მრისხანების გადმოსაფრქვევად მოემზადა, მაგრამ კაპიტანმა გლებოვამ მას გონებაზე მოსვლა არ აცალა, ერთმანეთზე მიაყარა შეურაცხყოფელი, ანკეტური ხასიათის შეკითხვები და ბოლოს ნეიტრალური კილოთი ჰკითხა:

— ბოლიში, თქვენმა ვაჟმა იცის საბჭოთა კავშირის ხალხთა, ან უცხოური ენები?

შვილზე რომ შეეკითხნენ, ქალბატონს სახე შეეცვალა და პირზე ღიმილი აუთამაშდა:

— კოკომ, გეთაყვა, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი გენიალური ნიჭით არის დაჯილდოებული, არც ერთი ენა არ იცის, გარდა რუსულისა. საოცარია, იგი მოკლებულია ლინგვისტურ ნიჭს, თუმცა მის მდგომარეობაში ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე ტლიკინი არ აწყენდა.

კაპიტანმა გლებოვამ, რომელიც ფანჯარს მაგიდაზე ათამაშებდა, ქალაღდის ფურცელზე რაღაც აღნიშნა და მშვიდად განაგრძო:

— მაგრამ, თუ არ ვცდები, მას უცხო ენაში ხუთიანი ყავს? ერთადერთი ხუთიანი...

პელაგია თეოფილეს ასული ოდნავ გადმოიხარა და მარცხენა თვალი ემპაყურად მოკუტა, რის გამოც, მისმა თხელმა, ამოწოწკნულმა წარბმა, გვერდზე წაწოლილი კითხვის ნიშნის გამოსახულება მიიღო.

— ძვირფასო, ლექტორებისა და პროფესორების ნახევარი მაინც, რომ ისეთი იყოს, როგორცაა პატივცემული ბერნარდინა ლეოპოლდის ასული, საბარლო ბავშვები თავს ბევრად უკეთესად იგრძნობდნენ.

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი ბ. შირცხუშუავენი

რაიონული საბჭო იხილავს სოხალისური კანონიერების განმეხივების საქმოსს

ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მეორე მოწვევის მესამე სესიამ მოისმინა რაიონის პროკურორის მ. კეკელიას მოხსენება — „რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონში სერიოზული ღონისძიებანი გატარდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. უფრო მოქნილად, ობერატიულად მუშაობენ პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოები. განსაკუთრებით გაუმჯობესდა სახალხო რაზმეულების საქმიანობა. სახალხო რაზმეულებში 500-დე აქტივისტია გაერთიანებული. სოფლის ცენტრებში და ქალაქში სახალხო რაზმეულები აწყობენ რეიდებს, მორიგეობას, რითაც საგრძნობ დახმარებას უწევენ მილიციის ორგანოებს დამნაშავეთა მხილებასა და შეპყრობაში.

მ. კეკელიამ ამასთანავე ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რამდენადმე გაიზარდა ზოგიერთი სახის სისხლის სამართლის დანაშაულობანი. ნიგვზიანის, სუფსისა და ნიგოთის სოფლის კოოპერატივებში გამოვლინდა კოოპერატიული ქონებისა და სახსრების გაფლანგვის ფაქტები. ეს იმის გამო მოხდა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციაში ცუდადაა დაყენებული საკონტროლო სარევიზიო მუშაობა.

როგორც მომხსენებელმა, ასევე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას. ბევრ საწარმოსთან და კოლმეურნეობებთან შექმნილი ამხანაგური სასამართლოები საგრძნობ დახმარებას უწევენ ადგილობრივ ორგანიზაციებს, მაგრამ ზოგიერთ საწარმოსა და კოლმეურნეობაში ცუდათაა ორგანიზებული ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, მაგა-

ლითად, მიმდინარე წლის განვლოლ ექვს თვეში წყალწმინდის, შრომისუბნის, ნიგოთის, აცანის ჩაის დაბრიკის, ლანჩხუთის აგურის ქარხნის და ზოგიერთ ამხანაგურ სასამართლოებს არცერთი საქმე არ განუხილავთ.

სესიაზე აღინიშნა, რომ არადაამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულება „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“. სესიამ გადაჭრით მოითხოვა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებების დაჩქარებით აღმოფხვრა.

ლანჩხუთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ქ. ორაგველიძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ბევრი მცხოვრები დღემდე არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. ქალაქში II მოქალაქეა, რომლებსაც პირად საკუთრებაში ავტომანქანები ყავთ, არსად არ მუშაობენ და მანქანებს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ. ეს იციან რაიმილიციისა და პროკურატურის მუშაკებმა, მაგრამ რატომღაც ზომებს არ ღებულობენ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს შუხუთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ფირცხალიაშვილმა, სადგურ ჯუმათის უფროსმა, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო რაზმეულის უფროსმა ა. თევზაძემ, აცანის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სახალხო რაზმეულის უფროსმა გ. ცანავამ, სუფსის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ჩხარტიშვილმა, ლანჩხუთის რაიონის სახალხო მოსამართლემ ქ. მეგრელიშვილმა.

სესიაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიონის პირველმა მდივანმა დ. საბაშვილმა.

განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

სსსრკი გრძელად გააგრძელდა განსაკუთრებით სერიოზული რეკლამა



ამ დღეებში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პარტიული განათლების კაბინეტში გაიმართა დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების პროკურატურის, ქ. ქუთაისის სასამართლოსა და მილიციის მუშაკთა ზონალური თათბირი, რომელზეც მოსმენილ იქნა ქ. ქუთაისის პროკურორის ა. ჟღენტის მოხსენება მიმდინარე წლის ექვს თვეში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

„საბჭოთა კონსტიტუციამ, — თქვა ა. ჟღენტმა, — ყველასათვის უზრუნველყო შრომის უფლება. ჩვენს ქვეყანაში, სადაც აღიარებულია პრინციპი „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“, შრომა წარმოადგენს ღირსების, დიდების და მამაცობის საქმეს. ჩვენი ქალაქის მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, შრომისა და ცხოვრების შესანიშნავ ნიმუშებს გვჩვენებენ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენს რიგებში არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მათ არ სურთ პატიოსნად იშრომონ ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ, ცხოვრობენ იოლი შემოსავლის წყაროებით. არიან ისეთებიც, რომლებიც ცხოვრობენ რა სხვის ხარჯზე, დროს უსაქმოდ ატარებენ, ხულიგნობენ, ჩადიან სხვადასხვა სახის დანაშაულს. ასეთი პირების მიმართ პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოები ატარებენ ქმედით ღონისძიებებს. მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, მართალია, დანაშაულთა სერიოზული რაოდენობა მცირდება, მაგრამ ზოგიერთი სახის დანაშაული, პირიქით, — იზრდება.

უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების მიერ. სახელმწიფო და საზოგადო ქონების მსხვილმანი დატაცებისათვის და სხვა საშიში სახის დანაშაულისათვის დაისაჯენ: ნ. მ. კალაჩოვი, პ. მ. მიხაილოვი, ნ. ი. ჩუჩკოვი, ბ. მ. სირაძე, ი. ს. ჯღამაძე, რომლებსაც სასჯელის სხვადასხვა ზომა (8-10 წელი) მიესაჯათ. მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისა და ძარცვისათვის მკაცრად დაისაჯენ ლ. ლ. კაკუშაძე, მ. ს. ჩუბინაშვილი, ლ. შ. ვაბრიაძე, ზ. ე. თავიდაშვილი.

სასჯელის სხვადასხვა ზომა შეეფარდათ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისათვის ა. ნ. წაქაძეს, მ. ე. ბისტროვს და სხვ.

პროკურატურის მიერ საერთო ზედამხედველობის წესით განვლილ პერიოდში ჩატარებულა 38 შემოწმება, გამოვლინებულ დარღვევებზე რეაგირების მიზნით დაიწერა 2 პროტესტი და 16 წარდგინება, მათ შორის საქართველოს კვ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტს გაეგზავნა 9 წარდგინება.

პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მსახველობაში რეალიზებული პროპაგანდის საქმეს. მარტო პროკურატურის ხაზით ჩატარდა 47 ლექცია-მოხსენება, რომდენიმე სტატია გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში.

მაგრამ გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის იმისათვის, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანოლი დანაშაულის შემთხვევები, საჭიროა მეტი ოპერატიული მუშაობა, უნდა შემცირდეს ვადების დარღვევით საქმეთა გამოძიების და დაბატებითი გამოძიებისათვის საქმეთა დაბრუნების შემთხვევები. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ბრძოლა საშიში დანაშაულების, ავრთვეთ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ შრომას, ეწყვიან პარაზიტულ ცხოვრებას.

ზუგდიდის რაიონის პროკურორმა ს. კაკაბაძემ თქვა: უკანასკნელ პერიოდში რაიონის პროკურატურამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დანაშაულთა შემთხვევები კვლავ არის. რაიონში მოხდა მსხვილი გაფლანგვა. გზატკეცილების სამმართველოს მე-16 უბანში უფროსმა ბუღალტერმა მოლარესთან შეთანხმებით დაიტაცა 1 მილიონ 400 ათასი მანეთი (ფულის ძველი ნიშნებით). სამწუხაროდ რაიმილიციის სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვედანყოფილების მუშაკებმა არც კი იცოდნენ თუ ასეთი ორგანიზაცია არსებობდა ზუგდიდში.

უნდა ითქვას, რომ გამოძიებულები გადატვირთული არიან, ამიტომ რღვევა გამოძიებას ვადები, რაც გამოძიების ხარისხზეც მოქმედებს.

რაიონში არიან ადამიანები, რომლებიც გაუ-

რბიან კეთილსინდისიერ შრომას, ეწვეიან საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის საზიანო მოქმედებას. ამიტომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება, ვიდრე ეს სამარცხენო მოვლენა, წარსულის გადმონაშთები, მთლიანად აღმოიფხვრებოდეს ჩვენს საზოგადოებაში.

ზესტაფონის რაიონი მეღვინეობის ერთ-ერთ ძირითად რაიონია დასავლეთ საქართველოში, თქვა ზესტაფონის რაიონის პროკურორმა ს. ბლიაძემ. და აი აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც შეუღლებს სახელი რაიონს, დაიწყეს ფალსიფიცირებული ღვინოების წარმოება.

დარღვევები გამოიყვანდა რაიკავშირში, საიდანაც უკანონოდ ვასცეს 5 ტონა შაქარი. თანამდებობიდან მოიხსნა და პარტიული სასჯელი დაედო ვარუზუნის კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარეს.

ჯერ კიდევ აქვს ადგილი ხულიგნობის და სხვა სახის საშრშ დანაშაულთა შემთხვევებს. პროკურატურისა და რაიონის მილიციის მუშაკები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რეაგირების გარეშე არ დარჩეს არც ერთი სახის დანაშაული.

წყალტუბოს პროკურორმა ნ. ინოზემცემა აღნიშნა, რომ ვაქრობის დარგში გამოვლინებულ დარღვევებს მათი შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანიზაციები არ გვაცნობებენ, რაც არასწორია. თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქუთაისის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. შავჯულიძე, მახარაძის რაიონის პროკურორი ე. გოგუაძე, ქუთაისის პროკურატურის გამომძიებელი ს. ყიფიანი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა რესპუბლიკის პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა. მან თქვა:

საბჭოთა ხალხი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნისს, თავდადებით იბრძვის გრანდიოზული შეიღწლიანი გეგმის ვადამდე და ვადაჭარბებით შესრულებისათვის. საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეებში, მათი თავდადებული შრომა აღტაცებას იწვევს მთელს მსოფლიოში და წარმოადგენს დაუშრეტელ წყაროს ახალი წარმატებების მიღწევის გზაზე.

მაგრამ ქალაქად და სოფლად ჯერ კიდევ არიან ადამიანები. რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ხშირად მოსაჩვენებლად ეწყობიან სამუშაოზე, ხოლო ფაქტიურად ცხოვრობენ არაშრომითი შემოსავლით და მდიდრდებიან სახელმწიფოს ხარჯზე, მშრომელთა ხარჯზე. ზოგიერთი ეწევა აკრძალულ რეწვას, კერძო მეწარმულ საქმი-

ნობას, სპეკულაციას, იღებენ შემოსავლებს რადი მანქანების ექსპლოატაციით, და მიწის ნაკვეთებიდან, ეწვეიან მშენებლობას უკანონოდ შექმნილი საშენი მასალებით.

კოლმეურნეობაში ასეთი პირები სარგებლობენ კოლმეურნეთათვის მინიჭებული შეღავათებით. თავიანთი უქნარობით არღვევენ შრომის დისციპლინას და ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ მეურნეობას.

უკანასკნელ პერიოდში შემცირდა დანაშაულთა ისეთი შემთხვევები, როგორც არის ბანდიტიზმი, ნაწილობრივ მკვლელობაც და სხვა. მაგრამ სახელმწიფო ქონების დატაცების, ხულიგნობის შემთხვევებმა მოიმატა. საჭიროა მოიზიგებულნი იქნას ყველა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის საშრშ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად, უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივობა დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

რესპუბლიკის ზოგერთ ქალაქსა და რაიონში, კერძოდ ქუთაისში გამოიყვანდა დიდი რაოდენობით სახელმწიფო თანხების დატაცების შემთხვევები. ამ ორგანიზაციებში დროულად და ხარისხიანად არ ტარდება უწყებრივი და დოკუმენტალური რევიზიები, ხოლო საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა მხრივ ადგილი ქონდა სრულ უკონტროლობას.

პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის კანონი უნდა მოვიყვანოთ მოქმედებაში. შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომლებიც არსად არ მუშაობენ, ეწვეიან პარაზიტულ ცხოვრებას, გასახლებულ უნდა იქნან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, გასახლების ადგილზე შრომით საქმიანობაში აუცილებელი ჩაბმით.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ მცირე დანაშაულის ჩამდენთა აღსაზრდელად კოლექტივზე გადაცემა კარგ შედეგს იძლევა, ამიტომ ამ მხრივ მუშაობა თანდათან უნდა გაეაძლიეროთ.

ახლა მოსავლის აღების, ხილისა და სხვა პროდუქტების შესყიდვის პერიოდია. გემართებს მეტი მუშაობა, რადგან ზოგჯერ ხარისხის ხელოვნურად შემცირებით მდიდრდება ზოგიერთი უსინდესო, ასევე გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ზოგიერთი მოქალაქე ხილსა და სხვა პროდუქტებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ეხიდება. საჭიროა ავარიების მინიმუმამდე დაყვანა. უნდა გაეაძლიეროთ ზედამხედველობა იმათზე, ვისაც უშუალოდ ეკისრება ტრანსპორტზე წესრიგი.

პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს ზოგიერთი საქმე ხელახალი გამოძიებისათვის

უბრუნდებათ, არის გამოძიების ვადების დარღვევის, უხარისხო გამოძიების შემთხვევები. უნდა ვეახსოვდეს, რომ ჩვენ ვწყვეტთ აღმიანის ბედს, ამიტომ საჭიროა სიფრთხილე და გულისხმიერება, მშრომელთა სიგანალებზე დროულად უნდა ვახდენდეთ რეაგირებას. უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ პროპაგანდის ისეთ საშუალებას, როგორც არის პრესა, რადიო, ლექცია-მოსხენებები, საუბრები, უნდა ვაწყობდეთ გამსვლელ სესიებს უშუალოდ საწარმოებ-

ში, დაწესებულებებში საზოგადოებრივი მდებელთა მონაწილეობით. არ ფილდებოდეთ ფაქტის დადგენით და დამანაშაულის დასჯით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა ვითარებაში, რა მიზეზებმა განაპირობა დანაშაული და სხვა.

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ჩამდენი ბირები უნდა დაისაჯონ კანონის მთელი სისასტიკით, მათ ბრძოლა უნდა გამოუტყალოს მთელმა საზოგადოებამ.

გ. ჰინინაძე.

* * *

1961 წლის 4-8 ივლისს მოსკოვში საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს შენობაში, რსფსრ იუსტიციის სამინისტრომ ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიმდევნა სასამართლო ექსპერტიზის საერთო პრობლემებსა და მეთოდებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის სასამართლო და კრიმინალისტური ექსპერტიზის დაწესებულებების ექსპერტებმა და მეცნიერ თანამშრომლებმა, სასამართლო-პროკურატურის მუშაკებმა; ცნობილმა საბჭოთა კრიმინალისტებმა პროფესორებმა: ნ. ვ. ტერზეივმა, ა. ი. ვინბურგმა, ს. პ. მიტრიჩევმა და სხვ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა რსფსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. ა. ბოლდირევმა.

კონფერენციის პლენარულ სხდომებზე და სექციებზე სულ მოსმენილ იქნა ასზე მეტი მოხსენება, რომელთა თეზისებიც წინასწარ იყო გამოქვეყნებული კრებულების სახით.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები.

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ა. ციმაკურიძის საანგარიშო მოხსენებაში

ნებაში გაშუქებულ იქნა ლაბორატორიის განვლილი მუშაობა და გამოცდილება, გამოთქმული იყო სურვილი ლაბორატორიის ბაზაზე სასამართლო-ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ, სადაც გაერთიანდება სასამართლო ექსპერტიზის ძირითადი სახეები (კრიმინალისტური, ბუღალტრული, ავტოტექნიკური, ქიმიურ-ბიოლოგიური).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსმა მასწავლებელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ი. ფალიაშვილმა, რომელსაც ს. ვ. ბოროდინთან ერთად ქონდა დამუშავებული მოხსენებაში მოცემული მასალები, ილაპარაკა ექსპერტიზის დასკვნების მეცნიერული დასაბუთების შეფასებების შესახებ საბჭოთა კავშირის და რსფსრ უმაღლესი სასამართლოს მასალების მიხედვით.

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფრ. ექსპერტმა თ. მ. მეგლაძემ წაიკითხა მოხსენება ქართულ ენაზე შესრულებული ტექსტებისა და ხელნაწერების კრიმინალისტური გამოკვლევის თავისებურების შესახებ.

კონფერენციის შემაჯამებელ სხდომაზე ქართველ კრიმინალისტთა მოხსენებები დადებითად იქნა შეფასებული.



საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის წინააღმდეგ

საქართველოს პროფესიული კავშირის რესპუბლიკური საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართა სასამართლო-პროკურატურის, სამეურნეო ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი, მიძღვნილი შრომის კანონმდებლობის, უშიშროების ტექნიკის და შრომის დაცვის წესების საკითხებისადმი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. მ. ბრეგაძემ.

მომხსენებელმა, საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. პ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად განხორციელებულია ღონისძიებანი სახალხო მეურნეობაში შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, შრომატევადი და მძიმე სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, შრომისა და უშიშროების ტექნიკის წესების დაცვისათვის.

ამასთან ერთად ამხ. პ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებულმა გამოკვევამ გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით გვხვდება შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის წესების უხეში დარღვევის შემთხვევები.

ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფესიული კავშირების და სასამართლო-პროკურატურის მუშაკები ხშირად არ იჩენენ სათანადო აქტივობას.

პროფკავშირული ორგანოები საჭირო სიმტკიცითა და სისრულით არ იყენებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს.

პროკურატურამ აღძრა რამდენიმე ათეული სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავენი გადასცა სასამართლო ორგანოებს; ზოგ შემთხვევაში სასამარ-

თლოებმა დამნაშავეთა მიმართ ზედმეტი ლმობიერება გამოიჩინეს.

საჭიროა, აღნიშნავს მომხსენებელი, რომ როგორც სასამართლო-პროკურატურის ორგანოებმა, ისე ყველა უწყებამ და ორგანიზაციამ, რომლებსაც დავალებული აქვთ შრომის უშიშროების წესების და საერთოდ შრომის კანონმდებლობის დაცვა, კერძოდ პროფესიულმა ორგანოებმა, რომელთაც დაკისრებული აქვთ ამ დარგში სამეურნეო ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება, — უფრო სრულყოფილად, გამუდმებითა და მტკიცედ შესრულონ თავიანთი მოვალეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ე. ტაკიძე შეეხო დასახიჩრებს საქმეების განხილვისას გამოვლინებულ ნაკლოვანებებს. უბედური შემთხვევის შესახებ აქტები ხშირად არაა დროულად, დიდი დაგვიანებით დგება, რაც მათ საბუთის ძალას უკარგავს; თვითონ აქტებიც არასრულფასოვანია; სასამართლო ორგანოების მხრივ ადგილი აქვს ასეთი არასრულყოფილი მასალებით საქმის მიღებას. პროფესიული კავშირებიც საკმაო კონტროლს არ უწევენ თავისი ტექნიკური ინსპექტორების მუშაობას.

საჭიროა ყველა იმ ორგანოების შეთანხმებული მუშაობა, რომელნიც შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის დარგში მუშაობენ.

ტყუბულის, ტყვარჩელის, ჭიათურის და ქუთაისის პროკურატურების მუშაკებმა აღნიშნეს, რომ წარმოებებში მომხდარი უბედური შემთხვევების მთავარი მიზეზია უშიშროების ტექნიკის წესების შესრულებისადმი ადმინისტრაციის მხრივ ზერელე მიდგომა.

საქართველოს სსრ პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის უფროსმა

კონსულტანტმა ამხ. ზ. ნარიმანოვმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება გამახვილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულების მტკიცედ, ურყევად შესრულების აუცილებლობაზე.

ყველა შემთხვევაში, ამბობს ამხ. ზ. ნარიმანოვი, როდესაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ადმინისტრაციის ინიციატივით პროფკავშირების სათანადო კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე ხდება, სამუშაოზე მუშაკის აღდგენის საკითხი უნდა აღიძრას უბრალოდ სახალხო სასამართლოში და უკანასკნელმა ასეთი უხეში დარღვევით დათხოვნილი მუშაკი უნდა აღადგინოს სამუშაოზე, დათხოვნის მიზეზის განუხილველად. ასეთი პრაქტიკა უკვე დამკვიდრებულია, მაგალითად, ესტონეთის სსრ სასამართლო ორგანოებში.

ასეთივე აზრი გამოთქვა აფხაზეთის ასსრ პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგემ ამხ. კ. ზაქარაიამ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა სასამართლო-პროკურატურის ორგანოებმა გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება შრომის კანონმდებლობის უხეშად დამრღვევი თანამდებობის პირების მიმართ, მოიმარჯვონ სისხლის სამართლის

კოდექსის სათანადო მუხლები, ამასთან ერთად, იმ სამოქალაქო პირებს, რომელთა უკანონო მოქმედება ზარალს აყენებს სახელმწიფოს, სამოქალაქო წესით დააკისრონ ამ ზარალის გადახდევინება.


კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პროფსაბჭოს ტექნიკურმა ინსპექტორებმა ამხ. ს. ლიდნერმა და ამხ. ე. ცუცქირიძემ, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს შრომის დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ა. კოჩინაშვილმა, საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს უფროსმა ეკონომისტმა ამხ. ქ. ფურცელაძემ.

კამათში გამოვიდა აგრეთვე საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანი ამხ. შ. ბრეგაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხშირად ზერეულედ უდგებიან შრომის დაცვის, უშიშროების ტექნიკის და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას.

ამხ. მ. ბრეგაძემ თათბირის მონაწილეებს გააცნო ის ორგანიზაციული ღონისძიებანი, რაც საქართველოს სსრ პროფსაბჭომ უკანასკნელ ხანს ჩაატარა ამ დარგში პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა განხორციელების მიზნით.

3. თარხნიშვილი.

სასამართლო პრაქტიკა



სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. მოპასუხე, როდესაც ბინიდან გამოსახლების სარჩელს ცნობს, სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს არსებითად გადაწყვეტილება და არ მოსპოს საქმე წარმოებით.

მოქალაქე ფოფხაძემ აღძრა სარჩელი მისი ქმრის ფოფხაძის მიმართ და მოითხოვა მისი ბინიდან გამოსახლება.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით საქმე მოსპო წარმოებით.

სახალხო სასამართლომ საქმის წარმოებით მოსპობას საფუძვლად დაუდო ის გარემოება რომ მოპასუხემ თანხმობა განაცხადა სასამართლოს პროცესზე ბინის გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს დადგენილება ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილებების გაუქმება და საქმის გადაცემა ხელახალი განხილვისათვის.

პროტესტმა განავითარა მოსაზრება, რომ მოპასუხის თანხმობა სარჩელის ცნობის შესახებ სასამართლოს აღევდა სრულ შესაძლებლობას, რომ მოსარჩელე ფოფხაძის ძიება დაეკმაყოფილებინა, ხოლო საქმის წარმოებით მოსპობის საფუძველი კი სასამართლოს არ ჰქონდა.

იმის გამო, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოტანილი არ იქნა არსებითი გადაწყვეტილება, მოპასუხე ფოფხაძემ შემდგომში უარი განაცხადა ბინის გათავისუფლებაზე, ხოლო მოსარჩელეს არ მიეცა საშუალება იძულებითი წესით გამოესახლებინა მოპასუხე სადაო ბინიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა პროტესტი, გააუქმა სასამართლო ორგანოთა დადგენილებები და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

2. პიროვნების მიმართ სისხლის სამართლის წესით საქმის არ აღძვრა საფუძვლად ვერ დაედება ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობიდან მოპასუხის გათავისუფლებას.

თეთრიწყაროს რაიონის პროკურატურამ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 2 მუხლის შესაბამისად (ძველი რედაქციით) აღძრა სარჩელი იმავე რაიონის სახალხო სასამართლოში და მოითხოვა, რომ მოპასუხეებს სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ლაშხს, ზოტტენიკოს რ. არჩუაძეს, მეცხვარეობის ფერმის გამგეს ლოლაშვილს, მე-4 ბრიგადის ბრიგადირს მიკიტუმაშვილს და მე-4 ბრიგადის მწყემსებს სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის სასარგებლოდ დაქისრებოდათ გადასახდელად 5000 მანეთი (ფულის ძველი ნიშნით).

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ სოფელ ასურეთის კოლმეურნეობაში 1959 წლის 4 მარტიდან 25 მარტამდე დაიხოცა 2-3 დღის ანაზღაურებით 123 ბატკანი. ბატკნების დახოცვა გამოწვეული იყო ზემოთ დასახელებული პირების დაუდევრობით, მაგრამ პროკურატურამ არ მისცა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში გარკვეული მოსაზრებების გამო, ხოლო კოლმეურნეობის მიმართ მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხი სასამართლოს წესით დააყენა.

თეთრიწყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ კოლმეურნეობის სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოსაზრებით, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებაში არ იქნენ მიცემული ბატკნების დახოცვაში დამნაშავე პირები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა თეთრიწყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ და მოითხოვა სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებების გაუქმება და საქმის გადაცემა ხელახალი განხილვისათვის.

პროტესტმა განავითარა მოსაზრება, რომ მოპასუხეების მიმართ სისხლის სამართლის წესით საქმის არ აღძვრა, არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა მოპასუხეების ვათავისუფლებას ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობიდან და დაზარალებული კოლმეურნეობის მიმართ სარჩელზე უარის თქმას. ახლადშობილი ბატკნები რომ ნამდვილად მოპასუხეების მიზეზითა და დაუდევრობით დაიღუპა, ეს ფაქტი იმ მასალითაც მტკიცდებოდა, რომ 1959 წლის მარტისათვის, შემდეგ, ზემოდ დასახელებული პირების მიერ საქირო პროფლაქტიკური ღონისძიებების გატარების გამო, ბატკნების დაღუპვას ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი, გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება და საქმე ხელახლად განსახილველად გადასცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

3. ცოლქმარს შორის ბავშვების მიკუთვნების საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რომელ მხარესთან არის პირობები ბავშვის აღსაზრდელად.
- ანგარიში უნდა გაეწიოს ბავშვის სურვილსაც.

მოქალაქე ხუჭუამ სარჩელი აღძრა სახალხო სასამართლოში და აღნიშნა, რომ იგი 1944 წლის 12 აგვისტოდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოპასუხე კიკაჩიშვილთან. მათ ერთად ცხოვრების დროს შეეძინათ ორი შვილი, ვახტანგი დაბადებული 1945 წელს და ვალიდა დაბადებული 1951 წელში.

ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მოსარჩელემ მიატოვა ოჯახი, ქმარი, ბავშვები და წავიდა. მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს ჩამოართმოდა ბავშვები და გადაეცემოდა მას აღსაზრდელად.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა, ორივე ბავშვი ჩამოართვა მამას და აღსაზრდელად გადასცა დედას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სახელზე პროტესტი შემოიტანა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ და მოითხოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საქართველოს სსრ უმაღლესი სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილების გაუქმება და საქმის გადაცემა ხელახალი განხილვისათვის.

საქმეში არსებული მასალებით გამოირკვა, რომ მხარეებს, როდესაც უსიამოვნება მოუვიდათ, მოსარჩელეს დაუტოვებია ოჯახი თავისი ორი შვილით და წასულა. ბავშვები დარჩენილან მამის მოვლა-პატრონობის ქვეშ. მოსარჩელე 6 თვეა რაც ოჯახიდან არის წასული.

სახალხო სასამართლოს, ბავშვები — 16 წლის ვახტანგი და 10 წლის ვალიდა, არ გამოუწვევია და არ უკითხავს, თუ რომელ მშობელთან სურდათ დაირჩინა.

საზედამხედველო საჩივართან ერთად წარმოდგენილია ვეფხვილის ვახტანგ კიკაჩიშვილის განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ 5-6 თვეა დედა თვითონ წავიდა ოჯახიდან და ორივე შვილი დატოვა მამასთან. მისი სურვილია დედა დაბრუნდეს ოჯახში, თუ იგი არ დაბრუნდება, კატეგორიულად აცხადებს უარს დედასთან წასვლაზე.

გარდა ამისა საქმეში წარმოდგენილია სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ ბავშვების აღზრდის პირობები უკეთესია მამასთან — მოპასუხესთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტი აღნიშნულ საქმეზე, გააუქმა სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებები და საქმე გადასცა ხელახალი განხილვისათვის იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

სისხლის სამართლის საქმეებზე

1. მსჯავრდებული არ შეიძლება ცნობილი იქნეს რეციდივისტად უკეთეს წინა ნასამართლობა მოხსნილია ხანდაწმულობის ვადის გასვლის ან ამნისტიის ძალით.

სამგორის რაიონის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 22 მარტის განაჩენით ზ. მამედოვი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 150 მუხლის მესამე ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. მამედოვს მსჯავრი დაედო იმის გამო რომ მან 1961 წლის 29 იანვარს სოფელ გარდაბნის საკოლმეურნეო ბაზარში მოქ. ე. გასანოვს ჯიბიდან ამოაცალა 10 მანეთი. ხოლო მ. მამედოვს 2 მანეთი.

სასამართლომ ზ. მამედოვის დანაშაულის დაკვალიფიცირება სსკ 150 მუხლის მესამე ნაწილით დასაბუთა იმ გარემოებით, რომ ის წარსულში სამჯერაა ნასამართლები ანალოგიურ დანაშაულისათვის და ამდენად წარმოადგენს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტის საფუძველზე აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 8 ივნისის განჩინებით გაუქმებული იქნა და საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას, შემდეგი საფუძვლებისა გამო:

სასამართლოს მოსაზრება, რომ ზ. მამედოვი არის განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი უსწორია, რადგან მას პირველი ორი ნასამართლობა ქურდობისათვის ჩადენილი აქვს 1938 და 1940 წლებში, რომლებიც (ნასამართლობა) მოხსნილი აქვს სსკ 57 მუხლის შესაბამისად (ხანდაზმულობის გასვლისა და ამნისტიების ძალით). ამავე დროს საქმეშია ოფიციალური ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ ზ. მამედოვი 1958 წლის 3 მარტს მსჯავრდებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების პირველი მუხლის პირველი ნაწილით „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ და მისჯილი ჰქონდა 5 წლით პატიმრობა სასჯელის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით.

მამედოვი აღნიშნული სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებულ იქნა პირობით ვადამდე ადრე.

გამოსადეგო ვადის გასვლამდე მამედოვის მიერ ჩადენილი იქნა უკანასკნელი დანაშაული, რომელიც იმავე სახისაა. ასეთ პირობებში სასამართლოს ზ. მამედოვის მიერ 1961 წლის 29 მარტს ჩადენილი დანაშაული უნდა დაეკვალიფიცირება სსკ 150 მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო სასჯელის განსაზღვრის დროს შესაბამისად სსკ 46 მუხლისა უნდა ემსჯელა 1958 წლის განაჩენით მისჯილი სასჯელიდან დარჩენილი ვადის მთლიანი ან ნაწილობრივი დამატების შესახებ.

2. სახის არეში მიყენებული ჭრილობის დროს სასამართლო ვალდებულია დადგინოს იწვევს თუ არა ის სიმახინჯეს.

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 13 ივნისის განაჩენით ი. სურამელიშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 110 მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. სურამელიშვილს მსჯავრი დაედო მისში, რომ 1961 წლის 8 იანვარს იმყოფებოდა რა არაფხიზელ მდგომარეობაში მოქ. ე. ჩახანაშვილს დანით მიაყენა რამდენიმე ჭრილობა მათ შორის სახის არეში.

საქმეში ექსპერტის დასკვნის მიხედვით ე. ჩახანაშვილზე მიყენებული დაზიანება არის რაკეტულად მძიმე კატეგორიის, ხოლო სახის არეში არსებული ჭრილობა წარუხოცელია და დარჩება ნაწიბურის სახით.



აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 30 ივნისის განჩინებით გაუქმებული იქნა მსჯავრდადებულის საკასაციო საჩივრის საფუძველზე და საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა სხვა რაიონის სახალხო სასამართლოს შემდეგი საფუძვლის გამო:

სასამართლომ ი. სურამელაშვილის სსკ 110 მუხლის 1-ლი ნაწილით დამნაშავედ ცნობას საფუძველად დაუდო ექიმ-ექსპერტის დასკვნა, რომ დაზარალებულზე სახის არეში მიყენებული ჭრილობა წარუხოცელია და დარჩება ნაწიბურის სახით. ეს მაშინ, როდესაც დასახელებული მუხლით დანაშაული კვალიფიცირდება იმ შემთხვევაში უკეთეს ჭრილობის წარუხოცელობა სასამართლოს შეხედულებით იწვევს სახის სიმახინჯეს, რაც სასამართლოს სამსჯავრო გამოძიებით არ გამოურკვევია.

მ. პირი, რომლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვეტილი იქნა და ის ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის გადაეცა კოლექტივს, ამ დანაშაულისათვის არ შეიძლება მიეცეს სასამართლოში თუ საქმის კოლექტივზე გადაცემიდან გასულია 1 წელი და ამ ხნის განმავლობაში მას სხვა დანაშაული არ ჩაუდენია.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 6 აპრილის განაჩენით ვ. ზვისტინი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1-ლი ნაწილით და 228 მუხლის მეორე ნაწილით და ერთობლიობის პრინციპით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ზვისტინს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1959 წლის 29 ივლისს იყო რა არაფხოზელ მდგომარეობაში ასტეხა დებოში სტუდენტთა ქალაქის საავადმყოფოში. ანალოგიური დანაშაული ჩაიდინა მან 1959 წლის 31 ივლისს, როდესაც ის მივიდა რა იმავე საავადმყოფოში მთვრალ მდგომარეობაში, ასტეხა ჩხუბი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დასახელებულ საავადმყოფოს თანამშრომლებს. 1959 წლის 7 აგვისტოს კი კვლავ ჩაიდინა ხულიგნობა, ავინა გზათ მიმავალ მოქალაქეებს და სტუდენტებს თანამშრომლებს.

ზემოაღნიშნულ დანაშაულისათვის რაიბროკუურატურის მიერ აღძრული საქმე 1959 წლის 12 ნოემბერს წარმოებით იქნა შეწყვეტილი. დ. ვ. ზვისტინი ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის გადაეცა სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტს თანახმად მათი შუამდგომლობისა.

1960 წლის 17 დეკემბერს ზვისტინმა კვლავ ჩაიდინა თავაწყვეტილი ხულიგნობა, რომლის დროს ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა მოქ. კ. შუბითიძეს.

ზვისტინის უკანასკნელი დანაშაულის ჩადენისთან დაკავშირებით რაიბროკუურატურამ აღადგინა 1959 წლის ნოემბრის თვეში შეწყვეტილი საქმე და მისცა ის პასუხისგებაში ყველა ჩამოთვლილ დანაშაულებრივ ქმედობისათვის.

სახალხო სასამართლომ დადასტურებულად ჩასთვალა ვ. ზვისტინზე წარდგენილი ბრალდებები და დასდო მას მსჯავრი მითითებულ ბრალდების ფარგლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 26 აპრილის განჩინებით განაჩენიდან ამოირიცხა 1959 წლის 29 ივლისის, 30 ივლისის და 1 აგვისტოს დანაშაულის ეპიზოდები და შესაბამისად ვ. ზვისტინზე მისჯილი სასჯელი შეამცირა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, შემდეგი საფუძვლებისა გამო:

შესაბამისად სსკ 53 მუხლისათვის თავდებში გადაცემული პირი უკეთეს ერთი წლის განმავლობაში ვერ გაამართლებს კოლექტივის ნდობას, მაშინ ორგანიზაციას გამოაქვს გადაწყვეტილება თავდებობის გაუქმებისა და ამ გადაწყვეტილების პროკურატურაში გადაზღვრის შესახებ დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის იყო აყვანილ თავდებში.

როგორც საქმიდან ხიანს ვ. ზვისტინს უკანასკნელი დანაშაული ჩადენილი აქვს მისი კოლექტივზე თავდებში გადაცემიდან 1 წლის განვლის შემდეგ; ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მოხსენებულ ორგანიზაციას არ გაუუქმებია მისი გადაწყვეტილება ვ. ზვისტინის თავდებში აყვანის შესახებ.

ასეთ პირობებში კი უსწორო იყო ერთხელ შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის აღდგენა და დანაშაულის ამ ეპიზოდებში მისი მსჯავრდადება.

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР